ყველა ფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008
დარჩა
52
დღე

№ 141 (12 517) 17 ივნისი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

**ჩემპიონი ნიუკასლით იწყებს**

პრემიერლიგა 2008/09. კალენდარი 5

**რიბერი: ზიდანი მომენატრა!**

ევრო 2008. ფრანგების ბანაკში 6



EURO2008 Austria-Switzerland

| დღეს | |
|---|---|
| C ჯგუფი | |
| ბერნი | |
| ჰოლანდია-რუმინეთი | 22:45 |
| ციურიხი | |
| იტალია-საფრანგეთი | 22:45 |
| მეოთხედფინალი | |
| 19 ივნისი | |
| ბაზელი | |
| პორტუგალია-გერმანია | 22:45 |
| 20 ივნისი | |
| ვენა | |
| ხორვატია-თურქეთი | 22:45 |

# გერმანია

## ბალაკისა და კლასის ხარჯზე



6

## დომენეკი: ჰოლანდია წააგებს და ორივეს გაგვყრის






ვიეირა არ იქნება. რუმინეთს რადოი და გოიანი აკლია. ვან ბასტენი მხოლოდ ოოიერსა და დე იონგს შეცვლის? 8



## დონადონი სასტარტოში კასანოს დააყენებს. პირლო სკამზე?

C ჯგუფი 8



ევროსპეკულაციები

## დომენეკს დეშამი შეცვლის, დონადონის ლიპი

6,7



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგლებს სოლიდური სპონსორი ეყოლება?



ბესიკ შეროზია

გუშინ საღამოს შევიტყვეთ, რომ შესაძლოა, ზუგდიდის "მგლებს" სერიოზული სპონსორი გამოუჩნდეს. ჩვენი ინფორმაციით, ზუგდიდის "ბაიას" პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** მზადაა, კლუბის დაფინანსება ითავოს და ამბიციური კლუბი ჩამოაყალიბოს.

"ბაია" მცირე ხნის წინ ჩამოყალიბდა და ამის მიუხედავად, საქართველოს იუნიორთა ნაკრებს უკვე მრავალი მოთამაშე გაუზარდა. მარტში, გორში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნაკრებების შეხვედრაში, ლიხსიქითა გუნდის შემადგენლობის ლამის ნახევარს ზუგდიდის "ბაიას" განვრთნილები შეადგენდნენ. ლისაბონის "ბენფიკის" სელექციონერებმა 15 წლის **ნიკა ძალამიძე** შენიშნეს და მათ კლუბში ვარჯიში შესთავაზეს. ამ ფაქტების გარეშეც ცხადია, რომ ზუგდიდში ფეხბურთს უდიდესი პერსპექტივა გააჩნია და ზვიად სიჭინავას სწორედ ამ რეზერვის ამოქმედება სურს.

გასაოცარია, რომ "ბაიას" საკუთარ სტადიონს, ბაზას, სამედიცინო ცენტრს უშენებს, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებით იმუშავებს.

დღემდე "მგლებს" ზუგდიდის გამგეობა და სამხარეო ადმინისტრაცია აფინანსებდნენ. მათ თავისი როლი შეასრულეს და მინიმალური დაფინანსებით, ზუგდიდის ფეხბურთის პოტენციალი გამოჩნდა - ბიუჯეტით საკმაოდ მწირი კლუბი ლამის ლიდერებში გაერია. სოლიდური დაფინანსებით კი "მგლები" ამიციური კლუბი გახდება. სწორედ ამას იმედოვნებს ზუგდიდელთა მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია**.

*"დარწმუნებული ვარ, თუკი "მგლებს" ძლიერი ზურგი ეყოლება, ამით ქართული ფეხბურთი ძალიან მოიგებს. ზუგდიდში არიან უნიჭიერესი ფეხბურთელები და მჯერა, რომ საფეხბურთო სისტემის აწყობის შემთხვევაში, "მგლები" ანგარიშგასაწევი ძალა გახდება. ჩვენ წელსაც არავის არაფერს ვუთმობდით და თუკი ფინანსურად მოვლონიერდებით, გაცილებით მეტი ამბიცია გვექნება"*, - გვითხრა შეროზიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართველებმა უნდა დაიჯერონ, რომ არავისზე ნაკლები არ არიან




შოთა არველაძე, ირაკლი გიგაური, არჩილ არველაძე, რევაზ არველაძე

გუშინ, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" "საქართველოს ბანკმა" და "ფონდმა არველაძემ" ჟურნალისტების თვალწინ მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ცხადია, პრესკონფერენციაც გაიმართა - მასმედიელთა კითხვებს "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი **ირაკლი გილაური** და "ფონდ არველაძის" დამფუძნებლები, **რევაზ, არჩილ** და **შოთა არველაძეები** პასუხობდნენ.

**ირაკლი გილაური:** ძმებმა არველაძეებმა ჩამოაყალიბეს ფონდი, რომელიც მხარს უჭერს ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების განვითარებას, ნიჭიერების უცხოურ კლუბებში მივლინებას. მოხარული ვარ, ჩვენი ბანკი ასეთ პროექტში რომ ჩაერთო. ჩვენ დავაფინანსებთ "ფონდ არველაძის" პროექტებს და ყველას მოვუწოდებ ამ საქმეში წვლილის შეტანისკენ.

**შოთა არველაძე:** ეს მნიშვნელოვანი დღეა ქართული ფეხბურთისთვის. ჩვენი მიზანია, ნიჭიერ ახალგაზრდებს მეტი მოტივაცია და თავის გამოჩენის უკეთესი საშუალება მივცეთ, ევროპულ გუნდებში მოხვედრით ავუსრულოთ ოცნება. "საქართველოს ბანკი" ამ თანადგომით პირველ რიგში ქართულ ფეხბურთს უჭერს მხარს. მას შემდეგ, რაც "საქართველოს ბანკი" ჩვენი პარტნიორი გახდა, უფრო მეტი ქართველი ბავშვი აისრულებს ოცნებას.

**არჩილ არველაძე:** ძალიან სასიხარულო დღეა. ჩვენს ბავშვობაში რომ ყოფილიყო ასეთი ფონდი, ჩვენი თაობა უფრო მეტს მიაღწევდა. ვისაც კი ქართულ ფეხბურთზე გული შესტკივა, ყველას ვულოცავ ამ დღეს. დარწმუნებული ვარ, ფონდის და "საქართველოს ბანკის" თანამშრომლობა წარმატებული იქნება.

**რევაზ არველაძე:** ჩვენი და "საქართველოს ბანკი" თანამშრომლობა 3 ივნისს, შოთის გამოსათხოვარი მატჩი რომ მოვაწყვეთ, იქიდან დაიწყო. 3 ივნისის საღამოთი აღფრთოვანებას ჩვენი უცხოელი სტუმრები ახლაც გამოხატავენ. გარდა კარგი და ქველი საქმეების კეთებისა, "საქართველოს ბანკსა" და ჩვენს ფონდს სხვა საზრუნავი არ ექნება.

**- რა იქნება "ფონდ არველაძისა" და "საქართველოს ბანკის" მორიგი მასშტაბური პროექტი?**

**შოთა:** 2009 წლის მაისში ამსტერდამში მორიგი მინი ჩემპიონთა ლიგა გაიმართება 1997 წელს დაბადებულ ბავშვებში. ტურნირში მონაწილეობენ მილანის "ინტერი", მიუნხენის "ბაიერნი", ამსტერდამის "აიაქსი", "მანჩესტერი"... გვინდა, რომ ამ ტურნირზე რომელიმე ქართული გუნდიც გავუშვათ, ამ პროექტზე უკვე ვმუშაობთ.

**გილაური:** რა თქმა უნდა, იქნება სხვა პროექტებიც. ერთ-ერთი მთვარი პრიორიტეტი ბავშვთა ფეხბურთია: ეკიპირება, სტაჟირება, სტიპენდიის დაწესება... ძმები არველაძეები წარმატებული ფეხბურთელები იყვნენ და ფეხბურთში აგრძელებენ საქმიანობას და უნდათ, რომ საქართველოს მათზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავდეს.

**არჩილი:** ფეხბურთელების გარდა ნიჭიერ მწვრთნელებსაც დავეხმარებით, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისთვის.

**შოთა:** ამასწინათ ანატოლი მილჩენკოს შევხვდი და მითხრა, დახმარება ახალგაზრდა მსაჯებსაც სჭირდებათო. ჩვენ გავითვალისწინებთ მილჩენკოს აზრს და ვეცდებით, მსაჯებსაც შევუწყოთ ხელი.

**- როდის გაჩნდა ასეთი ფონდის შექმნის იდეა?**

**არჩილი:** როცა ფეხბურთელობას თავი დავანებე და თბილისში დავბრუნდი, მაშინ დავიწყე ამაზე ფიქრი. ჯერ კიდევ ფონდის შექმნამდე რამდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდას დავეხმარეთ. ფონდი ოთხი წლის წინ შევქმენით, ამიერიდან კი ჩვენი საქმიანობა უფრო მასშტაბური და მიზანმიმართული იქნება.

**შოთა:** ქართველმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა უნდა დაიჯერონ, რომ არავისზე ნაკლები არ არიან - ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**- რატომ გადაწყვიტეთ მაინც და მაინც "ფონდ არველაძის" პარტნიორობა?**

**გილაური:** ნებისმიერი ქართველი, ვისაც ქართულ ფეხბურთზე გული შესტკივა, ასე მოიქცეოდა. ჩვენ იმიტომ ვაკეთებთ ამას, რომ ქართულ ფეხბურთს მომავალი ჰქონდეს.

**დავით თავართქილაძე**

# დოლიძემ კიდევ გაიტანა



შაბათს სიმფეროპოლის "ტავრიამ" მესამე ლიგის "ხიმიკთან" საკონტროლო მატჩი გამართა და 2:1 მოიგო. ყირიმელებმა ტაიმები სხვადასხვა შემადგენლობით ჩაატარეს. მათ შორის იყო წლების შემდეგ გუნდში დაბრუნებული **ვასილ გიგიაძე**, რომელიც "ტავრიის" მთავარმა მწვრთნელმა **მიხაილ ფომენკომ** გამთამაშებლის პოზიციაზე დააყენა.

სიმფეროპოლელების შემადგენლობაში ხუთმა გასასინჯმა ფეხბურთელმა ითამაშა, მათ შორის იყვნენ "ამერის" წევრები - **თენგიზ ჩიკვილაძე** და **გრიგოლ დოლიძე**.

ანგარიში "ხიმკიმ" გახსნა, წონასწორობა კი პირველი ტაიმის მიწურულს დოლიძემ გაათანაბრა - მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი ყუმბარისებური დარტყმით, ახლო მანძილიდან კარისკენ ზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმში კი შემადგენლობა შეიცვალა, მოედანზე "ტავრიის" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები გამოვიდნენ და მატჩი 2:1 მოიგეს.

სხვათა შორის, "ამერის" ნახევარმცველმა პირველივე ორმხრივ შეხვედრაზე სამი ბურთი გაიტანა და წესით მისი საქმეები კარგად უნდა მიდიოდეს. თუმცა ჩაირიცხება თუ არა კლუბში, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვივა, აკადემია!

გუშინ თენგიზ სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემიის სტადიონზე თბილისის ჩემპიონატის ფინალი გაიმართა 1995 წელს დაბადებულთა შორის.

"სულაქველიძის აკადემიამ" "შევარდენს" 4:1 მოუგო და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

საუკეთესო მოთამაშედ აკადემიელი **ვანო კურდღელაშვილი** დაასახელეს, ფინალის ფეხბურთელად კი გია პაპუნაშვილი, რომელმაც "შევარდენის" კარში სამი ბურთი გაიტანა.

ეს ტურნირი ჩვენთვის საინტერესო იმიტომ გახდა, რომ საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები ჩამოყალიბდა და მალე მის რიგებს სწორედ ამ ასაკში გამორჩეული ბავშვები მოხვდებიან.

**დათო მეფარიშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ფეხბურთი

# ევროტურნირის გამარჯვებული ნემსაძის სკოლის პარტნიორი ხდება

## 25 ივნისს თბილისში გერმანელები ხელშეკრულებას გააფორმებენ

**გიორგი ნემსაძემ** და "იბერიაბიზნესჯგუფმა" საფეხბურთო კლუბი "საბურთალო" ხუთი მცირე მოედნით გადაიბარეს. მათ ხელში სკოლამ ამბიცია შეიძინა და ალბათ, მალე საქართველოს საუკეთესო საფეხბურთო ცენტრებს გაუტოლდება. "საბურთალოს" მეპატრონეებს დიდი გეგმები გააჩნიათ, რაზეც დღევანდელ სტატიაში მოგითხრობთ.



კახა ამირიძე



კახა ჭუმბურიძე

**კახა ამირიძე**, "საბურთალოს" დირექტორი:

- ჩვენი სკოლა ჭაბუკთა ლიგაში "მერანის" სახელით გამოდიოდა და მესამე ადგილი დავიკავეთ. მომავალი სეზონიდან კი ჭაბუკთა ლიგაში სამივე ასაკით გამოვალთ. წლეულს მიზნად პირველობა არც გვქონდა დასახული, გუნდის შენებაზე ვიყავით ორიენტირებულები და ამით იყო გამოწვეული, 1992-წლიანებში ერთი წლით უმცროსი ბიჭებით რომ ვთამაშობდით.

საერთოდ, ჩვენი მიზანი ძლიერი სკოლის ჩამოყალიბებაა, რომელიც საქართველოს ნაკრებებს ყოველწლიურად ფეხბურთელებით მოამარაგებს. 16-წლამდელების ნაკრებში ჩვენი 9 ბავშვი თამაშობს და ალბათ, ეს ბევრზე მეტყველებს.

ჩვენთან არის წახალისების სისტემა - მთავარი გუნდისთვის ვინც მეტ მოთამაშეს გაზრდის, მეტადაც დაფასდება და რაც მთავარია, ჩვენთან მხოლოდ ლიცენზირებული სპეციალისტები მუშაობენ. "საბურთალო" პირამიდის სისტემას ნერგავს, ანუ ყველა გუნდში მთავარი მწვრთნელის მონახაზით მუშაობენ. ბავშვებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ, მთავარ გუნდში სათამაშოდ რა მოთხოვნების შესრულება იქნება საჭირო. ჩვენ წლეულს გვსურდა პირველ ლიგაში გამოსვლა, მაგრამ გადავიფიქრეთ. "საბურთალო" ისე უნდა გაძლიერდეს, მხოლოდ საკუთარი გაზრდილებით რომ ვითამაშოთ.

აუცილებლად ვაპირებთ სტადიონის აშენებასაც. "იბერიაბიზნესჯგუფს" უკვე კონკრეტული პროექტი გააჩნია. სხვანაირად, 13-წლამდელების სკოლად დავრჩებით. სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონზე გაკეთდება აუზი, ფიტნესდარბაზი, აღდგენითი ცენტრი. ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, ბავშვებმა აქეთ-იქით რომ არ ირბინონ და სავარჯიშოდ და აღსადგენად საჭირო ყველა პირობა "საბურთალოში" რომ ჰქონდეთ.

სამედიცინოს სტადიონის რეკონსტრუქციის შემდეგ, იქ მთავარი კლუბები ითამაშებენ, იოსებიძის ქუჩაზე მდებარე მინი-მოედნებზე კი პატარა ასაკის ბავშვები ივარჯიშებენ. მათ ასაკში დიდ მოედანზე თამაში სასურველი არც არის.

თურქულ შეკრებაზე ტრაბზონის სკოლებს გავეცანით. გავგიჟდი კაცი, თამაშზე ყველა საკუთარი ავტობუსით მოვიდა, ფორმები და ბურთები სადარდებელი არ ჰქონდათ და მაინც ოთხივე შეხვედრა მოვუგეთ.

თურქებს ვინ ჩივის, აზერბაიჯანელებმაც ძალიან გაგვისწრეს. თელეთში ტურნირი გაიმართა და ბაქოელები ჩამოვიდნენ. ფინალის მოგებისთვის მწვრთნელს 1000 დოლარს შეჰპირდნენ, ბავშვებს კი – 300-300 დოლარს.

მათი პირობები რომ გვქონდეს, გაცილებით ეფექტურად ვიმუშავებდით და ჩვენი მიზანიც ესაა - ადრე თუ გვიან, მათ დონეს უნდა მივაღწიოთ.

"საბურთალოს" გენერალური დირექტორი **კახა ჭუმბურიძე**:

- სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონის რეკონსტრუქცია გადაწყვეტილი საქმეა. ეს არაა მხოლოდ სიტყვები, რომ რაღაცას ვაკეთებთ. პროექტი დამტკიცებულია და მალე საქართველოს კიდევ ერთი, პატარა და ლამაზი სტადიონი შეემატება.

**- რეკონსტრუქციას როდის იწყებთ?**

- დღე-დღეზე სამედიცინოს სტადიონზე მშენებლობა დაიწყება. სადაც ბოლო თაობის ხელოვნური საფარი დაიგება, სამუშაოები კი სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება. ამას გარდა, მცირე რაოდენობის ტრიბუნების აშენებაზეც ვფიქრობთ. ანუ ისეთი სტადიონი გვექნება, სადაც უმაღლესი ლიგის შეხვედრების გამართვაც სასურველი იქნება.

ამას გარდა, კიდევ ერთი სიახლეა, რომელიც ჩვენის სკოლის განვითარებას ხელს შეუწყობს. უახლოეს დღეებში თბილისში "მაგდებურგის" პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ჩამოდიან და "საბურთალოსთან" ხელშეკრულებას გააფორმებენ.

**- თანამშრომლობა რა სახით განვითარდება?**

- თანამშრომლობის სურვილს ჩვენ ოფიციალურად დავადასტურებთ. მე და დათო პეტრიაშვილმა (რომელიც "საბურთალოს" ვიცე-პრეზიდენტია) "მაგდებურგის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება ჯერ კიდევ იანვარში დავიწყეთ, როდესაც გერმანიაში ვესტუმრეთ. "მაგდებურგი" 1974 წლის თასების თასის მფლობელია და ფინალში "მილანს" მოუგო. მართალია, ახლა მესამე ბუნდესლიგაში გამოდის, მაგრამ, კლუბის აღორძინებისთვის რეალურ ნაბიჯებს დგამენ და ამ გზის ერთ-ერთი ნაწილი საქართველოში ძლიერ პარტნიორთან თანამშრომლობა და ტალანტების მოძიებაა.

ჩვენთვის კი "მაგდებურგი" ევროპაში ფანჯარა იქნება - "საბურთალოს" გაზრდილები ამ კლუბში ითამაშებენ, მისი დახმარებით კი, უფრო ძლიერ გერმანულ კლუბში მოხვედრას შეეცდებიან. ამ ყველაფრის მიზანი, ვფიქრობ, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს - საქართველოს ნაკრებს ძლიერი ფეხბურთელები უნდა გავუზარდოთ.

უფრო დეტალურად თანამშრომლობაზე 25 ივნისს, "შერატონ-მეტეხი პალასში" ვისაუბრებთ, სადაც ხელშეკრულებას საზეიმო ვითარებაში გავაფორმებთ და მედიის წარმომადგენლებს მოვიწვევთ. ვფიქრობ, ეს ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი ხელშეკრულება იქნება, რადგან, დღემდე არც ერთ ქართულ საფეხბურთო სკოლას უცხოურ პროფესიულ კლუბთან მსგავსი პარტნიორული ურთიერთობა არ დაუმყარებია.

**მერაბ მამულაშვილი**

# აბრამიძე რუსული პასპორტით კმაყოფილია

"ანჟი" ვალერი აბრამიძისთვის მესამე რუსული კლუბია. მანამდე იგი მოსკოვის "სპარტაკისა" და "ხიმკის" ღირსებაც იცავდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მახაჭყალაში ქართველი მცველი ყველაზე წარმატებულად თამაშობს. "ანჟი" პრემიერლიგაში გადასასვლელად იბრძვის, აბრამიძე კი ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია. მასთან ინტერვიუ "ჩემპიონატ.რუ-ზე" გამოქვეყნდა.

**კულუარებში "ანჟის" საქართველოს ნაკრების ფილიალს ეძახიან. მწვრთნელი ომარ თეთრაძე საქართველოში დაიბადა, გუნდში კი შვიდი ქართველი ასპარეზობს.**

დიახ, "ანჟიში" ბევრი ქართველია და სწორედ ამ ფაქტორის გამო გადავწყვიტე ამ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება. სასიამოვნოა იმ გუნდში თამაში, სადაც ჩემი არაერთი თანამემამულეა. თუმცა განაცხადში უკვე შეყვანილი ვარ, როგორც რუსი. შარშან რუსეთის მოქალაქეობა მივიღე.

**მოსკოვში ხართ ჩაწერილი?**

არა, ქალაქ პოლიარნი ზორიში. იქ დეიდაჩემი ცხოვრობს.

**თავად თუ ყოფილხართ რუსეთის ჩრდილოეთში?**

რა თქმა უნდა. პირველად ზორიში ბავშვობაში ვიყავი დედასთან ერთად. იქ შარშანაც ჩავედი, როცა რუსული პასპორტი ავიღე. ეს საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. საბოლოო ჯამში, ამან წელიწადნახევარი წაიღო. კმაყოფილი ვარ, რუსული პასპორტი რომ მაქვს.

**გამოდის, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშს ველარ შეძლებთ?**

დიახ, ასეა. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ეროვნული გუნდის მწვრთნელები ყურადღებას აღარც მაქცევდნენ.

**რატომ?**

ალბათ იმიტომ, რომ აზერბაიჯანში ვთამაშობდი. იქ ორჯერ გავხდი ჩემპიონი, "ნეფთჩისა" და "ხაზართან" ერთად. სულაც არ ვნანობ, ის წლები იქ რომ გავატარე. ჩემთვის ოქროს ხანა იყო.

**ახლა, ალბათ, მხოლოდ ერთ რამეზე გწყდებათ გული. "სპარტაკში" იმ დროს მიხვედით, როცა კლუბს ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე რთული პერიოდი ჰქონდა.**

სამწუხაროდ, ასე იყო. განსაკუთრებით ხშირად ჩემპიონთა ლიგა მახსენდება, სადაც ექვსივე მატჩი წავაგეთ ბურთების საშინელი სხვაობით. პარფიონოვი და ტიტოვი დაშავებულები იყვნენ, გუნდიდან ციხმეისტრუკი და სიჩოვი წავიდნენ...

**პირველ დივიზიონში "ანჟი" ყველაზე ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს.**

ძალიან კარგი მწვრთნელები გვყავს. ომარ თეთრაძე და არტურ პაგაევი თავის დროზე მაღალ დონეზე თამაშობდნენ. ერთი "რომაში" ასპარეზობდა, მეორე "ალანიასთან" ერთად რუსეთის ჩემპიონი გახდა. ორივე რუსეთის ნაკრების წევრი იყო. საფეხბურთო ნიუანსებში თეთრაძე და პაგაევი ბრწყინვალედ ერკვევიან.

**მახაჭყალა თავისებური ქალაქია...**

თუმცა ეროვნებით ქართველს დაღესტანში ცხოვრება არ მიჭირს. ძლიერი გუნდი და შესანიშნავი გულშემატკივრები გვყავს. ასეთ ატმოსფეროში თამაში ერთი სიამოვნებაა.

**კასპიის ზღვაში თუ იბანავეთ?**

ჩვენი ბაზა ზღვის პირასაა, შარშან ხშირად ვბანაობდით, წლეულს კი წყალი ჯერ არ გამთბარა.

**- თბილისში ხშირად ჩადიხართ?**

- როცა დრო მაქვს, ყოველთვის ჩავდივარ. კიდევ კარგი, მოსკოვი-თბილისის ავიარეისი აღადგინეს. ადრე ძალიან ვწვალობდი. მახაჭყალიდან ბაქომდე 500 კილომეტრს მანქანით გავდიოდი, შემდეგ კი თბილისში მივფრინავდი.

**- ქართველები ბევრ რუსულ კლუბში ასპარეზობენ. რომელ თანამემამულეებთან გაქვთ ურთიერთობა?**

- ლოკომოტიველი მალხაზ ასათიანი ჩემი საუკეთესო მეგობარია. მასთან მოსკოვში ხშირად ჩავდივარ. მოსკოვი ძალიან მომწონს, ალბათ, კარიერის დასრულების შემდეგ იქ დავსახლდები.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



ლეგიონერი

# მათე ბაიერნის ექიმს ემადლიერება



## ღვინიანიძე ფეხზე დადგა და ვარჯიში დაიწყო

ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ, **მათე ღვინიანიძე** მოედანს უბრუნდება. როგორც იცით, საქართველოს ნაკრებისა და "მიუნხენ 1860-ის" მცველმა მუხლზე ორი ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც ფაქტობრივად შვიდი თვე გაუცდა. მათემ უკანასკნელი მატჩი 12 ნოემბერს (მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან") ჩაატარა და მას მერე ლაზარეთში იმყოფებოდა.

*"არ დავნებდი, ბოლომდე ვიბრძოლე და როგორც ხედავთ, ფეხზე წამოვდექი,"* - ამბობს მათე "ბილდის" კორესპონდენტთან საუბრისას. ღვინიანიძე არ მალავს, რომ ტრავმის მიღების შემდეგ ჰქონდა პერიოდი, როცა ფიქრობდა, რომ ფეხბურთს ველარასოდეს ითამაშებდა: *"პირველი ოპერაციის შემდეგ მარცხენა მუხლი ისევ ამტკივდა და სიმართლე გითხრათ, უკვე ხელის ჩაქნევას ვაპირებდი, მაგრამ მერე ჩემმა მრჩეველმა* ***კარლ ჰერცოგმა დოქტორ მიულერ-ვოლფარტთან*** *გამაგზავნა."*

ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ეს უკანასკნელი მიუნხენის "ბაიერნის" მთავარი ექიმია. მაგრამ მასთან მხოლოდ რეკორდმაისტერის მოთამაშეები როდი მკურნალობენ - **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტი** იმდენად ძლიერი ექიმი გახლავთ, რომ მასთან სხვა გერმანული კლუბების გარდა, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებიც მკურნალობენ ხოლმე.

მიულერ-ვოლფარტმა მათე გასინჯა და კიდევ ერთ უძლიერეს სპეციალისტთან, დოქტორ **ულრიხ ბიონიშთან** გააგზავნა, რომელმაც ქართველს მეორე ოპერაცია გაუკეთა. *"დღეს რომ ფეხზე ვდგავარ და ვვარჯიშობ, ეს ჰერ მიულერ-ვოლფარტის დამსახურებაა, რის გამოც მას კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი,"* - ამბობს ღვინიანიძე, რომელიც სულ მალე უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშს დაიწყებს. მათე "მიუნხენ 1860-ის" გენერალურ მენეჯერ **შტეფან როიტერსაც** ემადლიერება, რომელმაც მას დეკემბერში კონტრაქტი 2011 წლამდე გაუგრძელა, ასევე მწვრთნელ **მარკო კურცს** და თანაგუნდელებს: *"ყოველდღე მირეკავდნენ, ხშირად მნახულობდნენ და მაგულიანებდნენ. დიდი მადლობა ყველას. სამაგიეროს მოედნიდან, კარგი თამაშით გადავუხდი."*

## პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი, ძალების კერპი

ღვინიანიძე "მიუნხენ 1860-ის" პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი და "ლომების" სუსტი სქესის წარმომადგენელი გულშემატკივრების კერპიაო, წერს "ბილდი". ტრავმამ მათეს ბევრი ფულიც დააკარგვინა - დაზღვევამ ხელფასის მხოლოდ 70 პროცენტი აუნაზღაურა, მაგრამ ქართველი ამის გამო არ დარდობს. ღვინიანიძე: *"ამაზე არ ვფიქრობდი, სამაგიეროდ, ვლოცულობდი იმისათვის, რომ მეორე ბუნდესლიგიდან არ გავვარდნილიყავით."*

"ლომები" მეორე ბუნდესლიგაში დარჩნენ და გაისად ელიტაში დაბრუნებისთვის ბრძოლას აპირებენ.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო. პრეზენტაცია

# ევროპაში რიხიანად უნდა დავბრუნდეთ

## ჩემპიონებმა ახალი მწვრთნელი წარადგინეს


რაინერ ცობელი



აკა ტონია, რაინერ ცობელი, ბუბა ტყავაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ამ რამდენიმე დღის წინათ, თბილისის "დინამოს" ახალი თავკაცის ვინაობა გაცხადდა - რაინერ ცობელი. ამ გერმანელ მწვრთნელთან ინტერვიუც შემოგთავაზეთ და იქვე ვწერდით, რომ ცობელი "დინამოში" მალე პირველ ვარჯიშს ჩაატარებდა და კლუბის ხელმძღვანელობა მთავარ მწვრთნელს ოფიციალურად წარადგენდა. ეს დღეც დადგა.

გუშინ, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, კლუბის პრესატაშე გიგა გვენცაძემ მთავარი მწვრთნელი რაინერ ცობელი, კლუბის დირექტორი ბუბა ტყავაძე და ფიფას ლიცენზირებული აგენტი აკა ტონია წარგვიდგინა.

შესავალი სიტყვა ბუბა ტყავაძემ აიღო.

- ბუნებრივია, გასული სეზონის დასრულებამდე ვიცოდით, რომ ჩემპიონატის ბოლოს დუშან უჰრინს კლუბთან ხელშეკრულების ვადა უმთავრდებოდა. შესაბამისად, ახალი მწვრთნელის შერჩევაზე დავიწყეთ ზრუნვა. რამდენიმე კანდიდატურა განვიხილეთ და საბოლოო გადაწყვეტილებაც მივიღეთ. რაინერ ცობელთან 3-წლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. ხელშეკრულებაში ბუნებრივია, არის ჩადებული პუნქტები, რომელიც კონტრაქტის გაწყვეტას ითვალისწინებს. თუმცა იმედი მაქვს, ეს არ დაგვჭირდება.

რაინერ ცობელი:

ალბათ გარკვეული წარმოდგენა გაქვთ ჩემ შესახებ. ბიოგრაფიული მონაცემები ისედაც გეცოდინებოდათ, ამიტომ საკუთარი პერსონის შესახებ დიდხანს არ ვისაუბრებ. მოკლედ ვიტყვი: 1987 წლიდან მოყოლებული, პროფესიონალი მწვრთნელი ვარ. გერმანიის არაერთ გუნდში მიმუშავია. უცხოეთში კი მხოლოდ უმაღლესი ლიგის გუნდებს ვწვრთნიდი. მყავს მეუღლე და სამი ვაჟი.

თბილისის "დინამოს" მთელ ევროპაში იცნობენ. მართალია, 1981 წლიდან, თასების თასის დაუფლებიდან, დიდი დრო გავიდა, მაგრამ ამ სახელოვანი კლუბის შესახებ, დღესაც ბევრმა იცის. ჩემმა 14 წლის ვაჟმაც კარგად იცის, თუ რას წარმოადგენს თბილისის "დინამო". ეს გუნდი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში ყველაზე მდიდარი წარსულის მქონე ტიტულოვანი გუნდია. მართალი გითხრათ, მეამაყება, რომ მისი მთავარი მწვრთნელი ვარ. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ზოგ ქართველს სათანადოდ არ აქვს გათავისებული "დინამოს" მნიშვნელობა. მე კარგად ვიცი ამ გუნდის ფასი. ჩვენ ყველამ ერთად, "დინამოს" დიდება უნდა დავუბრუნოთ და ეს გუნდი საფეხბურთო ევროპაში ისევ ანგარიშგასაწევი ძალა უნდა იყოს ყველა მეტოქისთვის. "დინამო" ევროპაში რიხიანად უნდა დაბრუნდეს.

მჯერა, რომ კარგი გუნდი ჩავიბარე. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ "დინამო" ქვეყნის ჩემპიონია. თუმცა საქართველოს ჩემპიონობა ჩემთვის საკმარისი არაა. ჩვენ შემდეგი ნაბიჯი უნდა გადავდგათ და ეს იქნება ევროტურნირებზე წარმატებული ასპარეზობა და ყველასათვის ანგარიშგასაწევ გუნდად ჩამოყალიბება.

**- შეძლებთ თუ არა კონტინგენტის შენარჩუნებას და შეძლებისდაგვარად გუნდის გაძლიერებას?**

**ბუბა ტყავაძე:** ჩვენი ბირთვი უკვე შენარჩუნებულია. გუნდმა დაიწყო ვარჯიში. გასული სეზონის შემადგენლობიდან მხოლოდ დობეშს გამოვეთხოვეთ. ზელიჩი კი ჯერაც აცხადებს, რომ ფეხბურთელის კარიერის გაგრძელებას აღარ აპირებს. ერთადერთი გამონაკლისი ხუციშვილია. მას კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა თავად უნდა გადაწყვიტოს, სხვაგან გააგრძელებს კარიერას თუ "დინამოში" დარჩება.

**- საინტერესოა, თუ როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება ახალ გუნდზე...**

**რაინერ ცობელი:** ჯერ მხოლოდ სამი დღე გავატარე "დინამოსთან" ერთად და ბევრს ვერაფერს გეტყვით. ერთი კი თვალშისაცემია, ყველა ფეხბურთელი მონდომებით ემზადება. გამოცდილ ფეხბურთელეთან ერთად, მონდომება ახალგაზრდებსაც არ აკლიათ. 18-19 წლის მოთამაშეებიც თავდადებით ემზადებიან. ეს მხოლოდ ისაა, რაც ვარჯიშებზე დავინახე. უფრო მეტის თქმა ამხანაგური მატჩის შემდეგ შემეძლება. სწორედ ამიტომ ვთხოვე კლუბის ხელმძღვანელობას და ამ დღეებში საწვრთნელ მატჩს გავმართავთ დუბლების ან ჩვენი აკადემიის გუნდთან. საერთო წარმოდგენის შესაქმნელად 10 დღე დამჭირდება.

**- როგორია თქვენი საფეხბურთო კრედო, რომელ სათამაშო სტილს ანიჭებთ უპირატესობას?**

რ. ც. - შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ. ჯერ ვერ გეტყვით, 100 პროცენტით ასე იქნებამეთქი, მაგრამ მინდა საქართველოს ჩემპიონატზე უმთავრესად სწორედ შემტევი ტაქტიკით ვიასპარეზოთ. თუმცა ევროტურნირებზე მუდმივად ამ ტაქტიკით თამაში გაგვიჭირდება.

შემტევი თამაში სხვადასხვა ფორმისაა. პირველი, გამუდმებით უტევდე და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ზეწოლის ქვეშ გყავდეს მეტოქე. მეორე, კონტრშეტევებით ეთამაშო მეტოქეს, მაგრამ არა დაცვიდან. ალბათ, ეროვნულ ჩემპიონატში უმთავრესად პირველ, ხოლო ევროტურნირებზე მეორე ვარიანტს ავირჩევთ. ერთს კი ახლავე გპირდებით, 11 ფეხბურთელს დაცვაში ნამდვილად არ დავაყენებ და იმას არ დაველოდები თუ როდის გაგვიტანს გოლს მოწინააღმდეგე.

გუშინ ხომ ნახეთ ჩეხეთი-თურქეთის თამაში. ჩეხები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ 3:2 წააგეს. იმიტომ, რომ დაცვაში ჩაჯდნენ და ანგარიშის შენარჩუნებაზე იწყეს ზრუნვა. ჩეხების მწვრთნელი რომ ვყოფილიყავი 2:0-ზე ბაროშს შევიყვანდი მოედანზე. მეტოქეს პრობლემები შენს კი არა, მისსავე ნახევარზე უნდა შეუქმნა.

**- თუ ნახეთ "დინამოს" ან საქართველოს ნაკრების თამაშის ფირი და როგორ ფიქრობთ, რა პრობლემებთან მოგიწევთ შეჭიდება?**

რ. ც. - არა, გუნდის არა მაგრამ ცალკეული ქართველი ფეხბურთელების თამაში კი ნანახი მაქვს. იყო პერიოდი, როცა "ფრაიბურგში" ნახევარ გუნდს ქართველები შეადგენდნენ. ევროპის წამყვან კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელებს, კალაძეს, კობიაშვილსა და სხვებს კარგად ვიცნობ.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს. ჩემი აზრით, ქართველმა ფეხბურთელებმა ორთაბრძოლებში უნდა მოუმატონ. მოედანზე მეტი ორგანიზება და დისციპლინაა საჭირო. ამასთან, გუნდს გამარჯვებულის მენტალიტეტი და ფსიქოლოგია უნდა ჰქონდეს. თუ არ გჯერა რომ მოიგებ, ისე ძნელია წარმატების მოპოვება. თუ თავში ის გიტრიალებს, რომ მეტოქე შენზე ძლიერია და ვერას გახდები, მაშინ თავიდანვე განწირული ხარ წარუმატებლობისთვის.

**- ახალი მიზნებისთვის ამ კონტინგენტით იბრძოლებთ თუ შემადგენლობას უცხოელი ლეგიონერებითაც გააძლიერებთ?**

რ. ც. - წარმატების მიღწევა ამ კონტინგენტითაც შეიძლება, მაგრამ გაძლიერება არც ერთ გუნდს არ აწყენდა. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს "დინამოა" და ამ კლუბის მეპატრონე აბრამოვიჩი არაა. უცხოელი ლეგიონერები გვყავს, შესაძლოა 2-3 უცხოელი კიდევ დავიმატოთ. ჯერ კიდევ არ ვიცნობ გუნდს და გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ის კი ცხადია, რომ 4 საშუალო ფეხბურთელს 2 მაღალი კლასის მოთამაშე სჯობს. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კალაძემ, კობიაშვილმა და სხვა ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელებმა სწორედ "დინამოდან" დაიწყეს დიდი კარიერა. მჯერა, ასეთი ტალანტები საქართველოში დღესაც არიან და ისინი უნდა ალმოვაჩინოთ.

**- თუ იცნობთ კლაუს ტოპმიოლერს და თბილისში ჩამოსვლამდე მასთან ხომ არ გისაუბრიათ?**

რ. ც. - კლაუს ტოპმიოლერს კარგად ვიცნობ. ფეხბურთელობისა და მწვრთნელობის დროს, არაერთხელ აღმოვჩენილვართ ერთმანეთის პირისპირ. თუმცა საქართველოში ჩამოსვლამდე მასთან ნამდვილად არ მქონია საუბარი. ჩემი სტილი არაა, ვინმეს დავურეკო და მისი ნათქვამით შევიქმნა წარმოდგენა ჩემთვის უცხო გარემოზე. გაგონილს ყოველთვის თვალით ნანახი მიჯობს.

**- საინტერესოა თქვენი პირველი შთაბეჭდილებები საქართველოსა და საერთოდ თქვენთვის ახალ გარემოზე. სწორედ ისეთი გარემო დაგხვდათ რააც ელოდით, თუ მეტი ან ნაკლები?**

რ. ც. - მართალი გითხრათ, საქართველოში განსხვავებული ემოციებით ჩამოვედი. არ ვიცოდი, როგორი ქვეყანა გქონდათ. მართალი გითხრათ, პოზიტიურად გავვოცდი. შეგიძლიათ საქართველოთი იამაყოთ. ჯერ მხოლოდ თბილისი ვნახე, საქართველო არ მინახავს. დედაქალაქი ძალიან მომეწონა. არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დიდი ფინანსური შესაძლებლობებია, მაგრამ აქ უკეთესი პირობებია გუნდის მოსამზადებლად.

**- ოფიციალური დებიუტი ევროტურნირებზე გელით. ალბათ გერჩივნათ, რომ "ნათლობა" ჯერ საქართველოს ჩემპიონატში გქონოდათ...**

რ. ც. - მწვრთნელი ვალდებულია ესა თუ ის მოვლენა ისე მიიღოს, როგორც არის. ვერაფერს შევცვლი. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩამდე დრო ცოტაა, მაგრამ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**- ევროტურნირებამდე მოსკოვში, რუსულ "დინამოსთან" რთული მატჩი გელით...**

რ. ც. - მოსკოვში მართლაც სერიოზული მატჩი გველის. საერთოდ კი ევროტურნირებამდე გერმანიაში მოვემზადებით, "კარლ ცაისთან", დრეზდენის "დინამოსთან", "აუესთან"... გვექნება ამხანაგური შეხვედრები. ყველაფერს გავაკეთებ, რომ გუნდს ჩემი ხელწერა მალე დავატყო. ეს ამხანაგური მატჩები გვაჩვენებს, თუ რა აკლია და სჭირდება გუნდს, რა პრობლემა უნდა მოვაგვაროთ, რა იქნება პრიორიტეტი და ა. შ. მთავარია დაცვა იდგეს საიმედოდ, სისწრაფეს მოვუმატოთ და მაღალ ტემპში შევძლოთ თამაში, დაცვიდან შეტევაზე გადართვა გუნდმა მალე შეძლოს... არაერთი ნიუანსია რომელშიც უნდა მოვუმატოთ და მერე შედეგებიც კარგი გვექნება.

**- ალბათ დაგვეთანხმებით, რომ გამძლეობა და მაღალი ფიზიკური მომზადება თანამედროვე ფეხბურთში მნიშვნელოვანი ფაქტორებია. "დინამო" თუ შეძლებს 90 წუთი გაუძლოს ფეხბურთში დღეს არსებულ დატვირთვებს?**

რ. ც. - რაც ჩამოვედი, ჯერ მხოლოდ სირბილი გვაქვს. აქამდე გუნდმა 70 კილომეტრი ირბინა. ეს მაჩვენებელი კიდევ გაიზრდება. დიდი დატვირთვებისას ფეხბურთელთა პულსი მაღალია. ეს პრობლემა გამოსასწორებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემამდე გუნდს ფიზიკური დატვირთვები ინტერვალებით ჰქონდა. ჩვენ ჯერ ფუნდამენტის ჩაყრის პერიოდში ვართ. დრო გვჭირდება და კარგი გუნდი გვეყოლება.

**დავით ცაბაძე**

სტაჟირებაზე არგენტინაში

თქვენ დელგადო გიწვევთ!

ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი **ედუარდო დელგადო** იწვევს 17-18 წლის ასაკის, პერსპექტიულ ფეხბურთელებს: ორ მეკარეს, ორ თავდამსხმელს, მარჯვენა და მარცხენა მცველსა და ნახევარმცველს სტაჟირებაზე 1-2 წლით არგენტინაში.

ფეხბურთელები სათანადო დონეზე მომზადების შემდეგ, დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში. მომზადების პროცესში შედის ამხანაგური მატჩები არგენტინის კლუბებთან.

სტაჟირების, აგრეთვე სხვა ხარჯებს გაიღებენ მსურველები ან მათი სპონსორები.

30 ივნისამდე, გამგზავრებამდე მსურველებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ ესპანურ ენაში. გასაუბრება და დაწვრილებითი ცნობები 10 ივნისიდან ყოველდღე, კვირის გარდა.

*ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩა №4 (თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე) 12-დან 14სთ-მდე. ტელეფონი: 8 99 23 55 20*

ქართულ-არგენტინული
საფეხბურთო კლუბი GEHARG-ის წარმომადგენლობა საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისი. პრემიერლიგა 2008-09. კალენდარი




**I ტური. 16 აგვისტო**
არსენალი-ვესტ ბრომვიჩი
ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-სტოკი
ჩელსი-პორტსმუთი
ევერტონი-ბლექბერნი
ჰალი-ფულჰემი
მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი
მიდლსბრო-ტოტენჰემი
სანდერლენდი-ლივერპული
ვესტ ჰემი-ვიგანი

**II ტური. 23 აგვისტო**
ბლექბერნი-ჰალი
ფულჰემი-არსენალი
ლივერპული-მიდლსბრო
მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი
ნიუკასლი-ბოლტონი
პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ
სტოკი-ასტონ ვილა
ტოტენჰემი-სანდერლენდი
ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი
ვიგანი-ჩელსი

**III ტური. 30 აგვისტო**
არსენალი-ნიუკასლი
ასტონ ვილა-ლივერპული
ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი
ჩელსი-ტოტენჰემი
ევერტონი-პორტსმუთი
ჰალი-ვიგანი
მანჩესტერ იუნ-ფულჰემი
მიდლსბრო-სტოკი
სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი
ვესტ ჰემი-ბლექბერნი

**IV ტური. 13 სექტემბერი**
ბლექბერნი-არსენალი
ფულჰემი-ბოლტონი
ლივერპული-მანჩესტერ იუნ
მანჩესტერ სიტი-ჩელსი
ნიუკასლი-ჰალი
პორტსმუთი-მიდლსბრო
სტოკი-ევერტონი
ტოტენჰემი-ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი
ვიგანი-სანდერლენდი

**V ტური. 20 სექტემბერი**
ბლექბერნი-ფულჰემი
ბოლტონი-არსენალი
ჩელსი-მანჩესტერ იუნ
ჰალი-ევერტონი
ლივერპული-სტოკი
მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი
სანდერლენდი-მიდლსბრო
ტოტენჰემი-ვიგანი
ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა
ვესტ ჰემი-ნიუკასლი

**VI ტური. 27 სექტემბერი**
არსენალი-ჰალი
ასტონ ვილა-სანდერლენდი
ევერტონი-ლივერპული
ფულჰემი-ვესტ ჰემი
მანჩესტერ იუნ-ბოლტონი
მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი
ნიუკასლი-ბლექბერნი
პორტსმუთი-ტოტენჰემი
სტოკი-ჩელსი
ვიგანი-მანჩესტერ სიტი

**VII ტური. 4 ოქტომბერი**
ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ
ჩელსი-ასტონ ვილა
ევერტონი-ნიუკასლი
მანჩესტერ სიტი-ლივერპული
პორტსმუთი-სტოკი
სანდერლენდი-არსენალი
ტოტენჰემი-ჰალი
ვესტ ბრომვიჩი-ფულჰემი
ვესტ ჰემი-ბოლტონი
ვიგანი-მიდლსბრო

**VIII ტური. 18 ოქტომბერი**
არსენალი-ევერტონი
ასტონ ვილა-პორტსმუთი
ბოლტონი-ბლექბერნი
ფულჰემი-სანდერლენდი
ჰალი-ვესტ ჰემი
ლივერპული-ვიგანი
მანჩესტერ იუნ-ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო-ჩელსი
ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი
სტოკი-ტოტენჰემი

**IX ტური. 25 ოქტომბერი**
ბლექბერნი-მიდლსბრო
ჩელსი-ლივერპული
ევერტონი-მანჩესტერ იუნ
მანჩესტერ სიტი-სტოკი
პორტსმუთი-ფულჰემი
სანდერლენდი-ნიუკასლი
ტოტენჰემი-ბოლტონი
ვესტ ბრომვიჩი-ჰალი
ვესტ ჰემი-არსენალი
ვიგანი-ასტონ ვილა

**X ტური. 28 ოქტომბერი**
არსენალი-ტოტენჰემი
ბოლტონი-ევერტონი
ჰალი-ჩელსი
მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი
მიდლსბრო-მანჩესტერ სიტი
სტოკი-სანდერლენდი
ასტონ ვილა-ბლექბერნი
ფულჰემი-ვიგანი
ლივერპული-პორტსმუთი
ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი

**XI ტური. 1 ნოემბერი**
ბოლტონი-მანჩესტერ სიტი
ჩელსი-სანდერლენდი
ევერტონი-ფულჰემი
მანჩესტერ იუნ-ჰალი
მიდლსბრო-ვესტ ჰემი
ნიუკასლი-ასტონ ვილა
პორტსმუთი-ვიგანი
სტოკი-არსენალი
ტოტენჰემი-ლივერპული
ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი

**XII ტური. 8 ნოემბერი**
არსენალი-მანჩესტერ იუნ
ასტონ ვილა-მიდლსბრო
ბლექბერნი-ჩელსი
ფულჰემი-ნიუკასლი
ჰალი-ბოლტონი
ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი
სანდერლენდი-პორტსმუთი
ვესტ ჰემი-ევერტონი
ვიგანი-სტოკი

**XIII ტური. 15 ნოემბერი**
არსენალი-ასტონ ვილა
ბლექბერნი-სანდერლენდი
ბოლტონი-ლივერპული
ევერტონი-მიდლსბრო
ფულჰემი-ტოტენჰემი
ჰალი-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-სტოკი
ნიუკასლი-ვიგანი
ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი
ვესტ ჰემი-პორტსმუთი

**XIV ტური. 22 ნოემბერი**
ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ
ჩელსი-ნიუკასლი
ლივერპული-ფულჰემი
მანჩესტერ სიტი-არსენალი
მიდლსბრო-ბოლტონი
პორტსმუთი-ჰალი
სტოკი-ვესტ ბრომვიჩი
სანდერლენდი-ვესტ ჰემი
ტოტენჰემი-ბლექბერნი
ვიგანი-ევერტონი

**XV ტური. 29 ნოემბერი**
ასტონ ვილა-ფულჰემი
ჩელსი-არსენალი
ლივერპული-ვესტ ჰემი
მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ
მიდლსბრო-ნიუკასლი
პორტსმუთი-ბლექბერნი
სტოკი-ჰალი
სანდერლენდი-ბოლტონი
ტოტენჰემი-ევერტონი
ვიგანი-ვესტ ბრომვიჩი

**XVI ტური. 6 დეკემბერი**
არსენალი-ვიგანი
ბლექბერნი-ლივერპული
ბოლტონი-ჩელსი
ევერტონი-ასტონ ვილა
ფულჰემი-მანჩესტერ სიტი
ჰალი-მიდლსბრო
მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი
ნიუკასლი-სტოკი
ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი

**XVII ტური. 13 დეკემბერი**
ასტონ ვილა-ბოლტონი
ჩელსი-ვესტ ჰემი
ლივერპული-ჰალი
მანჩესტერ სიტი-ევერტონი
მიდლსბრო-არსენალი
პორტსმუთი-ნიუკასლი
სტოკი-ფულჰემი
სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი
ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ
ვიგანი-ბლექბერნი

**XVIII ტური. 20 დეკემბერი**
არსენალი-ლივერპული
ბლექბერნი-სტოკი
ბოლტონი-პორტსმუთი
ევერტონი-ჩელსი
ფულჰემი-მიდლსბრო
ჰალი-სანდერლენდი
მანჩესტერ იუნ-ვიგანი
ნიუკასლი-ტოტენჰემი
ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ სიტი
ვესტ ჰემი-ასტონ ვილა

**XIX ტური. 26 დეკემბერი**
ასტონ ვილა-არსენალი
ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი
ლივერპული-ბოლტონი
მანჩესტერ სიტი-ჰალი
მიდლსბრო-ევერტონი
პორტსმუთი-ვესტ ჰემი
სტოკი-მანჩესტერ იუნ
სანდერლენდი-ბლექბერნი
ტოტენჰემი-ფულჰემი
ვიგანი-ნიუკასლი

**XX ტური. 28 დეკემბერი**
არსენალი-პორტსმუთი
ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-ვიგანი
ევერტონი-სანდერლენდი
ფულჰემი-ჩელსი
ჰალი-ასტონ ვილა
მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო
ნიუკასლი-ლივერპული
ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი
ვესტ ჰემი-სტოკი

**XXI ტური. 10 იანვარი**
არსენალი-ბოლტონი
ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი
ევერტონი-ჰალი
ფულჰემი-ბლექბერნი
მანჩესტერ იუნ-ჩელსი
მიდლსბრო-სანდერლენდი
ნიუკასლი-ვესტ ჰემი
პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი
სტოკი-ლივერპული
ვიგანი-ტოტენჰემი

**XXII ტური. 17 იანვარი**
ბლექბერნი-ნიუკასლი
ბოლტონი-მანჩესტერ იუნ
ჩელსი-სტოკი
ჰალი-არსენალი
ლივერპული-ევერტონი
მანჩესტერ სიტი-ვიგანი
სანდერლენდი-ასტონ ვილა
ტოტენჰემი-პორტსმუთი
ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო
ვესტ ჰემი-ფულჰემი

**XXIII ტური. 27 იანვარი**
პორტსმუთი-ასტონ ვილა
სანდერლენდი-ფულჰემი
ტოტენჰემი-სტოკი
ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ჰემი-ჰალი
ვიგანი-ლივერპული
ბლექბერნი-ბოლტონი
ჩელსი-მიდლსბრო
ევერტონი-არსენალი
მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი

**XXIV ტური. 31 იანვარი**
არსენალი-ვესტ ჰემი
ასტონ ვილა-ვიგანი
ბოლტონი-ტოტენჰემი
ფულჰემი-პორტსმუთი
ჰალი-ვესტ ბრომვიჩი
ლივერპული-ჩელსი
მანჩესტერ იუნ-ევერტონი
მიდლსბრო-ბლექბერნი
ნიუკასლი-სანდერლენდი
სტოკი-მანჩესტერ სიტი

**XXV ტური. 7 თებერვალი**
ბლექბერნი-ასტონ ვილა
ჩელსი-ჰალი
ევერტონი-ბოლტონი
მანჩესტერ სიტი-მიდლსბრო
პორტსმუთი-ლივერპული
სანდერლენდი-სტოკი
ტოტენჰემი-არსენალი
ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ
ვიგანი-ფულჰემი

**XXVI ტური. 21 თებერვალი**
არსენალი-სანდერლენდი
ასტონ ვილა-ჩელსი
ბოლტონი-ვესტ ჰემი
ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი
ჰალი-ტოტენჰემი
ლივერპული-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-ბლექბერნი
მიდლსბრო-ვიგანი
ნიუკასლი-ევერტონი
სტოკი-პორტსმუთი

**XXVII ტური. 28 თებერვალი**
არსენალი-ფულჰემი
ასტონ ვილა-სტოკი
ბოლტონი-ნიუკასლი
ჩელსი-ვიგანი
ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი
ჰალი-ბლექბერნი
მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი
მიდლსბრო-ლივერპული
სანდერლენდი-ტოტენჰემი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი

**XXVIII ტური. 3 მარტი**
პორტსმუთი-ჩელსი
სტოკი-ბოლტონი
ტოტენჰემი-მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი-არსენალი
ვიგანი-ვესტ ჰემი
ბლექბერნი-ევერტონი
ფულჰემი-ჰალი
ლივერპული-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა
ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ

**XXIX ტური. 14 მარტი**
არსენალი-ბლექბერნი
ასტონ ვილა-ტოტენჰემი
ბოლტონი-ფულჰემი
ჩელსი-მანჩესტერ სიტი
ევერტონი-სტოკი
ჰალი-ნიუკასლი
მანჩესტერ იუნ-ლივერპული
მიდლსბრო-პორტსმუთი
სანდერლენდი-ვიგანი
ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი

**XXX ტური. 21 მარტი**
ბლექბერნი-ვესტ ჰემი
ფულჰემი-მანჩესტერ იუნ
ლივერპული-ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი
ნიუკასლი-არსენალი
პორტსმუთი-ევერტონი
სტოკი-მიდლსბრო
ტოტენჰემი-ჩელსი
ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი
ვიგანი-ჰალი

**XXXI ტური. 4 აპრილი**
არსენალი-მანჩესტერ სიტი
ბლექბერნი-ტოტენჰემი
ბოლტონი-მიდლსბრო
ევერტონი-ვიგანი
ფულჰემი-ლივერპული
ჰალი-პორტსმუთი
მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა
ნიუკასლი-ჩელსი
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი
ვესტ ჰემი-სანდერლენდი

**XXXII ტური. 11 აპრილი**
ასტონ ვილა-ევერტონი
ჩელსი-ბოლტონი
ლივერპული-ბლექბერნი
მანჩესტერ სიტი-ფულჰემი
მიდლსბრო-ჰალი
პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი
სტოკი-ნიუკასლი
სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი
ვიგანი-არსენალი

**XXXIII ტური. 18 აპრილი**
ასტონ ვილა-ვესტ ჰემი
ჩელსი-ევერტონი
ლივერპული-არსენალი
მანჩესტერ სიტი-ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო-ფულჰემი
პორტსმუთი-ბოლტონი
სტოკი-ბლექბერნი
სანდერლენდი-ჰალი
ტოტენჰემი-ნიუკასლი
ვიგანი-მანჩესტერ იუნ

**XXXIV ტური. 25 აპრილი**
არსენალი-მიდლსბრო
ბლექბერნი-ვიგანი
ბოლტონი-ასტონ ვილა
ევერტონი-მანჩესტერ სიტი
ფულჰემი-სტოკი
ჰალი-ლივერპული
მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი
ნიუკასლი-პორტსმუთი
ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი
ვესტ ჰემი-ჩელსი

**XXXV ტური. 2 მაისი**
ასტონ ვილა-ჰალი
ჩელსი-ფულჰემი
ლივერპული-ნიუკასლი
მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი
მიდლსბრო-მანჩესტერ იუნ
პორტსმუთი-არსენალი
სტოკი-ვესტ ჰემი
სანდერლენდი-ევერტონი
ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი
ვიგანი-ბოლტონი

**XXXVI ტური. 9 მაისი**
არსენალი-ჩელსი
ბლექბერნი-პორტსმუთი
ბოლტონი-სანდერლენდი
ევერტონი-ტოტენჰემი
ფულჰემი-ასტონ ვილა
ჰალი-სტოკი
მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი
ნიუკასლი-მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი-ვიგანი
ვესტ ჰემი-ლივერპული

**XXXVII ტური. 16 მაისი**
ბოლტონი-ჰალი
ჩელსი-ბლექბერნი
ევერტონი-ვესტ ჰემი
მანჩესტერ იუნ-არსენალი
მიდლსბრო-ასტონ ვილა
ნიუკასლი-ფულჰემი
პორტსმუთი-სანდერლენდი
სტოკი-ვიგანი
ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი
ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული

**XXXVIII ტური. 24 მაისი**
არსენალი-სტოკი
ასტონ ვილა-ნიუკასლი
ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი
ფულჰემი-ევერტონი
ჰალი-მანჩესტერ იუნ
ლივერპული-ტოტენჰემი
მანჩესტერ სიტი-ბოლტონი
სანდერლენდი-ჩელსი
ვესტ ჰემი-მიდლსბრო
ვიგანი-პორტსმუთი

ევროპული ბიბლიოთეკა

# EURO 2008

## ბალაკისა და კლასის ხარჯზე

### გერმანიას მეოთხედფინალში პორტუგალია ელის

**B ჯგუფი**

**ავსტრია-გერმანია 0:1**

ვენა. 16 ივნისი

**ავსტრია:** მახო, შტრანცლი, მ. ჰიდენი (55. ლაითგები), პოგატეცი, გარიჩი, აუფჰაუზერი (63. ზოიმელი), ივანშიტცი, ფუხსი, ჰარნიკი (67. კინასტი), ჰოფერი, ქორქმაზი.

**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, მეტცელდერი, მერტეზაკერი, ლამი, ფრინგსი, ბალაკი, ფრიტცი (92. ბოროვსკი), პოდოლსკი (83. ნოივილი), გომესი (60. ჰიტცლშპერგერი), კლოზე.

**გოლი:** 0:1 ბალაკი (49)

**მაყურებელი:** 51 428

**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 3 | გაფრთხილება | 0 |
| 9 (0) | დარტყმა | 16 (7) |
| 20 | ჯარიმა | 10 |
| 8 | კუთხური | 6 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |



კლოზესა და პოგატეცის საჰაერო ორთაბრძოლა

ბევრი იწვალა, თუ ცოტა, ავსტრიის ნაკრებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიას ვერაფერი მოუხერხა. ვერ ვიტყვით, რომ ბუნდესგუნდმა შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ ხორვატიასთან ნაჩვენები ფეხბურთის შემდეგ, **იოახიმ ლიოვის** გუნდს პროგრესი ნამდვილად ეტყობოდა - თუნდაც მონდომებისა და შემართების თვალსაზრისით. მოტივაცია არ აკლდათ ავსტრიელებსაც, რაც მთელი 90 წუთის განმავლობაში თვალსაჩინო იყო. შეხვედრა პირველიდან ბოლო წუთამდე ემოციებით დატვირთული გახლდათ, რაც თუნდაც მწვრთნელების გაძევებაში გამოიხატა - პირველი ტაიმის მიწურულს, ზედმეტი ემოციურობისა და ერთმანეთში ცხარე დისკუსიის გაჩაღების გამო, მსაჯმა ლიოვსა და **იოზეფ ჰიკერსბერგერს** ტრიბუნაზე მიუჩინა ადგილი. ავსტრიელებმა იბრძოლეს და შეიძლება ითქვას, რომ ამ თამაშის მოსაგებად ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ გერმანიის დამარცხება ვერ შეძლეს. **მიხაელ ბალაკის** იდეალურად შესრულებულმა საჯარიმო დარტყმამ ბუნდესნაკრები მეოთხედფინალში გაიყვანა - ევროპის ზედიზედ ორ ჩემპიონატზე ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ, გერმანელები ფლეიოფში პირველად გავიდნენ და იქ პორტუგალიის ნაკრებს შეხვდებიან.

მატჩი სწრაფ ტემპში დაიწყო და კლასში განსხვავებაც პირველი წუთებიდანვე თვალსაჩინო გახლდათ. ალემანებს ანგარიშის გახსნა უკვე მე-6 წუთზე შეეძლოთ, როდესაც **მირო კლოზე** საჯარიმოში შეიჭრა და **მარიო გომესს** შესანიშნავი პასი მისცა. ამ უკანასკნელს კი ისღა დარჩენოდა, რომ ცარიელ კარში ორი მეტრიდან გაეტანა, მაგრამ ხეირიანად ვერ დაარტყა (!) და მომენტიც განიმუხტა. ორ წუთში ავსტრიელთა მეკარე **მახოს** სიფხიზლე **პოდოლსკიმ** შორეული, მაგრამ არაზუსტი დარტყმით შეამოწმა. მერე ავსტრიელებიც გააქტიურდნენ და ერთ ეპიზოდში, **მეტცელდერისა** და **ივანშიტცის** ორთაბრძოლის შემდეგ, თერთმეტმეტრიანის დანიშვნას ითხოვდნენ, მაგრამ **მეხუტო გონსალესის** სასტვენი დუმდა. პირველი ტაიმის შუაწელს გუნდებმა ტემპს კიდევ მოუმატეს - ჯერ **ლემანმა აუფჰაუზერის** შორეული დარტყმა კუთხურზე მოიგერია, მერე კი (24) პოდოლსკის მორიგ დარტყმას მახო გაუმკლავდა შესანიშნავი ნახტომით.

30-ე წუთისთვის ავსტრიელებმა მოედნის ცენტრზე კონტროლი დაამყარეს, გერმანელთა მხრიდან კი, **ფრინგსსა** და ბალაკს ბოლო პასის სიზუსტე აკლდათ. 41-ე წუთზე მსაჯმა ლიოვსა და ჰიკერსბერგერს წითელი ბარათები აუფრიალა - მწვრთნელები ზედმეტად აქტიურობდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს გერმანიის ნაკრები ოდნავ ქაოტური გახდა.

მეორე ტაიმი ალემანთა იერიშებით დაიწყო და ბალაკის გოლით გაგრძელდა: ბუნდესკაპიტანმა საჯარიმო დარტყმა 26 მეტრიდან იდეალურად შეასრულა და ყუმბარისებური დარტყმით ბურთი მახოს კარის ბადეში გაახვია. გაშვებული გოლის შემდეგ ავსტრიელებმა მთელი ძალები შეტევისკენ მიმართეს და უფრო აგრესიულებიც გახდნენ. დაახლოებით 73-ე წუთისთვის ავსტრიის ნაკრებმა გერმანია საკმაოდ მძიმე წნეხის ქვეშ მოაქცია, მაგრამ გადამწყვეტ სიტუაციებში ჰიკერსბერგერის ბიჭებს კლასის არქონა აშკარად ეტყობოდათ. ავსტრიელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ გერმანიის ნაკრებმა მეტოქეს არაფერი გააბედინა.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონატს მეორე მასპინძელიც ჯგუფური ეტაპიდან გამოეთიშა. გერმანელებს კი, მეოთხედფინალში პორტუგალია ელით...

**მატჩის შემდეგ**

**იოზეფ ჰიკერსბერგერი** (ავსტრია): *"მიხაელ ბალაკმა შესანიშნავი, გრანდიოზული გოლი გაგვიტანა. ჩემი გუნდი დღეს კარგად თამაშობდა, დაცვაშიც კომპაქტურად ვიდექით და შეტევაშიც ვახერხებდით რაღაცას, მაგრამ მეტოქემ მაინც გვაჯობა. გვაჯობა კლასით."*

**იოახიმ ლიოვი** (გერმანია): *"ბედნიერი და კმაყოფილი ვარ. ზეწოლის ქვეშ ვიყავით და მიხარია, რომ ეს თამაში მოვიგეთ. რაც შეეხება გაძევებას - არც ჰიკერსბერგერსა და არც მე ხაზი არ გადაგვიკვეთია და არ მესმის, რატომ გაგვაგდეს. ფეხბურთელებისთვის დარიგებების მიცემა კი ნებისმიერ მწვრთნელს შეუძლია."*

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 3 | 0 | 0 | 4-1 | 9 |
| გერმანია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| ავსტრია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

## ხორვატიამ ესეც მოიგო

ხორვატებისთვის უმოტივაციო მატჩში **სლავენ ბილიჩმა** გერმანიასთან გამარჯვებული შემადგენლობიდან 9 მოთამაშე შეცვალა. იმ ფორმაციიდან ძირითადში მხოლოდ **პრანიჩი** და **რაკიტიჩი** დარჩნენ. მიუხედავად ამისა, პოლონეთის ნაკრები, რომელსაც ყოველი შემთხვევისთვის, სამბურთიანი სხვაობით უნდა მოეგო, ვერაფერს გახდა. მეორე ტაიმის დასაწყისში **ივან კლასნიჩმა** ცაციათი დასცხო და მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

კლასნიჩის გამოჩენას ხორვატი ფანები აღფრთოვანებით შეხვდნენ. 28 წლის ფორვარდს, რომელიც გერმანიაშია დაბადებული, 2007 წლის იანვარში თირკმელი გადაუნერგეს. 30-ე სანაკრებო შეხვედრაში მან მე-9 გოლი გაიტანა.

**B ჯგუფი**

**პოლონეთი-ხორვატია 0:1**

კლაგენფურტი. 16 ივნისი

**პოლონეთი:** ბორუცი, ვასილევსკი, ჟევლაკოვი, დუდკა, ვავრინიაკი, მურავსკი, ლევანდოვსკი (46. კოკოშკა), კრჟინოვეკი, ლობოძინსკი (55. სმოლიარეკი), გერეირო, საგანოვსკი (69. ზაჰორსკი).

**ხორვატია:** რუნიე, შიმიჩი, ველიჩი, კნეჟევიჩი (26. ჩორლუკა), პრანიჩი, ლეკო, ვუკოევიჩი, პოკრივაცი, რაკიტიჩი, კლასნიჩი (74. კალინიჩი), პეტრიჩი (75. კრანჩარი).

**გოლი:** 0:1 კლასნიჩი (52)

**მაყურებელი:** 30 461

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 15 (3) | დარტყმა | 15 (6) |
| 24 | ჯარიმა | 16 |
| 5 | კუთხური | 1 |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

საფრანგეთი

## რიბერი: ზიდანი მენატრება!

### დომენეკი კი ჩემოდნებზე ზის. ამბობენ, რაიმონს დიდიე დეშამი შეცვლისო...

იტალიის ნაკრებთან უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, რომელსაც, შესაძლოა, მოგების შემთხვევაშიც კი არანაირი ეფექტი არ ჰქონდეს, ფრანგებმა წარსულისკენ გაიხედეს. **ფრანკ რიბერიმ ზინედინ ზიდანი** გაიხსენა და უპრიანია, შევახსენოთ, რომ სწორედ რიბერის უწოდებდნენ ახალ ზიზუს.

შეხსენებას, წესით, არ უნდა საჭიროებდეს, მაგრამ მაინც: ზიზუ ის კაცია, რომელმაც 1998 წელს ფრანგებს მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა, ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატიც ზედ მიაყოლა და 2006 წლის მუნდიალზე "სამფეროვნები" ფინალში გაიყვანა, რის შემდეგაც საფეხბურთო სცენა დატოვა. ზიზუ, ფრანგული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ლეგენდად ქცეული დირიჟორი, რომლის გახსენებაზეც ქომაგებს ტანში ჟრუანტელი უვლით.

*"ჩვენ სწორედ ის გვაკლია, გენიალური ზიზუ,* - ამბობს რიბერი, - *ზიდანი ასეთ მძიმე მომენტებში გაიბრწყინდა ხოლმე, მთელ გუნდს აზრზე მოიყვანდა და აათამაშებდა. ის გუნდს ძალიან აკლია, ის ყველას გვაკლია. სხვა თუ არაფერი, მისი თავდაჯერებულობა და შემართება გვაკლია. ახლა ჩვენთან რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, ასეთ დღეში არ ჩავვარდებოდით. ზიზუ გოლებს გაიტანდა, არაჩვეულებრივ გოლებს."*

საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი **პატრიკ ვიეირა** კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, ათამაშებს თუ არა მას **რაიმონ დომენეკი** იტალიასთან. *"ცხადია, ვიეირა მაგრად გვჭირდება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, შეძლებს თუ არა გუნდის დახმარებას. ის ჯერ კიდევ არ არის 100 პროცენტით მზად, თუმცა თამაში კი შეუძლია და დარწმუნებული ვარ, რომ მონდომება და მოტივაცია არ აკლია. მაგრამ ფაქტია, რომ ტრავმის შემდეგ ფიზიკურად იდეალურ ფორმაში არ არის. იტალიასთან კი უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩი გველის,"* - ამბობს რიბერი, მერე მცირე პაუზას აკეთებს, თავს აქნევს და ამატებს: *"არა, არა, ვიეირამ იტალიასთან აუცილებლად უნდა ითამაშოს. კარგ ფორმაშია თუ არა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი მოედანზე ყოფნა უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია. პატრიკმა იტალიასთან აუცილებლად უნდა ითამაშოს."*

რიბერი ფიქრობს, რომ ჰოლანდიასთან **კარიმ ბენზემასაც** აუცილებლად უნდა ეთამაშა. რიბერი: *"მაგრამ რას ვიზამთ, მწვრთნელმა უპირატესობა ანელკასა და გომისს მიანიჭა და მოედანზე სწორედ ისინი შემოიყვანა. არადა, შესარჩევ ციკლში ყველაზე უკეთ სწორედ ანრისა და ბენზემას დუეტს ვუგებდი. ძალიან სამწუხაროა ის, რომ ევროპის ჩემპიონატზე ამ დუეტთან თამაში ვერცერთხელ ვერ მოვახერხე, მაგრამ ეს ყველაფერი საბოლოოდ მაინც მწვრთნელის გადასაწყვეტი გახლავთ."*

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, რიბერი იუმორს არ კარგავს, რაც იმით მტკიცდება, რომ მან უკვე გაუგზავნა რამდენიმე SMS თავის ბაიერნელ კოლეგა **ლუკა ტონის**. *"ტონი თავდამსხმელთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც მცველებს მუდმივად ნერვებს უშლიან და ზეწოლის ქვეშ ამყოფებენ. ის იდეალურად გრძნობს მომენტს, როდის და სად უნდა დადგეს. მიუხედავად ამისა, ევროპის ჩემპიონატზე ჯერ გოლი არ გაუტანია. ჰოდა, მეც ნერვებს ვუშლი, SMS-ებით,"* - ამბობს რიბერი.

ამასობაში დომენეკის გარშემო უკვე დაიწყო დისკუსიები. მწვრთნელს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, მაგრამ დღევანდელი მატჩის წინ ფრანგული პრესა იუწყებოდა, მუსიე რაიმონის გაგდება ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავიაო. თანაც, საკუთარი კანდიდატურა უკვე წამოაყენა **დიდიე დეშამმა**, რომელიც ბოლოს "იუვენტუსს" წვრთნიდა და დასჯილი ტურინული გიგანტი სერია A-ში დააბრუნა.

*"საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე მუშაობა ჩემთვის უდიდესი პატივი იქნებოდა. დიდი ხანია, ამაზე ვოცნებობ,"* - უთხრა ჩვენს ფრანგ კოლეგებს დეშამმა, რომელიც 1998 წლის მუნდიალზე და ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე სამფეროვნების კაპიტანი გახლდათ.

დეშამს საფრანგეთის ნაკრებში 102 თამაში აქვს ჩატარებული. 39 წლის სპეციალისტი "იუვენტუსიდან" წასვლის შემდეგ, ტელეკომპანია "კანალ პლუსზე" ექსპერტად მუშაობს და ახალ წინადადებებს ელის. როგორც ირკვევა, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია მზად არის, კონსულტაციების შემდეგ, დეშამს დომენეკის ადგილი შესთავაზოს.

**გოტფრიდ ლენცი**

რიბერის ზიზუ ენატრება



# EURO 2008

ერონული ბიბლიოთეკა



ლუის არაგონესი ესპანეთის ნაკრების ვარჯიშზე

ესპანეთი

## არაგონესი რეზერვს გამოცდის

**ლუის არაგონესს** განზრახული აქვს, ჯგუფის ბოლო მატჩში, საბერძნეთის წინააღმდეგ, სათადარიგო ფეხბურთელები გამოიყვანოს. ესპანელებმა ორი თამაში მოიგეს. მათ მეოთხედფინალის საგზური განაღდებული აქვთ. არაგონესმა გუშინდელი პრესკონფერენციისას განაცხადა: *"პირველ ადგილს ვერავინ შეგვეცილება. რატომ არ უნდა მივცეთ სხვა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსი?"*

არაგონესი ქებით მეცხრე ცამდე აჰყავს **დავიდ ვილია**. ვალენსიელმა თავდამსხმელმა ორ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა: *"მას ისეთ დროსაც შეუძლია გოლის გატანა, როდესაც გგონია, რომ მეტოქის კარს არაფერი ემუქრება."* არაგონესი **ფერნანდო ტორესითაც** კმაყოფილია. რუსეთთან პირველი მატჩისას, სენიორ ლუისმა ტორესი **ფრანსესკ ფაბრეგასით** შეცვალა. განაწყენებულმა ლივერპულელმა მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა, თუმცა ინციდენტი ამაზე შორს არ წასულა: *"ისინი (ვილია და ტორესი) ერთმანეთს ჩინებულად უგებენ. იმედია, ფლეი ოფებშიც ასე გაგრძელდება."*

არაგონესის აზრით, ორი წლის წინანდელი მუნდიალის მერვედფინალში საფრანგეთთან ნაგება, მის შეგირდებს გაკვეთილად გამოადგებათ: *"ჩემი ფეხბურთელების უმეტესობამ იცის, რას ნიშნავს დიდი ტურნირის ფლეი ოფში თამაში. მათ იციან, რომ ასეთი მატჩების ბედს მცირე დეტალები წყვეტს. მუნდიალმა მათ ფასდაუდებელი გამოცდილება შესძინა."*

სხვათა შორის, თუ საფრანგეთი იტალიას დაამარცხებს, მერვედფინალში ისევ ესპანეთის მეტოქე იქნება. თუ ვერა, ესპანელები იტალიას, ან რუმინეთს შეხვდებიან.

მსაჯები

## ვები ხვალაც იმსაჯებს

### ინგლისელი მსაჯი შეცდომად პოლონელთა კარში პენალტის დანიშვნას კი არა, პოლონელთა გოლის ჩათვლას მიიჩნევს...

ინგლისელი მსაჯი **ჰოვარდ ვები** ევროპის ჩემპიონატზე მუშაობას აგრძელებს. ხვალ ის ესპანეთისა და საბერძნეთის შეხვედრას გაუძღვება. უეფას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, დაასაქმებს თუ არა ვებს მეოთხედფინალურ შეხვედრებში.

ვებმა ავსტრია-პოლონეთის მატჩის ბოლო წუთზე მასპინძელთა სასარგებლოდ 11-მეტრიანი დანიშნა. მიმომხილველთა ერთი ნაწილის აზრით, მსაჯი შეცდა. პოლონელი გულშემატკივრები ინგლისელს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან. ვების დახმარებით, ავსტრიელებმა ანგარიში გაათანაბრეს (1:1).

სადავო ეპიზოდისას, პოლონელმა მცველმა **მარცინ ვასილევსკიმ** ავსტრიელ **სებასტიან პრიოდლს** მაისურზე მოქაჩა. მატჩის მეორე დღეს ვებმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მიმაჩნია, რომ პენალტი სამართლიანად დავნიშნე. იმედია, მიმომხილველები ვიდეოჩანაწერს ყურადღებით ნახავენ და დამეთანხმებიან. არბიტრებმა ასეთი დარღვევები უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ."*

მის შეფასებას კატეგორიულად არ დაეთანხმა პოლონელთა თავკაცი **ლეო ბეენჰაკერი**: *"უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მინდორი საჭიდაო ხალიჩას დაემსგავსა. გვახსოვს ბევრად უარესი მომენტები, როდესაც მსაჯს ჯარიმა არ დაუნიშნავს, მაგრამ იმ საღამოს არბიტრმა, ეტყობა, თავის გამოჩენა გადაწყვიტა."*

დაზარალებულმა ავსტრიელმა პრიოდლმაც კი აღიარა, რომ 11-მეტრიანის დანიშვნას არ ელოდა: *"გაგვიმართლა, რომ პენალტი მოგვცეს. რა თქმა უნდა, მეტოქემ წესი დაარღვია, მაგრამ ბოლო წუთზე ასეთ პენალტებს იშვიათად ნიშნავენ."*

ვებმა იმ შეხვედრაში დაშვებული სხვა შეცდომა აღიარა. მან თქვა, რომ პოლონელებმა გოლი თამაშგარიდან გაიტანეს და არ უნდა ჩაეთვალა. 30-ე წუთზე ანგარიში ბრაზილიური წარმომავლობის **როჟერ გერეირომ** გახსნა. პასის მომენტში ის ავსტრიელ მცველებზე წინ იმყოფებოდა: *"პოლონელთა გოლი უნდა გაგვეუქმებინა. მე და ჩემმა ასისტენტებმა შეცდომა დავუშვით. ის ეპიზოდი საფუძვლიანად გავაანალიზეთ. შევეცდებით, სხვა დროს უკეთ ვიმოქმედოთ."*

უეფამ ჰოვარდ ვებისა და მისი გუნდის მსაჯობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია. გადაწყვეტილება, ესპანეთი-საბერძნეთის მატჩზე მათი დანიშვნის თაობაზე ამას ადასტურებს. უეფამ წარმომადგენელმა **რობერტ ფოლკნერმა** ვების გადაწყვეტილებას პენალტის დანიშვნის თაობაზე გაბედული ნაბიჯი უწოდა. ფოლკნერმა გულშემატკივარს შეახსენა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ საუკეთესო არბიტრები მსაჯობენ, რომელთაც ევროპული ტურნირების ყველაზე საპასუხისმგებლო შეხვედრებში უმუშავიათ.

ვებისაგან განსხვავებით, მესამე ტურში არცერთი თამაში არ მისცეს ნორვეგიელ **ტომ ჰენინგ ოვრებოს**, რომელმაც იტალია-რუმინეთის მატჩისას (1:1); სრულიად უსაფუძვლოდ გააუქმა ლუკა ტონის გოლი. მოგვიანებით, ოვრებომ ეს შეცდომა თავადაც აღიარა.

მზადება მეოთხედფინალისთვის

## ახალი მინდორი ბაზელში

ბაზელის "სანკტ იაკობზე" ახალი მინდორი დააგეს. უეფას ეს სიამოვნება 306 720 დოლარი დაუჯდა. ბალახის გამოცვლა შვეიცარია-პორტუგალიის მატჩის დასრულებიდან ორ საათში დაიწყო. ძველი საფარი კოკისპირული წვიმის შედეგად, ჯერ კიდევ შვეიცარია-თურქეთის შეხვედრისას დაზიანდა. სტადიონის ადმინისტრაციის განცხადებით, ხუთშაბათამდე, როდესაც "სანკტ იაკობზე" პირველი მეოთხედფინალი უნდა გაიმართოს, საფარის წესრიგში მოყვანა შესაძლებელი იყო, მაგრამ უეფამ თავი დაიზღვია. ბაზელის არენამ ორ მეოთხედფინალსა და ნახევარფინალს უნდა უმასპინძლოს.

ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ სტადიონზე ბალახის საფარს ტურნირის მსვლელობისას ცვლიან. უეფამ ახალი საფარი ჰოლანდიაში შეიძინა. ბალახის რულონებით დატვირთული 26 მანქანა ბაზელში ორშაბათ დილას ჩავიდა. ხუთშაბათის მეოთხედფინალის მონაწილე ერთი გუნდი ჰოლანდიის ნაკრებია. მან ფლეი ოფის საგზური ვადაზე ადრე გაინაღდა. ჰოლანდიელები მშობლიურ ბალახზე ითამაშებენ. მათი მეტოქე რუსეთის ან შვედეთის ნაკრები იქნება.

ჰოლანდიელთა თავკაცმა **მარკო ვან ბასტენმა** უეფას გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკა. მისი აზრით, ახლადდაგებულ მინდორზე თამაში ჯოჯოხეთურად გართულდება: *"ხალხი ამ საკითხი მსუბუქად უყურებს. მათ აღარ ახსოვთ, თუ რა მდგომარეობაში იყო ახლადდაგებული მინდორი მოსკოვში, ჩემპიონთა ლიგის ფინალისას. ფეხბურთელებს მინდორზე ფეხის მოკიდება უჭირდათ და ეცემოდნენ. ვშიშობ, ბალახის შეცვლა თამაშის ხარისხზე აისახება."* ვან ბასტენმა ის ეპიზოდი იგულისხმა, როდესაც პენალტების სერიისას, **ჯონ ტერის** ფეხი მოუცურდა და გადამწყვეტი 11-მეტრიანი ვერ გაიტანა.

სპეკულაციები

## ლიპი მზადაა, დონადონი შეცვალოს

### ფეხბურთის ფედერაციას მარჩელოსთვის კონტრაქტი მზად აქვსო...

იტალიის ნაკრები ჯერ არ გავარდნილა, მაგრამ იქაური პრესა უკვე სპეკულირებს, თითქოს **მარჩელო ლიპი** მზადაა, ერთ მდინარეში მეორედ შევიდეს. მეტიც, "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ფეხბურთის ფედერაციას მისთვის ახალი კონტრაქტი უკვე გამზადებული ჰქონია - დარჩა ფორმალური ხელმოწერა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მოხდებაო. იქვე, "გაძეტა" ლიპის მომავალ ასისტენტებსაც ასახელებს - **ჩირო ფერარა** და მეკარეთა მწვრთნელი **ანჯელო პერუცი**.

არა და, 4 ივნისს **რობერტო დონადონიმ** ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. წესით, მან ნაკრებს 2010 წლის მუნდიალის ბოლომდე უნდა უხელმძღვანელოს. თუმცა ხელშეკრულების მუხლში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც, ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის შემთხვევაში, "ფედერკალჩოს" უფლება აქვს, მწვრთნელს დაუყოვნებლივ კარისკენ მიუთითოს. თავიდან, დონადონი უარს ამბობდა ამგვარ ფორმულირებაზე, მაგრამ მერე ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და დათანხმდა...

"სკუადრა აძურას" ბედი დღეს გადაწყდება. შესაძლოა, იტალიამ მეოთხედფინალში გაალწიოს, მერე კი კაცმა არ იცის, რა მოხდება. ისტორია გვასწავლის, რომ "აძურა" ხშირად წვალობს ჯგუფურ ეტაპზე, თუმცა მერე და მერე უმატებს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია 1982 წლის მუნდიალი, როცა ჯგუფიდან სამი ფრით გასულმა იტალიამ მწვერვალი დაიპყრო...

რაც შეეხება ლიპის. ის უკვე მეორე წელია, უმუშევარია. მაგრამ ეს მისი სურვილია. ეჭვებს, იტალიის ნაკრებში მის შესაძლო დაბრუნებაზე, ისიც ამძაფრებს, რომ დღემდე არა ერთი საინტერესო (როგორც თავად ამბობს) წინადადება უარყო. ცოტა ხნის წინათ კი, კითხვაზე - დაბრუნდებოდა თუ არა ეროვნული გუნდის ცხელ სკამზე, ლიპიმ ასე უპასუხა: *"არასოდეს თქვა - არასოდეს"!*



EURO 2008

# დომენეკი: ჰოლანდია წააგებს და ორივეს გაგვაგდებს!

## კასანო ძირითადში, დელ პიერო და პირლო სკამზე?

**C ჯგუფი**

**საფრანგეთი-იტალია**

ციურიხი. 17 ივნისი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი, ტურამი, გალასი, ევრა, მაკელელე, ტულალანი, მალუდა, რიბერი, ნასრი, ანრი.

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, პანუჩი, კიელინი, გროსო, კამორანეზი, პირლო (ან გატუზო), დე როსი, აკვილანი, კასანო, ტონი.

**არბიტრი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

საფრანგეთი და იტალია, კლასიკადქცეული ევროჯახი, მუნდიალის სკანდალური ფინალის გამოძახილი... **რაიმონ დომენეკის** უტაქტო განცხადებების გამო, ერთმანეთს მტრად მოკიდებული ორი საფეხბურთო გიგანტი... საკმარისია იმისთვის, რომ ამ მატჩს ევრო 2008-ის ჯგუფური ეტაპის ცენტრალური პაექრობა ვუწოდოთ? ისე, წილისყრის შემდეგ ბევრმა ეს მატჩი ნაადრევ ფინალადაც მონათლა...

მაგრამ როგორ არ ჰგავს მათი დღევანდელი ყოფა ოთხი წლის წინანდელს. 2006 წლის 9 ივლისს, ბერლინური დაპირისპირების დაწყებამდე, ორივე გუნდს მსოფლიო თასი თავისი ეგონა, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ, 17 ივნისს, ციურიხის მატჩამდე, ისინი ტყავში ძვრებიან და ჰოლანდიას შესციცინებენ, ეგებ, როგორმე რუმინეთი დაამარცხო და ჩვენს თავს ჩვენ მივხედავთო...

ჰოლანდია რუმინეთს "როგორმე" დაამარცხებს. რა სასაცილოდ ჟღერს ეს სიტყვა მას მერე, რაც "ნარინჯისფრებმა" იტალიასა და საფრანგეთს კუდით ქვა ასროლინეს, მაგრამ რაში აწყობს **მარკო ვან ბასტენის** გუნდს თავის გადადება, როცა ჯგუფში პირველი ადგილი და მეოთხედფინალი განაღდებული აქვს? რა არგუმენტი არ მოიყვანეს. პრესტიჟი? რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები, და არა მარტო ტურნირის სუპერფავორიტადქცეული ნაკრებისთვის, არამედ ქვეყნისთვის, იმ ქვეყნისთვის, რომელიც "ტოტალური ფეხბურთის" სამშობლოა და რომლის წარმომადგენლებიც ამ ევროპის ჩემპიონატზე უკვე მონათლეს კიდეც იმ ლეგენდარულ თაობათა საქმეების ღირსეულ გამგრძელებლებად.

მაგრამ პრაგმატიზმი? ამის გარეშე როგორ იქნება დღევანდელი ფეხბურთი? დავანებოთ თავი დღევანდელობას. რა ძალა ადგას ვან ბასტენს? რატომ უნდა გარისკოს ტრავმებითა თუ წითელყვითელი ბარათებით? ერთადერთი, რის გარანტიასაც ჰოლანდიელი მწვრთნელი იძლევა, სუფთა ფეხბურთია, თუმც ისმის ლოგიკური კითხვაც: რომელი შემადგენლობით? მარკოს სკამზეც ძლიერი ფიგურები ჰყავს და რუმინეთის დამარცხება მათთვის გადაუჭრელი პრობლემა არ უნდა იყოს. ის ფეხბურთელები, რომლებიც დღეს პირველად გავლენ მოედანზე, იქნებ, გაცილებით მოტივირებულნიც არიან, ვიდრე მათი თანაგუნდელები პირველ ან მეორე მატჩში. დღეს მათ უნდა დაუმტკიცონ მწვრთნელს, რომ... უბრალოდ, ისინიც კარგი ფეხბურთელები არიან...

მოკლედ, ჰოლანდია სახეშეცვლილი, მაგრამ მაინც მოტივირებული იქნება. სწორედ აქ უნდა ეძებონ ხსნა იტალიამ და საფრანგეთმა, თუმც მათ ჯერ თავიანთი თამაში აქვთ მოსაგები. საამისოდ, **რობერტო დონადონი** მორიგ ცვლილებებს გეგმავს. იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "სკუადრა აძურას" მწვრთნელი **ანდრეა პირლოსა** და **ალესანდრო დელ პიეროს** სკამზე გამწესებას უპირებს. თუმც სხვა წყაროებში პირლო ძირითად შემადგენლობაშია მოხსენიებული, დელ პიეროს ნაცვლად კი ყველგან **ანტონიო კასანო** ფიგურირებს. ამის მიზეზი დონადონის განცხადებაა:

*"მიუხედავად იმისა, რომ მან წინა ორ მატჩში ცოტა ითამაშა, ჩემზე მაინც დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. მე ვფიქრობ, კასანო ტოპფეხბურთელია და, ალბათ, საფრანგეთთან ძირითადშიც ითამაშებს".*



დღესაც გაიტანს ანრი?

არ არის გამორიცხული, იტალიელთა მწვრთნელმა სასტარტოში ათამაშოს "რომას" ნახევარმცველი **ალბერტო აკვილანიც**, ასევე, ძირითადში დაბრუნდეს **ჯენარო გატუზო**, ხოლო პირლოს როლი **დანიელე დე როსიმ** შეასრულოს. დაცვაში დონადონის ცვლილებების საბაბი არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ **ჯანლუკა ძამბროტამ** რუმინეთთან მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. უბრალოდ, ამ პოზიციაზე "აძურას" თავკაცს უკეთესი ვარიანტი ნამდვილად არ აქვს. რაც შეეხება **კრისტიან პანუჩისა** და **ჯორჯო კიელინის** წყვილს, მათ მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და, შესაბამისად, არ შეიცვლებიან.

გადავინაცვლოთ ფრანგების ბანაკში. მოგეხსენებათ, დომენეკი სკანდალური განცხადებებით გამოირჩევა და სტილს არც ამჯერად ღალატობს: *"ჰოლანდია-რუმინეთის მატჩის შედეგი უკვე წინასწარაა დაწერილი. არ გამოვრიცხავ კი არა, რეალურია, რომ იტალიასთან ახალგაზრდები დაგვაყენო. ეს იქნება ფანტასტიკური შანსი მათთვის, რათა გამოცდილება შეიძინონ. ჰოლანდია წააგებს, რათა ჩვენ და იტალია ევროპის ჩემპიონატიდან გაგვაგდოს".*

მაგრამ მაგის ჩიტი არ არის დომენეკი, რომ იტალიასთან დუბლშემადგენლობა დააყენოს. შესაძლოა, მისი მხრიდან ეს ერთგვარი ტაქტიკური ხრიკია, ვითომდაც მეტოქის ყურადღების მოსადუნებლად. მაგრამ ამას არც დონადონი "ჭამს". როგორც დომენეკი აცხადებს, "სკუადრა აძურასთან" მატჩი პირადად მისთვის დერბის ტოლფასია:

*"ჩემთვის ეს დერბია. მე არ ვამბობ, რომ აუცილებლად მოვიგებთ, მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენ თავად ჩავიყენეთ თავი ამ მდგომარეობაში და თუკი ვინმეს რაიმე ბრალი უნდა წავუყენოთ, შორს წასვლა არ დაგვჭირდება, ყველაფერში თავად ვართ დამნაშავენი".*

კარგია, რომ დომენეკი ამას მაინც ხედავს. რაც შეეხება შემადგენლობას, **პატრიკ ვიეირას** თამაში გამოირიცხა. ვარაუდობენ, რომ **გრეგორი კუპეს** კარში **სებასტიან ფრეი** შეცვლის. არგუმენტი? ფრეი "ფიორენტინაში" თამაშობს და იტალიელებს ხუთი თითივით იცნობს. თუმც მისი ცოდნა დომენეკს ადრე არ გამოუყენებია. კუპე მისთვის პირველი არჩევანია. თავდასხმაში კი, **ტიერი ანრის** გვერდით, შესაძლოა, **სამირ ნასრი** ვიხილოთ. **ქარიმ ბენზემა** და **ბაფეტიმბი გომისი**, ჯერჯერობით, იმედებს ვერ ამართლებენ.

### სიკვდილის ჯგუფის სასიკვდილო ვარიანტები

**გუშინდელ** ნომერში ბოლო ტურის სხვადასხვა ვარიანტზე უკვე გესაუბრეთ. C ჯგუფის გასამართი დღევანდელი მატჩების წინ, უპრიანი იქნებოდა, კიდევ ერთხელ გვეთქვა მოვლენათა მოსალოდნელ განვითარებაზე.

მოკლედ, ჰოლანდიას პირველ ადგილს ველარავინ შეეცილება. აქაც, მეორე ადგილზე გასვლა შეუძლიათ როგორც რუმინეთს, ისე, საფრანგეთსა და იტალიას. რუმინეთი მეოთხედფინალში გავა, თუ ბოლო ტურში ჰოლანდიას დაამარცხებს. თუ ეს მატჩი ფრედ დასრულდა, მაშინ მეორე ადგილზე იტალია-საფრანგეთს შორის გამარჯვებული გავა. მხოლოდ გამარჯვება არის ის ერთადერთი გზა, რომელიც საფრანგეთს პლეიოფში გაიყვანს.

თუ რუმინეთმა წააგო, ხოლო მეორე შეხვედრა არანულოვანი ფრით დასრულდა, მაშინ სამ გუნდს 2-2 ქულა ექნება, ხოლო მეოთხედფინალში გავა იტალია, რომელსაც რუმინეთისა და საფრანგეთის მონაწილეობით გამართულ მატჩებში ყველაზე მეტი გატანილი გოლი უგროვდება. ანუ, ფრანგების მიერ ჰოლანდიელთა კარში გატანილი გოლი სათვალავში არ მიიღება. იტალიას კი რუმინეთზე (ეთვლება იტალიის კარში გატანილი გოლი) მეტი გოლი გამოსდის.

თუ რუმინეთი ერთი, ორი ან სამბურთიანი (ოღონდ, არა 3:0, არამედ 4:1, 5:2 და ასე შემდეგ) სხვაობით წააგებს, ხოლო ფრანგები და იტალიელები უგოლო ფრეს ითამაშებენ, მაშინ, გავა რუმინეთი, რომელსაც იტალიაზე მეტი გოლი ექნება გატანილი. თუ რუმინეთი წააგებს ოთხი და მეტი ბურთის სხვაობით, ხოლო იტალია-საფრანგეთი 0:0 დასრულდება, ბურთების უკეთესი სხვაობით გადის იტალია. და თუ რუმინეთი წააგებს 3:0-ს, იტალია და საფრანგეთი კი გოლების გატანას ვერ შეძლებენ, ასეთ შემთხვევაში მეორეადგილოსანი ხდება იტალია, რომელსაც რუმინეთზე უკეთესი კოეფიციენტი აქვს. საფრანგეთი კი მხედველობაში არ მიიღება, რადგან მას რუმინეთისთვის არ გაუტანია, იტალიასთან კი 0:0-ზე ხომ "შევთანხმდით"?

# ვან ბასტენი რეზერვს ამზადებს?

**C ჯგუფი**

**ჰოლანდია-რუმინეთი**

ბერნი. 17 ივნისი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ჰეიტინგა, ბუმა, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, დე ზეეუვი, ენგელაარი, ვან დერ ვაარტი, კუიტი, ჰუნტელაარი, აფელაი.

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, კივუ, ტამაში, რაცი, პეტრე, კოდრეა, ნიკოლიცა, დიკა, მუტუ, დ. ნიკულაე.

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

გუშინ, რუმინელი ჟურნალისტები ლოზანაში განთავსებულ ჰოლანდიელთა ბაზას მიადგნენ და "ნარინჯისფრებს" სთხოვეს, მოგვაგებინეთო. იქით, იტალიელები და ფრანგები იხვეწებიან, არ დაგვღუპოთო. მოკლედ, **მარკო ვან ბასტენი** ორ (თუ სამ) ცეცხლშუაა. თუმც მას თავისი ანგარიშები და გათვლები აქვს. ამიტომ, ეს თქვენი რუმინეთიც, საფრანგეთიცა და იტალიაც, მოგვიტევეთ ამ გამოთქმისთვის და, სულ ფეხებზე ჰკიდია.

მეოთხედფინალისთვის, რომელშიც ჰოლანდია შვედეთს ან რუსეთს შეხვდება, მარკოს ის შემადგენლობა უნდა ჰყავდეს, რომელმაც იტალია და საფრანგეთი გააცამტვერა. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ. მსჯელობას კი მივყავართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ვან ბასტენი არ დააყენებს მცველ **ანდრე ოოიერსა** და ნახევარმცველ **ნაიჯელ დე იონგს**, რომელთაც თითო ყვითელი ბარათი აქვთ მიღებული. მომდევნო გაფრთხილების შემთხვევაში, მათ მეოთხედფინალის გამოტოვება მოუწევთ. ოოიერსა და დე იონგს **ჯონი ჰეიტინგა** და **დემი დე ზეეუვი** შეცვლიან.

მაგრამ როგორ იქნება სხვა პოზიციებზე? ვინ დაიცავს კარს? **ედვინ ვან დერ სარი** თუ **მაარტენ სტეკელენბურგი**? გარისკავს ვან ბასტენი **არიენ რობენისა** და **რობინ ვან პერსის** ჯანმრთელობით? ბოლო მატჩში რობენი შეცვლაზე შევიდა და გოლიც გაიტანა, ვან პერსიმაც ორივე შეხვედრა შეცვლაზე ითამაშა და ერთი ბურთიც მან მიითვალა (რობენის პასით). მაგრამ ახლახან, მათ ტრავმები აწუხებდათ. ეს ტრავმები რომ არ გაუმიზეზდეთ, მოსალოდნელია, რომ მარკო მათ ცოტა დროს მისცემს, ან იქნებ, საერთოდ არც ათამაშოს.

შეიძლება, დაასვენონ **ვესლი სნეიდერიც**, რომელმაც წინა ორ თამაშში ზღვა ენერგია დახარჯა და ორი გოლიც შეაგდო. რას უპირებენ **რუუდ ვან ნისტელროის**? მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ვან ბასტენი "რეალის" ფორვარდს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს, ხოლო მის ნაცვლად, თავის გამოჩენის შანსი ექნება **იან კლაას ჰუნტელაარს**, რომელსაც ჯერ ერთი წუთიც არ უთამაშია. არადა, ჰუნტელაარს ევროპის სოლიდური კლუბები იწვევენ. ევროპის ჩემპიონატი მისთვის ყველაზე კარგი ტრამპლინი შეიძლება გამოდგეს. მაგრამ ამ ეტაპზე, ვან ბასტენს შეიძლება ნაკლებად აინტერესებდეს "აიაქსის" ფორვარდის საკლუბო მომავალი. დღეს ჰუნტელაარმა "ოქროს რეზერვის" როლი უნდა შეასრულოს. ისიც შესაძლებელია, რომ ძირითადში ითამაშოს ეინდჰოვენელმა **იბრაჰიმ აფელაიმაც**...



ვან ბასტენი, რობენი და სნეიდერი

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდებია და რას გადაწყვეტს ვან ბასტენი, უშუალოდ შემადგენლობების გამოცხადებისას გამოჩნდება. აი, მის კოლეგასა და ვიზავი **ვიქტორ პიცურკას** აბსოლუტურად განსხვავებული პრობლემები აწუხებს. დავიწყოთ იმით, რომ ვან ბასტენისგან განსხვავებით, პიცურკას მოგება სჭირდება. მოსაგებად კი მან საბრძოლო შემადგენლობა უნდა შეარჩიოს. არადა, სწორედ აქ არის სირთულეები. საყრდენი ნახევარმცველი **მირელ რადოი**, რომელმაც "სკუადრა აძურასთან" მატჩში თავის მძიმე ტრავმა მიიღო, ტურნირს უკვე დაემშვიდობა, ცენტრალური მცველი **დორინ გოიანი** კი დისკვალიფიცირებულია. ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ გუნდის კაპიტანი **კრისტიან კივუ** დაცვის ცენტრში გადაინაცვლებს, ხოლო შუა ხაზში მის ადგილს **ბანელ ნიკოლიცა** დაიკავებს.

თავდასხმას რაც შეეხება, აქ კვლავ **ადრიან მუტუ** და **დანიელ ნიკულაე** იქნებიან. **ჩიპრიან მარიკა**, რომელმაც იტალიასთან მატჩის წინ ტრავმა მიიღო და ჰოსპიტალშიც მოხვდა, საწვრთნელ პროცესს დაუბრუნდა, თუმც ძნელია იმის თქმა, ითამაშებს თუ არა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| იტალია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია. ინტერვიუ ვესლი სნეიდერთან

# არაფერი არ გვეშინია

## რეალის ნახევარმცველმა აღიარა, რომ მსოფლიო ჩემპიონებისა და ვიცე-ჩემპიონებისაგან ასეთ სუსტ თამაშს არ ელოდა...

იტალიასთან გამარჯვების დღეს, "რეალის" ჰოლანდიელ ლეგიონერს, ვესლი სნეიდერს 24 წელი შეუსრულდა. ნახევარმცველს დაბადების დღეზე ბრწყინვალე საჩუქარი ერგო - შთამბეჭდავი გამარჯვება (3:0) და ულამაზესი გოლი ჯანლუიჯი ბუფონის კარში. ოთხი დღის შემდეგ სნეიდერმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. საფრანგეთთან მატჩის უკანასკნელ წამზე მან გრეგორი კუპეს არანაკლებ ეფექტური ბურთი შეუგდო. სნეიდერი საუცხოოდ თამაშობს. ევროპის ჩემპიონატამდე, ექსპერტები ჰოლანდიელი ნახევარმცველის პოტენციალს უსვამდნენ ხაზს. როგორც ჩანს, "რეალში" გატარებული ერთი წელიწადი ფეხბურთელს ძალიან წაადგა. ახლა ვესლი "ნარინჯისფერთა" ერთ-ერთი უმთავრესი იმედია.



სნეიდერის ეფექტური გოლი იტალიელთა კარში

**- იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებების დამარცხების შემდეგ, ჰოლანდიამ ევრო 2008-ის ფავორიტის სტატუსი მიიღო.**

- ბევრ გუნდს აქვს ჩემპიონატის მოგების შანსი - გერმანიას, პორტუგალიას, ესპანეთს. ჩვენი უმთავრესი კოზირი ის არის, რომ არაფერი გვეშინია, რადგან საკუთარ ძალებში დარწმუნებულები ვართ. არის თუ არა ჰოლანდიის ნაკრები ფავორიტი, ეს ტურნირის მსვლელობისას გაირკვევა.

**- ელოდით, რომ იტალიელთა და ფრანგთა განთქმული დაცვის ხაზები თქვენთან მატჩებში ასეთ შეცდომებს დაუშვებდნენ?**

- არა. ვფიქრობდი, რომ "რეალში" ჩემი თანაგუნდელის, ფაბიო კანავაროს გარეშეც, იტალიის დაცვა მტკიცე და შეუვალი იქნებოდა. ჩვენმა მეტოქეებმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენეს საკუთარი თავი. ალბათ, ერთ-ერთ მათგანს შინ ნაადრევად გამგზავრება მოუწევს.

**- თქვენ სტანდარტული დარტყმების სპეციალისტად ითვლებით. საიდან ასეთი სიზუსტე?**

- ბავშვობიდან ვვარჯიშობდი კარში დარტყმებში. ვარჯიშების შემდეგ მოედანზე ვრჩებოდი და საათობით ვამუშავებდი საჯარიმოებს, იქამდე, სანამ სახლში ძალით არ წამათრევდნენ. დღესაც, კარში დარტყმებს დიდ დროს ვუთმობ.

**- ეს თქვენი ერთადერთი საიდუმლო იარაღია?**

- არა, სხვებიც არის, მაგრამ ვერ გაგიმხელთ - რატომ დავეხმარო მეტოქეებს?!

**- სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ "რეალში" გატარებული ერთი წლის შემდეგ, თქვენ უფრო კარგად კითხულობთ თამაშს და ასევე უკეთ იწყებთ იერიშებს.**

- "რეალში" გამოცდილება შევიძინე და დღეს გაცილებით დამაჯერებლად ვგრძნობ თავს უმაღლესი დონის გუნდების წინააღმდეგ თამაშისას.

**- ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ პირველ ესპანურ სეზონში?**

- პირველ რიგში, ჩემპიონობა. და გოლი, რომელიც "ვილიარეალს" ჯარიმიდან გავუტანე. ბურთი ზუსტად იქ შევარდა, სადაც ჩაფიქრებული მქონდა.

**- ჰოლანდიის ნაკრებში ვინ წყვეტს, რომელმა ფეხბურთელმა უნდა შეასრულოს ჯარიმა?**

- მე. ხანდახან, დარტყმის წინ ბურთს ხელში ვილებ და მეექვსე გრძნობით ვხვდები, რომ აუცილებლად გავიტან. უდიდეს სიამოვნებას ვილებ, როცა მოჭრილ დარტყმას ვასრულებ და ბურთი საჭირო ტრაექტორიით მიფრინავს. პრინციპში, სწორედ ამ გრძნობის გამო ვამუშავებ საჯარიმო დარტყმებს მრავალი წლის განმავლობაში.

გია თვალაბეიშვილი

---

დღევანდელობა ისტორიულ ჭრილში

# მორენოდან ოვრებომდე

## კიდევ ერთი კორეა იტალიისთვის?

**"სკუადრა აძურას" ნეგატიური ევროკამპანიის შემხედვარე ექსპერტები სვამენ კითხვას: ნუთუ განმეორდება კორეა/იაპონიის მუნდიალი? შეიძლება კითხვის ასე დასმა, რადგან, გარდა უშუალოდ სათამაშო პრობლემებისა, იტალიის ნაკრებს ევრო 2008 ძვირად უჯდება სწორედაც რომ მსაჯების არასწორი გადაწყვეტილებების გამო. სამმა შეცდომამ "აძურას" სატურნირო მდგომარეობაზე საგრძნობლად იმოქმედა...**



ბაირონ მორენო



პეტერ ფროიდფელდტი



ტომ ჰენინგ ოვრებო

პირველი, რა თქმა უნდა, **რუუდ ვან ნისტელროის** გოლი იყო, რომლითაც ჰოლანდია დაწინაურდა. თუ გადახედავთ ფიფას მიერ დაწესებული თამაშგარე მდგომარეობის აღნიშვნის ახალ ვარიანტებს, მიხვდებით, რომ გოლი არ უნდა ჩათვლილიყო. წესი ამტკიცებს, რომ თუ მოთამაშე რაღაც მიზეზის გამო მოედნის გარეთ აღმოჩნდა, ის მაინც ითვლება აქტიურ, მოქმედ ფეხბურთელად. იმ მომენტს თუ ხელახლა შეხედავთ, დაინახავთ, რომ ბურთის დაუფლების მცდელობისას **ჯანლუიჯი ბუფონმა კრისტიან პანუჩი** "გადათელა". პანუჩიმ ტრავმა მიიღო და მოედნის გარეთ, კართან ახლოს იწვა. როგორ ფიქრობთ, ის აქტიურად იყო ჩართული თამაშში თუ არა?

რუმინეთთან მატჩში კიდევ ორმა გადაწყვეტილებამ დააზარალა იტალია. აქედან, პირველმა, შეიძლება ითქვას, "აძურას" 3 ქულა დააკარგვინა. პირველი ტაიმის მიწურულს, **ლუკა ტონიმ**, როცა ანგარიში 0:0 იყო, გოლი გაიტანა, მაგრამ თამაშგარე დაფიქსირდა, თუმცა მომენტის განმეორებისას ჩანს, რომ მას წინ მცველი (**პაულ კოდრეა**) უდგას. აქ მილიმეტრებზე კი არაა საუბარი, არამედ მიუტევებელ შეცდომაზე. იტალიელებმა ცინიკურად აღნიშნეს, ეს ადამიანური შეცდომის ბრალი არ არისო. ან, მეტი ზარალი რაღად გინდა, როცა მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე, არბიტრი საეჭვო 11-მეტრიანს ნიშნავს, პანუჩისა და **დანიელ ნიკულაეს** შორის პოზიციური ბრძოლისთვის? თითქოს, იტალიელმა რუმინელს მაისურაზე მოქაჩა. გაცხარებულმა ტონიმ მატჩის შემდეგ თქვა - თუ ეს პენალტი იყო, მაშინ ჩვენ ყოველ მატჩში ხუთი პენალტი უნდა შევასრულოთო.

ბუფონის მიერ მოგერიებული **ადრიან მუტუს** დარტყმა ნიშნავდა იმას, რომ ეს გადაწყვეტილება აკადემიურს ჰგავდა. ასეა თუ ისე, ბევრი იტალიელი მაინც უკავშირებს ერთმანეთს ევრო 2008-სა და სკანდალურ 2002 წლის ჩემპიონატს. შეგახსენებთ, რომ მაშინ იტალიამ მსოფლიო თასის პლეიოფში გააღწია, მაგრამ ეს მოხდა "სკუადრა აძურას" ისტორიაში მსაჯთა უპრეცედენტოდ არასწორი გადაწყვეტილებების ფონზე. ჯგუფურ ტურნირში, ხორვატიასა და მექსიკასთან მატჩების დროს, **ჯოვანი ტრაპატონის** ბიჭებს წესების დაცვით გატანილი ოთხი გოლი არ ჩაუთვალეს, თუმცა მაინც მოახერხეს ჯგუფიდან გასვლა, სადაც ერთ-ერთ მასპინძელ სამხრეთ კორეას დაუპირისპირდნენ. ამ შეხვედრაში იტალიას კიდევ ერთი ბურთი არ ჩაუთვალეს, "ოქროს გოლი", რომელიც **დამიანო ტომაზიმ** გაიტანა და რომლითაც მომდევნო რაუნდში ტრაპატონის კრებული გადიოდა. **ფრანჩესკო ტოტი** გააძევეს მეტოქე ფეხბურთელის მოცელვისთვის, მაგრამ მომენტის გამეორებისას ჩანს, რომ ის ბუცს... კარგავს. კორეელებს კი საეჭვო პენალტი დაარტყმევინეს პანუჩის მიერ მოწინააღმდეგის ხელის კვრისთვის. მსგავსებას ამჩნევთ? იტალია კორეელთა მიერ გატანილი "ოქროს გოლის" გამო დამარცხდა, ხოლო ეკვადორელი არბიტრი **ბაირონ მორენო** აპენინელებმა მტრად გამოაცხადეს.

რაც შეეხება მორენოს. მოგვიანებით, მან 20-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რადგან ეკვადორის ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში ("დეპორტივა უნივერსიტა"-"ბარსელონა") გუნდები ზედმეტი 13 წუთი ათამაშა. ამ პერიოდში "დეპორტივამ" 4:3 მოიგო. დისკვალიფიკაციის ვადის გასვლისა და მორენოს დაბრუნების შემდეგ, ის კვლავ დასაჯეს ერთ მატჩში 3 ფეხბურთელის საეჭვო გაძევების გამო. მოგვიანებით, მორენომ მსაჯობას თავი დაანება...

დავუბრუნდეთ 2002 წლის მუნდიალს. მთელი იტალია ტიროდა იმის გამო, რომ მათი საყვარელი გუნდის წინააღმდეგ კონსპირაციულად მოქმედებდნენ. "აძურას" მალე შეუერთდა ესპანეთიც, რომელსაც იმავე კორეის წინააღმდეგ, მეოთხედფინალურ მატჩში, წესების დაცვით გატანილი ორი გოლი არ ჩაუთვალეს და საქმე 11-მეტრიანების სერიამდე მიიყვანეს.

კონსპირაციულობა კი შემდეგში მდგომარეობდა: 1) არსებობდა მსოფლიო ჩემპიონატიდან იტალიის გაგდების ვარიანტი და 2) სამხრეთ კორეის, როგორც ერთ-ერთი მასპინძლის, რაც შეიძლება მეტად "გაქაჩვის" მცდელობა. მასპინძლები გააფრთხილეს კიდეც, რომ ისინი ჯგუფური ტურნირიდან გავიდოდნენ, ბოლო მატჩის ღირსეულად ჩატარების შემდეგ. ამ შემთხვევამ პორტუგალია გაიყვანა...

იტალიასა და ესპანეთში ბევრი ვერ იჯერებს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ლეგალურობას. ტურნირმა საკუთარი სახე დაკარგა არა მარტო მეტოქეების ერთმანეთისადმი ზიზღის გამო, არამედ ძალიან სასაცილო შეცდომების მიზეზით, რამაც ესოდენ პრესტიჟული ტურნირი ფარსად აქცია.

ერთი კი ნათელია: ბევრი იტალიელი უკვე ადარებს ერთმანეთს იმ ავადსახსენებელ მსოფლიო ჩემპიონატსა და ევროპის მიმდინარე პირველობას. ავსტრია/შვეიცარიაში იტალიამ თავისი სრული პოტენციალი ვერ აჩვენა და, მართლაც, უნდა დამარცხებულიყო ჰოლანდიასთან მატჩში, თუმცა "აძურას" 3 ქულის აღება შეეძლო რუმინეთთან შეხვედრაში, ტონის გოლი რომ ჩათვლილიყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთთან მატჩში იტალია საკუთარი ბედის გამგებელი თავადვე იქნებოდა, ახლა კი დიდწილად ჰოლანდიასა და რუმინეთზეა დამოკიდებული. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, კარპატელთა მიერ "ნარინჯისფრების" ძლევით, ორივე ნაკრები მეოთხედფინალში ითამაშებს.

ხშირად, ამგვარ ტურნირებზე, ერთ გოლს შეუძლია, გადაწყვიტოს მატჩის ბედი. ამიტომ, მსაჯზეცაა დამოკიდებული, რომელი გუნდი განაგრძობს ტურნირზე ასპარეზობას და რომელი წავა სახლში. თუ გახსოვთ, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე, ავსტრალიასთან მატჩში, როგორ დაინიშნა პენალტი **ფაბიო გროსოს** წაქცევის გამო და ისიც გაიხსენეთ, რაოდენ სასაცილო გადაწყვეტილების საფუძველზე გააძევეს მოედნიდან **მარკო მატერაცი**. აშკარად ვერ იტყვით ცნობილ ფრაზას: "რაც მოხდა, მოხდა"!

"ფეარ პლეის" პრინციპის დაცვა მარტო ფეხბურთელებს არ უნდა მოსთხოვონ. მსაჯებიც პატიოსნად უნდა მსაჯობდნენ, მიკერძოებასა და ფავორიტების ჩამოშორების აშკარა მცდელობებს ბოლო უნდა მოეღოს...

დავით ჩუბინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# ბარსელონას დროგბა შესთავაზეს

## სკოლარი არ უარყოფს, რომ ლონდონში უკეთესი ხელფასის გამო მიემგზავრება

**ლუიშ ფელიპე სკოლარიმ რონალდინიოსა** და **დეკუს** შეძენა მოითხოვა. ლონდონელი ემისრები მოლაპარაკებებისთვის კატალონიაში გაფრინდნენ. ისინი "ბარსელონას" **დიდიე დროგბას** შესთავაზებენ. სკოლარი საზაფხულო ტრანსფერებში 100 მილიონ ევროზე მეტს დახარჯავს. ამ ფულით უპრობლემოდ შეიძლება ორივე ბარსელონელის ყიდვა. მაგრამ რაკი დროგბას წასვლა უნდა, ლონდონელებმა ფულის დაზოგვა გადაწყვიტეს.

სკოლარი **სამუელ ეტოოთი** და **დავიდ ვილიათიც** დაინტერესდა. "ჩელსი" და "ბარსა" ეტოოს საკითხსაც განიხილავენ. მაგრამ თავდაპირველად რონალდინიოსა და დეკუს ამბავი უნდა გაირკვეს. ხუთი წლის წინათ, "ბარსამ" რონალდინიო 40 მილიონ ევროდ შეიძინა ("პარი სენ ჟერმენიდან"), ერთი წლის შემდეგ, დეკუ -14 მილიონად ("პორტუდან"). კატალონიელები მათ 50-55 მილიონ ევროზე იაფად არ გაუშვებენ. "ჩელსი" მზადაა, დროგბას 30 მილიონი დაუმატოს. "ბარსელონა" რომც დათანხმდეს, დიდიეს დაყოლიება ადვილი არ იქნება. კოტდივუარელს თვალი იტალიისკენ უჭირავს. მას "მილანსა" და "ინტერში" იწვევენ.

ერთი კვირის წინათ დროგბამ "სანთან" ინტერვიუში განაცხადა: *"ჩელსისთან" კონტრაქტი 2010 წელს მიმთავრდება. მოურინიო ჩემი მეგობარია. ამიტომ გამიხარდა, რომ "ინტერში" დანიშნეს, მაგრამ მისი დანიშვნა ჩემს "ინტერში" წასვლას არ ნიშნავს".*



რონალდინიო და დეკუ, შეიძლება, ლონდონში ვიხილოთ

ამასობაში, "ჩელსისთან" კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, პირველი კომენტარი გააკეთა სკოლარიმ: *"პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ იცოდა, რომ ლონდონურ ვარიანტს განვიხილავდი. ჟილბერტო მადაილი (ფედერაციის პრეზიდენტი) შეეცადა, ემოვა სპონსორი, რათა ჩემთვის უკეთესი ხელფასი დაენიშნა. მისი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ამიტომ ლონდონელთა პირობებს დავთანხმდი".*

კითხვაზე, იყო თუ არა ფული უმთავრესი ფაქტორი, რის გამოც სკოლარიმ "ჩელსიში" წასვლა გადაწყვიტა, მწვრთნელმა მიუგო: *"დიახ, იყო. მე 59 წლის ვარ. 70 წლამდე მუშაობას არ ვაპირებ. ოთხ-ხუთ წელიწადში პენსიაში უნდა გავიდე. ამიტომაც ფინანსურ მხარეს დიდი მნიშვნელობა მივანიჭე. ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა და ის აუცილებლად უნდა გამოიყენო".*

პორტუგალიური "ა ბოლა" იუწყება, რომ სკოლარის წელიწადში 6 მილიონ ევროს გადაუხდიან. "არისტოკრატებს" კონტრაქტის დეტალები არ გაუხმაურებიათ. დაზუსტებით, ისიც კი არავინ იცის, ხელშეკრულება სამწლიანია, თუ ოთხწლიანი.

სკოლარის ჰკითხეს, ხომ არ ჯობდა, თქვენი დანიშვნის ამბავი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გაგეხმაურებინათო. მწვრთნელმა მიუგო, ამ საკითხს ნაკრების თამაშთან საერთო არაფერი აქვსო. მავანმა მიმომხილველმა ესეც იკითხა, არ გეჩვენებათ, რომ თქვენი გადაწყვეტილებით, პორტუგალიელი ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინეთო. სკოლარიმ მშვიდად უპასუხა, რომ არა და იქვე დაამატა:

*"პორტუგალიასთან კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მიმთავრდებოდა. მე ისედაც სხვა სამსახურში გადასვლას ვაპირებდი. ერთ კლუბში, ან ნაკრებში ამდენხანს არასოდეს მიმუშავია. ხუთწელიწადნახევარი აბსოლუტური რეკორდია. ჩემს საყვარელ "გრემიოშიც" კი მხოლოდ სამი წელი გავატარე. თუ პორტუგალია ევროპის ჩემპიონატს ნაადრევად გამოეთიშება, პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, მე ვიქნები, მაგრამ არა იმიტომ, რომ "ჩელსისთან" კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე გავაფორმე. გარწმუნებთ, ახალ სამსახურში გადასვლით არ მთავრდება მეგობრობა იმ ადამიანებთან, ვისთანაც პორტუგალიაში ვთანამშრომლობდი. შეიცვლება მხოლოდ ჩემი სამსახური და მისამართი".*

---

მანჩესტერ იუნაიტედი

# კრისტიანო რონალდო ისევ რეალს ითხოვს

## ეშმაკები პორტუგალიელ ვარსკვლავს ერთ პენსსაც არ დაუმატებენ

**კრისტიანო რონალდოს** მანჩესტერში დაბრუნება აღარ უნდა. ამ ინფორმაციას გაზეთი "მარკა" ავრცელებს. სამეფო კლუბის პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** პირობა დადო, რომ ფეხბურთელის ტრანსფერისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებს. აი, რა განუცხადა რონალდომ "მარკას": *"რეალში" სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ მადრიდში გადასასვლელად ჩემი სურვილი არ კმარა".*

"მანჩესტერ იუნაიტედი" ამბობს, რომ ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს. "ეშმაკები" სამეფო კლუბს უეფაში ჩივილით ემუქრებიან. რონალდომ განმარტა, რომ ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ, ახლა სხვა კლუბში სურს ძალების მოსინჯვა. ფეხბურთელის მომავალი ჰაერშია გამოკიდებული. მიმომხილველთა ვარაუდით, საკითხი მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გადაწყდება.



კრისტიანო რონალდო

"იუნაიტედი" რონალდოს ახალ კონტრაქტსა და გაზრდილ ხელფასს არ შესთავაზებს. ფეხბურთელს კვირაში 120 ათას გირვანქას უხდიან. ის არა მხოლოდ "იუნაიტედის", არამედ პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. "სანმა" მანჩესტერის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის კომენტარი გამოაქვეყნა: *"მას (რონალდოს), ალბათ, თავბრუ დაახვია სპეკულაციებმა, რომ მადრიდში ზღაპრულ პირობებს ჰპირდებიან, თუმცა არ დაგავიწყდეთ, მას მანჩესტერშიც ასტრონომიული ხელფასი აქვს. ამიტომ კლუბი ერთი პენსის მომატებასაც არ აპირებს."*

**სერ ალექს ფერგიუსონი** კლუბის პოზიციას იზიარებს. მანჩესტერელები რონალდოს კატეგორიულად მოსთხოვენ, პატივი სცეს ხუთწლიან კონტრაქტს, რომელსაც ერთი წლის წინათ მოაწერა ხელი. აგრეთვე დაკმაყოფილდეს იმ ანაზღაურებით, რომელიც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

"იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ იცის, რომ სპეკულაციების უკან "რეალი" დგას. სწორედ "რეალმა" მიაწოდა ესპანურ მედიას ინფორმაცია რონალდოს დაგეგმილი ტრანსფერის თაობაზე. ესპანური გაზეთები მაშინვე აჭრელდა სტატიებით მოსალოდნელი გარიგების შესახებ. ინფორმაცია ინგლისურმა მედიამაც აიტაცა. მადრიდელები კარგად აპრობირებული ტაქტიკით მოქმედებენ. მანჩესტერში კი იმედი აქვთ, რომ რონალდო "ოლდ ტრეფორდზე" დარჩება.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია "იუნაიტედის" ბანაკიდან. "ეშმაკებმა" რომაელთა სარეზერვო გუნდის ნახევარმცველი **დავიდე პეტრუჩი** შეიძინეს. 16 წლის ყმაწვილს ფრანჩესკო ტოტის ადარებენ. მას ინგლისში წლიურად 95 ათას გირვანქას გადაუხდიან, რომში - მხოლოდ 16 ათასს ჰპირდებოდნენ.

იტალიასა და ესპანეთში კლუბებს უფლება არა აქვთ, ახალგაზრდებს 17 წლამდე პროფესიული კონტრაქტები შესთავაზონ. ინგლისური კლუბები ამით სარგებლობენ და იმედისმომცემი ყმაწვილები თავისთან მიჰყავთ. პეტრუჩის შემთხვევაში, "იუნაიტედმა" კიდევ ერთ ეშმაკობას მიმართა: მან სამსახური შესთავაზა დავიდეს მამასაც. მამა-შვილი ინგლისში ერთად იმუშავებს. პეტრუჩი-უფროსი "იუნაიტედის" ბაზაზე ბალახს მიხედავს.

---

ბლექბერნი

# ინსი ჰიუზის ნაცვლად

## ახალ მწვრთნელს სანტა კრუსი და ბენტლი აბარგებული დახვდება

"მირორის" თანახმად, "ბლექბერნის" მთავარ მწვრთნელად **პოლ ინსი** ინიშნება. ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი "მილტონ კინსში" მოღვაწეობს. მისმა გუნდმა გასული სეზონი მეორე ლიგაში გაატარა, პირველი ადგილი დაიკავა და ერთი დივიზიონით ალზევდა. 40 წლის ინსმა მწვრთნელობა ორი წლის წინათ, "მაკლსფილდ თაუნში" დაიწყო. მისი ოცნება პრემიერლიგის კლუბის გაწვრთნა გახლდათ. როგორც ჩანს, ის ამ ოცნებას მალე აისრულებს.



პოლ ინსი

"მირორის" მტკიცებით, დღე-დღეზე ინსმა "ბლექბერნთან" სამწლიანი კონტრაქტის პირობები უნდა შეათანხმოს. ის **მარკ ჰიუზის** ადგილს დაიჭერს. ამ უკანასკნელმა, მოგეხსენებათ, "მანჩესტერ სიტიში" **სვენ გორან ერიქსონი** შეცვალა. "ბლექბერნს" მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე "ბოლტონისა" და "ნიუკასლის" ყოფილი დამრიგებლის, **სემ ელერდაისის**, აგრეთვე **ალან შირერის** კანდიდატურებიც განიხილებოდა.

"ბლექბერნი" ორ საუკეთესო ფეხბურთელს ყიდის. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გუნდს დატოვებენ **როკე სანტა კრუსი** და **დევიდ ბენტლი**. სანტა კრუსი 15 მილიონი გირვანქა ღირს. მას "არსენალი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება. პარაგვაელმა თავდამსხმელმა გასულ სეზონში 24 გოლი შეაგდო. ბრიტანული ტაბლოიდების მტკიცებით, "ბაიერნის" ყოფილი ვარსკვლავი "არსენალში" ჩაირიცხება. რაც შეეხება ბენტლის, 10 მილიონად შეფასებულ ნახევარმცველს "ტოტენჰემსა" და "ლივერპულში" უხმობენ. ბენტლიმ "ბლექბერნს" კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრა და დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებათა დაწყებას ელოდება.

### ვილია ლივერპულში?

"ლივერპულის" დაინტერესებამ **დავიდ ვილია** ძალიან გაახარა. 26 წლის თავდამსხმელი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. მან ორ მატჩში ოთხი გოლი შეაგდო. ზაფხულის ტრანსფერებისას ის კლუბის შეცვლას აპირებს. "ლივერპული" მაცდუნებელი პერსპექტივაა. აი, ვილიას კომენტარი:

*"ლივერპულსა" და "ჩელსიში" ყველა ფეხბურთელი ოცნებობს. "ლივერპულს" ესპანელი მწვრთნელი ჰყავს. იქ ჩემი მეგობრები თამაშობენ. როდესაც რაფა ბენიტესი "ვალენსიის" მთავარი მწვრთნელი იყო, მე "სარაგოსაში" ვირიცხებოდი. რაფას ჩემი შეძენა უნდოდა. სამწუხაროდ, "ვალენსიაში" მისი წასვლიდან ერთი წლის შემდეგ გადავედი".*

ვალენსიელებმა ვილია 2005 წლის ზაფხულში შეიძინეს. სამ წელიწადში დავიდმა 101 მატჩი ჩაატარა და 58 გოლი შეაგდო. ევროპის პირველობაზე მან რუსებს ჰეთ-თრიკი გაუტანა, შვედეთთან კი გამარჯვების გოლი მატჩის უკანასკნელ წუთზე შეაგდო.

### მოურინიომ ჩავი მოიკითხა

**ჟოზე მოურინიო** ჩავი ერნანდესით დაინტერესდა. ამ ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. "ინტერის" ბოსს **დეკუ სოუზას** შეძენა უნდოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა "ჩელსი" აირჩია. მილანელები "ბარსელონასთან" დაკავშირებას უახლოეს დღეებში აპირებენ. ესპანელ მიმომხილველთა ვარაუდით, მოურინიოს წარმატების მცირე შანსი აქვს. ამას მოწმობს ჩავის აგენტის მიერ გაკეთებული კომენტარიც: *"ჩემს კლიენტს სარფიანი შეთავაზებები არ აკლია. ის ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია და უკვე არა ერთი წელიწადია, სტაბილურად თამაშობს. ჩავის სურს, პატივი სცეს კონტრაქტს, რომელიც "ბარსელონასთან" აკავშირებს. ის პეპ გუარდიოლასთან თანამშრომლობის დაწყებას მოუთმენლად ელოდება".*

---

ტოტენჰემი

# მამლებმა გომეში აირჩიეს

"ეინდჰოვენის" მეკარემ **აურელიო გომესმა**, შეიძლება, "ტოტენჰემს" მიაშუროს. **ხუანდე რამოსმა** მისი შეძენა მოითხოვა. 27 წლის ბრაზილიელი 9 მილიონი გირვანქა ღირს. ლონდონელები "ესპანიოლის" კამერუნელ გოლკიპერს, **კარლოს კამენის** ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. ჰოლანდიელმა გულშემატკივარმა გომესს მეტსახელად "რვაფეხა" შეარქვა. მას ეს სახელი განსაკუთრებით "ტოტენჰემთან" უეფას თასის პლეი ოფისას გაამართლა. ის თამაშის შემდეგ დანიშნული 11-მეტრიანების გმირად მოგვევლინა და ფაქტობრივად, მარტომ გამოაგდო გუნდი, რომელთანაც დღეს, შეიძლება, კონტრაქტი გააფორმოს. სენიორ რამოსი კვალიფიციურ მეკარეს ეძებს. "ტოტენჰემის" დღევანდელი კარის დარაჯი **პოლ რობინსონი** გუნდიდან მიდის. ის "მიდლსბროში" ან "ასტონ ვილაში" ჩაირიცხება.

აქვე გეტყვით, რომ სამსახურის შეცვლას აპირებს "ტოტენჰემის" თავდამსხმელი **დარენ ბენტი**. ეს ბიჭი ერთი წლის წინათ "ჩარლტონიდან" სენსაციურ ფასად, 16.5 მილიონ გირვანქად შეიძინეს. მან სეზონის უმეტესი ნაწილი თადარიგში გაატარა. ახლა კი შეიძლება "სანდერლენდში" აღმოჩნდეს. **როი კინის** გუნდი მზადაა, ბენტის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქა გადაიხადოს, ხოლო ფეხბურთელს შეუნარჩუნოს ის ხელფასი, რომელიც "ტოტენჰემში" აქვს - კვირაში 30 ათასი გირვანქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. სამხრეთი ამერიკა. შესარჩევი მატჩები

# დუნგა პარაგვაის შეურაცხყოფას არ შეარჩენს

## ბასილეს კი ღმერთმა ანიშნა, რომ მოედანზე პალასიო უნდა შეეშვა



იბრძვის ადრიანო. ბრაზილიელთა ერთ-ერთი უშედეგო შეტევა

**არგენტინა–ეკვადორი 1:1**

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ბურდისო, დემიკელისი, ჰაინცე, ძანეტი, მასკერანო (64. კრუსი), ვერონი (89. პალასიო), მაქსი როდრიგესი (46. გაგო), რიკელმე, აგუერო, მესი

**ეკვადორი:** სებალიოსი, დე ხესუსი, ივან ურტადო, ესპინოსა, მინა, კასტილიო, ურუტია, ვალენსია, გერონი (93. დე ლა კრუსი), აიოვი (86. ბოლანოსი), ტენორიო (89. ბენიტესი)

**გოლები:** 0:1 ურუტია (69), 1:1 პალასიო (90)

**ბოლივია–ჩილე 0:2**

**ბოლივია:** გალარსა, ოიოსი (78. საუსედო), რალდესი, გუტიერესი, ა. რეიესი, ლ. რეიესი, ალვარესი (46. რიბეირო), კამპოსი (77. ბოტერო), ლ. გუტიერესი, არსე, მარტინსი

**ჩილე:** ბრავო, მედელი, ფუენტესი, ხარა, ფუენსალიდა (46. ესტრადა), კარმონა, სერესედა, მორალესი (55. ვილია ნუევა), ბოსეჟური (59. მარკ გონსალესი), სანჩესი, სუასო.

**გოლები:** 0:1 მედელი (30), 0:2 მედელი (77)

**პარაგვაი–ბრაზილია 2:0**

**პარაგვაი:** ვილიარი, ვერონი, კასერესი, და სილვა, კანისა, ვერა, სანტანა, ბარეტო, კაბანიასი (74. ტორესი), სანტა კრუსი (81. კარდოსო), აედო (52. კასერესი)

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ჟილბერტო, ჟოსუე (36. ანდერსონი), მინეირო (60. ადრიანო), ჟილბერტო სილვა, დიეგო (70. ბაპტიშტა), ლუიშ ფაბიანუ, რობინიო

**გოლები:** 1:0 სანტა კრუსი (21), 2:0 კაბანიასი (49)

**გაძევება:** ვერონი (48)

**პერუ–კოლუმბია 1:1**

**პერუ:** ბუტრონი, პრადო, როდრიგესი, ვილჩესი, ვარგასი, ნეირა (75. რენგიფო), ტორესი, სოლანო, იდალგო (60. კომინგესი), მარინო, გერერო

**კოლუმბია:** აგუსტინ ხულიო, ბუსტოსი, მორენო, საპატა, ველესი (73. სუნიგა), ვარგასი (57. გრისალესი), სანჩესი, ტორესი (86. კორტოკარერო), ფრედი, პერეა, როდალიეგა

**გოლები:** 0:1 როდალიეგა (8), 1:1 მარინო (40)

საუკეთესო შემადგენლობით დაკომპლექტებულმა არგენტინის ნაკრებმა სირცხვილისგან ბოლო წამს იხსნა თავი. **ალფიო ბასილეს** მხსნელად **როდრიგო პალასიო** მოევლინა. შეცვლაზე შესული "ბარსელონის" ახალწვეული რომ არა, "ალბისელესტე" 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ორთაბრძოლაში მტკივნეულ საშინაო მარცხს იგემებდა. არადა, 69-ე წუთზე **პატრისიო ურუტიას** მიერ გატანილი ულამაზესი გოლის წყალობით ეკვადორელები ისტორიულ გამარჯვებასთან მართლაც ძალიან ახლოს იყვნენ. მათ ცოტა დააკლდათ, თორემ არგენტინის ეროვნული გუნდი 1993 წლის შემდეგ საკვალიფიკაციო რაუნდში პირველ საშინაო მარცხ იწვნევდა. სტატიის დასაწყისში შემთხვევით არ გვითქვამს, რომ "ალბისელესტე" საუკეთესო შემადგენლობით ასპარეზობდა. სენიორ ბასილეს მართლაც არავინ აკლდა. **რიკელმე, მესი, აგუერო, ძანეტი, ჰაინცე,** კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ვარსკვლავების სიმრავლის მიუხედავად მასპინძლებმა საკმაოდ სუსტი მეტოქის წინააღმდეგ ძალიან ცუდად ითამაშეს. ასეთი უსახური ფეხბურთი იმითაცაა საგანგაშო, რომ ფეხბურთელებმა ბრაზილიასთან მომდევნო უპრინციპულესი შეხვედრის წინ უკიდურესად უარყოფითი განწყობა შეიქმნეს...

პირველ ტაიმში ბასილეს ბიჭებს, ფაქტობრივად, არაფერი გამოსდიოდათ. ერთადერთი კაცი, რომელიც თამაშს მეტ-ნაკლებად ამწვავებდა ხუან რომან რიკელმე გახლდათ. არგენტინელთა გამთამაშებელმა ბევრი იშრომა, მაგრამ თანაგუნდელთა მხარდაჭერას პრაქტიკულად ვერ ელირსა. ლიონელ მესი და სერხიო აგუერო რომანის პასებს რამდენჯერმე გამოეხმაურნენ. მიუხედავად იმისა, რომ რიკელმემ ისინი ხესაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, "ბარსას" და "ატლეტიკოს" სუპერვარსკვლავებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს.

რიკელმე შესვენების შემდეგაც არ ცხრებოდა. მან ორი სახიფათო საჯარიმო შეასრულა, მაგრამ მიზანს ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია. ამასობაში, სტუმრებმა სახიფათო კონტრიერიშებით კლანჭები გამოაჩინეს. **გერონმა** და **კარლოს ტენორიომ** არგენტინელ მცველებს არაერთი პრობლემა შეუქმნეს. ეკვადორელთა აქტიურობას ლოგიკური შედეგი საკმაოდ მალე მოჰყვა. 69-ე წუთზე ურუტიამ დაახლოებით 20 მეტრიდან შესრულებული უძლიერესი დარტყმით გაიტანა. როგორც მოგახსენეთ, წონასწორობა პალასიომ აღადგინა. თუმცა მანამდე **აბონდანსიერიმ** საკუთარი გუნდი რამდენიმე გოლისგან იხსნა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ალფიო ბასილემ ასეთი რამ განაცხადა: *"ღმერთმა ნიშანი მომცა და გადავწყვიტე პალასიო მოედანზე შემეშვა. არადა, ძირითადი დროის დასრულებამდე 1 წუთი რჩებოდა. პრაქტიკულად გამოუვალ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, მაგრამ საოცრად გაგვიმართლა და ნაგებას გადავურჩით. რა თქმა უნდა, ყაიმითაც ძალიან უკმაყოფილო ვარ, თუმცა ბუნებრივია, ერთი ქულა ნულს რაღაცით მაინც სჯობს. ახლა მთავარია, დღევანდელი წარუმატებლობა დავივიწყოთ და მომდევნო ტურის უპრინციპულესი მატჩისთვის მოვემზადოთ. მჯერა, ბიჭები სწორ დასკვნებს გამოიტანენ და თავს არ შეირცხვენენ".*

პარაგვაის ნაკრებმა მორიგი სასწაული მოახდინა და ბრაზილიის ნაკრები პირწმინდად გაანადგურა. რა თქმა უნდა, ორბურთიანი უპირატესობა ზოგადად არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ გამარჯვებულმა გუნდმა დამარცხებული პირწმინდად გაანადგურა, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში პენტაკამპეონები მართლაც სრულიად უსუსურად გამოიყურებოდნენ. მათ რიცხვობრივი უპირატესობითაც ვერ ისარგებლეს. პირიქით, მასპინძლებმა კაცნაკლულად დარჩენის შემდეგ მეორე ბურთიც შეაგდეს და **კარლოს დუნგას** შეგირდები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდეს. ალბათ, ბევრისთვის წარმოუდგენელია, რომ ბრაზილიის ნაკრებს სულ რაღაც რვა ქულა აქვს, მაგრამ ეს უტყუარი ფაქტია. ძნელია იმ აგრესიის სიტყვებით გადმოცემა, რომელიც დუნგას ბრაზილიურმა პრესამ დაატეხა. ყველაზე მტკივნეული "ოგლობოს" შეფასება გახლდათ. ავტორიტეტულმა გამოცემამ კარლოსს არაკვალიფიციური და დეზორიენტირებული სპეციალისტი უწოდა. დუნგას მატჩისშემდგომ განცხადებას მოგვიანებით გაგაცნობთ, მანამდე კი გეტყვით, რომ ბრაზილიელთათვის ასუნსიონი 1985 წლის შემდეგ აუღებელ ციხესიმაგრედ რჩება. ტრიუმფალური გამარჯვება პარაგვაის ნაკრების ტაქტიკამ განაპირობა. მასპინძლები დიდ რისკზე წავიდნენ და სამი ფორვარდი დააყენეს. შედეგი ფანტასტიკური მიიღეს. პარაგვაის გამარჯვებას **სანტა კრუსმა** ჩაუყარა საფუძველი. მეორე ტაიმში კი **კაბანიასმაც** იყოჩაღა.

ახლა კი დუნგას შეპირებული განცხადება: *"არსებობს დღეები, როცა აბსოლუტურად არაფერი არ გამოგდის. სამწუხაროდ, ჩვენ სწორედ ასეთი დღე გვქონდა. თამაში არ წაგვივიდა. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ გუნდს კაკას არყოფნა ცუდად დაეტყო. ამასთან, პარაგვაი საკუთარ თავს გადაახტა. დიდი პატივისცემის მიუხედავად უნდა განვაცხადო, რომ ზოგადად ჩვენს მასპინძლებს ამხელა პოტენციალი არ გააჩნიათ, თუმცა როგორც ჩანს ბრაზილიასთან თამაში ყველასთვის დამატებითი მოტივაციაა. ვიცოდი, რომ შვებულებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები საუკეთესო თამაშს ვერ გვაჩვენებდნენ. ეს არასასიამოვნო პროგნოზი, სამწუხაროდ, გამართლდა. გულშემატკივრებს პირობას ვაძლევთ, რომ პარაგვაის ამ გამარჯვებას არ შევარჩენთ და საშინაო შეხვედრაში შურს ვიძიებთ".*

ტურის დანარჩენი შეხვედრებიდან პერუსა და კოლუმბიის მატჩი შეიძლება გამოიყოს. ეს ორთაბრძოლა უშელავათო ფეხბურთითა და საგოლე მომენტების თვალსაზრისით იყო გამორჩეული. პერუელთა ვეტერანი **ნოლბერტო სოლანო** გულშემატკივრებს კოლუმბიის სოლიდური ანგარიშით დამარცხებას პირდებოდა, მაგრამ დანაპირები კინაღამ პირიქით აუხდა. სტუმრებმა დებიუტშივე გახსნეს ანგარიში და პირველ ტაიმში კიდევ არაერთი გოლის გატანის შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. თავის მხრივ, პერუს ეროვნული გუნდიც უტევდა. **ხუან კარლოს მარინომ** ჰაერივით საჭირო გოლი შეაგდო. საყაიმო ანგარიში ლოგიკურ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა სოლანო ასე არ ფიქრობს:

*"გული მწყდება, რომ საშინაო შეხვედრაში ვერ მოვიგეთ. მართალია, კოლუმბია საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ჩვენ ყველა პირობა გვქონდა იმისთვის, რომ სატურნირო მდგომარეობა გაგვეუმჯობესებინა. ვფიქრობ, შეხვედრის დებიუტში დაშვებული შეცდომის გამო დავისაჯეთ. ყოველთვის ძნელია, როცა თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთში გაგიტანენ. ამ დროს ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს გასახდელიდანვე ჰანდიკაპის ამოსაქაჩავად გამოხვედი. რა გაეწყობა, ბედს უნდა შევეგუოთ და მომდევნო შეხვედრისთვის მოვემზადოთ".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-1 | 13 |
| 2. არგენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 10 |
| 3. კოლუმბია | 5 | 2 | 3 | 0 | 4-2 | 9 |
| 4. ბრაზილია | 5 | 2 | 2 | 1 | 8-4 | 8 |
| 5. ვენესუელა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 6. ჩილე | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 7. ურუგვაი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-6 | 5 |
| 8. ეკვადორი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-13 | 4 |
| 9. პერუ | 5 | 0 | 3 | 2 | 3-9 | 3 |
| 10. ბოლივია | 5 | 0 | 1 | 4 | 3-15 | 1 |

ტრანსფერი

# გომესი ბაიერნში, თითქმის...

## მიუნხენელებმა შტუტგარტს 30-35 მილიონი ევრო უნდა გადაუხადონ

რამდენიმე დღის წინაც გაცნობეთ, რომ "ბაიერნი" **მარიო გომესით** დაინტერესდა. "შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების 22 წლის თავდამსხმელს რეკორდმაისტერმა ჯერ კიდევ შარშან დაადგა თვალი. დიდი შანსია, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სუპერმარიო მიუნხენურ გიგანტში ვიხილოთ.

"ბილდი" ამას წინათ იუწყებოდა, რომ მიუხედავად 2012 წლამდე გაფორმებული კონტრაქტისა, გომესის "შტუტგარტიდან" აბარგება თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. მეტიც, ჩვენი გერმანელი კოლეგები წერდნენ, რომ მარიომ ბავარიულ გრანდთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. მხარეები დღემდე ამ ცნობას არ ადასტურებდნენ. ოფიციალურად, არც ახლა დაუდასტურებიათ, მაგრამ გომესის მრჩეველმა **ული ფებერმა** საინფორმაციო სააგენტო SID-ს განუცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ "ბაიერნთან" მოლაპარაკებებს დაიწყებს. *"დიახ, კონტინენტის პირველობის დასრულების შემდეგ შევხვდებით და დავილაპარაკებთ,"* - განაცხადა ფებერმა. "ბილდი" კი ამტკიცებს, რომ ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია, მაგრამ როგორც ჩანს, მხარეებს ამ ინფორმაციის გაჟღერება ჯერ არ სურთ.

ფებერმა რამოდენიმე დღის წინათ ისიც დაადასტურა, რომ "ბარსელონიდან" დაუკავშირდნენ. მიუხედავად ამისა, ის რეგულარულად იმეორებს, რომ გომესს "შტუტგარტთან" ჯერ კიდევ ხანგრძლივი კონტრაქტი აკავშირებს. "შტუტგარტერ ცაიტუნგი" იტყობინება, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა გომესის მრჩეველს შეხვედრას სთხოვეს. ხსენებული გამოცემის ცნობით, ბავარიელები მზად არიან, გომესის სანაცვლოდ 30-35 მილიონი ევრო გადაიხადონ, რაც რეკორდმაისტერისთვის სარეკორდო თანხა იქნებოდა.

თუკი ტრანსფერი განხორციელდება, გომესი **ლუკას პოდოლსკისა** და **მიროსლავ კლოზეს** შემდეგ, გერმანიის ნაკრების მესამე თავდამსხმელი იქნება, რომელიც მიუნხენურ კლუბში ჩაირიცხება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბავარიელთა მომავალი თავკაცი **იურგენ კლინსმანი** მაქსიმალურად ცდილობს, რეკორდმაისტერში ბუნდესფეხბურთელებს მოუყაროს თავი, გასაკვირი აღარ იქნება, თუ რატომ მიადგნენ მიუნხენელები სუპერმარიოს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ბაიერნში" თამაშობს **ლუკა ტონიც**, რომელიც ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა და რომელმაც მიუნხენელი ქომაგების გული ძალიან მალე მოიგო. ტონი, კლოზე, პოდოლსკი - მიუხედავად ამისა, ბავარიელთა ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგეც** ადასტურებს, რომ "ბაიერნს" გომესიც გადაბირება უნდა.

*"გომესი ძალიან კარგი და საინტერესო თავდამსხმელია, რომელიც "შტუტგარტს" ძალიან ძვირად უღირს. მაგრამ ახლა ისეთი პერიოდია, რომ ფეხბურთელისთვის ტვინის არევა საჭირო არ არის. დასრულდება ევროპის ჩემპიონატი და მარიოსთან მერე დავილაპარაკებთ. ერთი სიტყვით, ეს ისეთი თემაა, რომელსაც კიდევ არაერთხელ მივუბრუნდებით,"* - უთხრა რუმენიგემ "მიუნხენერ თაგესცაითუნგს".

...და რას ამბობენ "შტუტგარტის" მესვეურები? მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე**: *"დამერწმუნეთ, მარიო გაისადაც "შტუტგარტში" ითამაშებს. ნამდვილად არ მიკვირს ის, რომ მასზე უკვე ძალიან დიდი მოთხოვნაა, მარიო ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო და პერსპექტიული ფორვარდია."*

თვითონ ფეხბურთელი ნებისმიერ კონკრეტულ კომენტარზე უარს ამბობს, ახლა ევროპის ჩემპიონატზე ვარ და სხვა რამეზე არ ვფიქრობო. მაგრამ მარიო შემდეგსაც ამბობს: *"მინდა, რომ წინსვლა არ შევწყვიტო და კიდევ უამრავი ტიტული მოვიგო."* ფაქტია, რომ ამ მიზანს "ბაიერნში" უფრო მიაღწევს, ვიდრე "შტუტგარტში", სადაც ერთხელ უკვე გახდა გერმანიის ჩემპიონი.

**გოტფრიდ ლენცი**



მარიო გომესი მიუნხენისკენ მიფრინავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ლეგიონერები

# ჩხაიძე და მაჩხანელი ფინალში

**საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასრულდა. გამარჯვებული დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის "კლერმონია", რომელმაც ჩემპიონობის მოსაპოვებლად კიდევ ორი შეხვედრა უნდა მოიგოს. "ვულკანები" მომავალ შაბათს მარსელის "სტად ველოდრომზე" მეოთხე ადგილზე გასულ "პერპინიანს" დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალური წყვილი "ტულუზი"-"სტად ფრანსე" კი კვირას ბორდოში გაარკვევს ურთიერთობას.**

ბოლო ტურში "კლერმონს" მშვენიერი ვარჯიში გამოუვიდა. საკუთარ მოედანზე დივიზიონიდან გავარდნილი **ირაკლი გიორგაძის** "დაქსი" მიიღო და 95:7 გაანადგურა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-40 წუთზე შეცვალეს. შველიძე და გიორგაძე განაცხადში არ იყვნენ.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ "დაქსთან" ერთად დივიზიონის დატოვება მოუწევს კიდევ ერთი ქართველის, **მამუკა მაგრაქველიძის** "ოშს", რომელმაც ბოლო ტურში **მამუკა გორგოძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** "მონპელიეს" უმასპინძლა და ისევ დამარცხდა 13:23. გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მაგრაქველიძე 55-ე წუთზე შეცვალეს. ქუბრიაშვილი განაცხადში არ იყო.

სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილი დაიკავა და "ჰაინეკენის" თასის საგზური მოიპოვა **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრმა". გლობუსას გუნდმა ბოლო ტურში სტუმრად სძლია უშუალო კონკურენტ "ბიარიცს" 34:30. რაშიც წვლილი ქართველმა მორაგბემაც დაიდო. გიორგაძე თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო და 12 წუთში ბასკებს ლელო გაუტანა.

სტუმრად დამარცხდნენ ქართველი მორაგბეების **დავით ხინჩაგაშვილის** "ბრივი" და **ავთანდილ კოპალიანის** "ბაიონი", შესაბამისად, "ბურგუენთან" და "ტულუზთან". ჩვენებურებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XXVI ტური. **კლერმონი-დაქსი 95:7, ტულუზი-ბაიონი 35:28, ბიარიცი-კასტრი 30:34, პერპინიანი-სტად ფრანსე 23:19, ბურგუენი-ბრივი 22:19, მონტობანი-ალბი 24:17, ოში-მონპელიე 13:23.**

საბოლოო მდგომარეობა: **1. კლერმონი - 96 ქულა, 2. ტულუზი - 91, 3. სტად ფრანსე - 80, 4. პერპინიანი - 79, 5. კასტრი - 69, 6. ბიარიცი - 66, 7. მონტობანი - 63, 8. მონპელიე - 61, 9. ბაიონი - 54, 10. ბურგუენი - 52, 11. ბრივი - 51, 12. ალბი - 48, 13. დაქსი - 34, 14. ოში - 19.**

პირველ დივიზიონში გადასასვლელ ფინალში კი ქართველი მორაგბეების **გიორგი ჩხაიძის** "მეტრო რასინგი" და **ირაკლი მაჩხანელის** "მონ დე მარსანი" დაუპირისპირდება ერთმანეთს.

ნახევარფინალში პარიზელებმა "ლა როშელი" დაამარცხეს 23:17. ჩხაიძე განაცხადში იყო, ოღონდ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. "მონ დე მარსანმა" კი "ლიონი" დაამარცხა 12:6, მაჩხანელი თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო. ფინალი შაბათს გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ჩოგბურთი

# ფინიში პერსპექტივით...



ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე შაბათს დასრულდა სოლომონ თუხარელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც წლეულს მეთერთმეტედ ჩატარდა. თუხარელების ოჯახის - მეუღლისა და ქალიშვილების დამსახურებაა, რომ ამაგდარ მწვრთნელს არ ივიწყებენ და ამ საქმეში უმნიშვნელოვანესია საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა მხარდაჭერაც. ცხადია, კეთილ ადამიანთა შეწევნა მნიშვნელოვანია და მათ მიერ გაღებული ფინანსური რესურსები ქმნიან მცირე, მაგრამ ძალზედ ლამაზ სპორტულ სანახაობას, - ამჯერად ორგანიზატორებს კომპანია "აგუნა" შეუამხანაგდა - დირექტორი **მიხეილ ფაშიაშვილი**. ამ კომპანიის დიდი დამსახურებაა, რომ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს მშვენიერი საჩუქრები გადაეცათ... სხვათა შორის, ბატონი მიხეილის ვაჟი **ლევან ფაშიაშვილიც** ჩოგბურთელია და ქალბატონ **ოლიკო თუხარელის** მოწაფეა. იგი მცირე ასაკის არის, მაგრამ ორი და სამი წლით უფროსებთან ტოლსწორად თამაშობს. მართალია, ამჯერად ლევანმა წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ კოჭებში ეტყობა, რომ კარგი ჩოგბურთელი გამოვა და ალბათ, ამიტომაც დაიმსახურა მაყურებელთა სიმპათია, - პრიზიც შესაბამისი გადაეცა.

რაკი სიმპათიაზე ჩამოვარდა სიტყვა, კვლავ უნდა აღვნიშნოთ 7 წლის **სანდრო ჭადაშვილის** შედეგი: სანდრომ პირველ ეტაპზე სამი წლით უფროს მეტოქეს აჯობა და მეოთხედფინალში მომავალ ფინალისტთან, **სანდრო სვანიძესთან** წააგო. იგი ყველაზე უმრწემესი მოთამაშე იყო ტურნირზე და შესაბამისი პრიზიც ერგო. რაც მთავარია, მასში დიდი პოტენციალი ჩანს, რაზეც თამამად საუბრობენ მწვრთნელები და სპეციალისტები. სანდროს ჯილდო მებრძოლი ხასიათის გამო უფრო მიანიჭეს, ვიდრე ასაკის - ის მართლაც გამოცდილი სპორტსმენივით იბრძოდა...

კიდევ ერთი სახელობითი პრიზი გადაეცა მონაწილეს: ბრწყინვალე ქართველი მწვრთნელის, საქართველოს დევისის ნაკრები გუნდების პირველი კაპიტნის, აწ გარდაცვლილი ნიკო ელერდაშვილის ქალიშვილი **ნუკი ელერდაშვილი** პირველად მონაწილეობდა ასეთი მასშტაბის ტურნირზე. ნუკი პრიზიორებში ვერ მოხვდა, მაგრამ კარგი თამაში აჩვენა და ამის გამო გამოარჩიეს ორგანიზატორებმა.

ტურნირი ლამაზი საზეიმო ცერემონიალით დასრულდა, სადაც ყველა პრიზიორი დააჯილდოვეს. შეგახსენებთ, შეჯიბრება ოთხ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა - 10, 12, 14 და 16. ათ წლამდე გოგონებში ასეთი საპრიზო სამეულია:

**1. ქრისტინა გეგეშიძე; 2. მარიამ სალაყაია; 3. მარიამ ბოლქვაძე.**

12-წლამდელები: **1. თამუნა კუტუბიძე; 2. ქეთი თეთრაძე; 3. მარიამ ამირანაშვილი.**

14-წლამდელები: **1. ეკატერინა პოტაპოვა; 2. ლიზი ნადიბაიძე; 3. მარიამ გოგელაშვილი.**

16-წლამდელები: **1. თამარ ცხაკაია; 2. დიანა ტუმანოვა; 3. ანი გოგვაძე.**

ვაჟები: **10-წლამდელები: 1. ლექსო სვანიძე; 2. სანდრო სვანიძე; 3. ნიკა ნიკოლაიშვილი.**

12-წლამდელები: **1. ნიკა იორდანიდი; 2. გიორგი კაკულია; 3. გიორგი ფოცხვერია.**

14-წლამდელები: **1. გიორგი კვერნაძე; 2. ლევან ბუკუკიშვილი; 3. პავლე ვაშაკიძე.**

16-წლამდელები: **1. გიორგი გეგეშიძე; 2. ზურა ცხაკაია; 3. ნიკა ციციშვილი.**

თუხარელის ტურნირის დასრულების შემდეგ მონაწილეთა დიდი ნაწილი მეორე დღეს უკვე საერთაშორისო ტურნირში ჩაება: "ავსტრიის ავიახაზების" ტრადიციულმა ტურნირმა აილო გუშინ სტარტი. ეს შეჯიბრიც ასაკობრივია, თუმცა მხოლოდ ორ ჯგუფში - 14 და 16 წლამდე იასპარეზებენ; ცხადია, სურვილისდა მიხედვით, მცირე ასაკის ბავშვებსაც შეეძლოთ უფროსებთან გაპაექრება.

"ავსტრიის ავიახაზებზე" წლეულს 11 ქვეყნის სპორტსმენები შეიკრიბნენ: იტალია, ისრაელი, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ყიგიზეთი და საქართველო არის წარმოდგენილი. ტურნირი ერთ კვირას გასტანს და ქართველთათვის იმადაც არის საინტერესო, რომ იქ ნაჩვენები შედეგით გარკვეულ ქულებს დაიწერენ, რაც საერთო ჩათვლაში შევა; საუკეთესო შედეგის მქონენი კი 14 და 16 წლამდე ასაკის ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

**ზვიად შათირიშვილი**

# ტრანსფერები

შერკინების პირველხაზელმა **გურამ კავთიძემ**, რომელიც აქამდე მეორე დივიზიონის "აჟენის" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა, ახლახან ამავე დივიზიონის "ლიონში" გადაბარგდა. "აჟენი" დატოვა კიდევ ერთმა ქართველმა **დავით ჩიჩუამაც**, თუმცა ჯერჯერობით მისი მომავალი გუნდის ვინაობა უცნობია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# ნაკრებში ნიკოლაშვილი მოხვდა

დასრულდა 16-წლამდელთა შესარჩევი ტურნირი, სადაც 16-წლამდელთა ოლიმპიური ნაკრების მეოთხე წევრი უნდა გამოვლენილიყო. შერჩევაში ოთხი მოჭადრაკე თამაშობდა: **გიორგი ნიკოლაშვილი, ზურაბ ჯავახაძე, თორნიკე გაბუნია და რეზო ჭკუასელი.** ისინი ერთმანეთს წრიული სისტემით ორ წრედ უნდა შეხვედროდნენ; სათამაშო დრო კლასიკური იყო - მთელ პარტიაზე 90 წუთი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

ყველაზე კარგად ტურნირი გიორგი **ნიკოლაშვილმა განვლო** - ექვსი შესაძლებლიდან მან 5 ქულა დააგროვა: ოთხი მოგება და ორი ყაიმი; მეორე ადგილზე ზურაბ ჯავახაძე გავიდა ოთხი ქულით: +3; -1; =2. თორნიკე გაბუნიამ ორი ქულით დაასრულა თამაში: +1; -3; =2. აღსანიშნავია, რომ ბოლო ტურში გაბუნია ჭკუასელთან სათამაშოდ არ გამოცხადდა და ნაგება ჩაეთვალა; რეზო ჭკუასელისთვის სწორედ ეს ქულა გახდა ერთადერთი პოზიტივი ამ ტურნირში - იქამდე ყველა შეხვედრაში დამარცხდა.

გიორგი ნიკოლაშვილი კი მოხვდა ნაკრებში, მაგრამ დიდი შანსია იქ ზურაბ ჯავახაძეც ვიხილოთ. საქმე ის არის, რომ ოლიმპიადაზე ერთდროულად ოთხ დაფაზე იმართება შეხვედრები და ერთი სათადარიგო მოთამაშე აუცილებელიც კია. როგორც ჩანს, სათადარიგო ჯავახაძე იქნება. ძირითადი შემადგენლობა კი ასეთი იქნება: **ლევან ბრეგაძე, ირაკლი ჯანიაშვილი, ნოდარ დავარაშვილი და გიორგი ნიკოლაშვილი.**

**ზვიად შათირიშვილი**

# ტატიშვილის საუკეთესო მატჩი მცხუნვარე კვირა დილას



**ანა ტატიშვილმა** შემოგვთავაზა ძალიან კარგი ჩოგბურთი, რომელიც ხანდახან დიდებული თამაშით იყო გაბრწყინებული. **ლორენ ალბანეზე** შიგადაშიგ კარგ ჩოგბურთს გვაჩვენებდა, მაგრამ ეს არ იყო მისი საუკეთესო მატჩი.. შედეგიც სახეზეა.

18 წლის ჯორჯიელმა (რესპუბლიკა) ანა ტატიშვილმა 6:4, 6:3 დაამარცხა 19 წლის ლორენ ალბანეზე ასევე ჯორჯიელი (შტატი) ცხელ, არა მცხუნვარე კვირა დილას „ტენის ვესტის" კლუბის კორტებზე და ამით მონადირეთა საზოგადოების თასი (25 ათასი დოლარი საპრიზო ფონდით) მოიგო.

*„მგონი, ეს ჩემი საუკეთესო მატჩი იყო კარიერაში"*, - განაცხადა ტატიშვილმა, რომელიც ფლორიდულ ბოკარატონში ცხოვრობს და ვარჯიშობს. *"ყველა დარტყმული ზუსტად ისე წავიდა, როგორც მინდოდა. ძალიან კარგ განწყობაზე დავდექი. ახლა უკვე 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის ღია პირველობაზე ვითამაშებ, ჯერ ძირითად ბადეში ვერა, მაგრამ საკვალიფიკაციოში."*

*„ტრავმა მაწუხებდა, ფეხზე რამდენიმე ბებერა გამომივიდა. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ წაგება ამის ბრალია – ანა შეუდარებელი იყო კორტზე"*, - განაცხადა ალბანეზემ. *"მატჩში ბევრი ლამაზი მომენტი იყო, ორივე ჩოგბურთელი ცდილობდა, ვალში არ დარჩენოდა მეტოქეს, დარბოდა და ურტყამდა ჩოგანს, ამოკლებდა დარტყმებს, აბრუნდებდა ძლიერ დარტყმებს დაბალი დარტყმებით. ტატიშვილმა უფრო ნაკლები უნებლიე შეცდომა დაუშვა და გაცილებით მეტი „ვინერი" დაარტყა. ალბანეზემ კი თითქმის იმდენი შეცდომა დაუშვა, რაც მთელი კვირის განმავლობაში."*

*„თავიდან ჩაწოდებისას გამიჭირდა რიტმის დაჭერა, მაგრამ თამაში გახურდა და მეც თავი კარგად ვიგრძენი კორტზე. დღეს ჩემი ჩაწოდებებით კმაყოფილი დავრჩი, ძალიან ბევრჯერ დამეხმარა გადამწყვეტ მომენტში". მატჩში გადამწყვეტი მეორე სეტის მომენტი გამოდგა, 3:3-ზე. ალბანეზე აწოდებდა და მან რამდენიმე გეიმ-პოინტი გაანიავა, ბოლოს მოულალავმა ანამ მოწოდება მოუგო და დაწინაურდა. ანამ მატჩიც ალბანეზეს მოწოდებაზე დაასრულა, 15:40-ზე ანას საპასუხო ფორჰენდმა მატჩს წერტილი დაუსვა. „დიდი ხანია არ მომიგია, წლეულს, 25-იან და 50-იან ტურნირებში ნახევარფინალებში ვითამაშე, ეს კარგი შედეგი იყო, მაგრამ მოგება მაინც სულ სხვაა და საბოლოოდ, მოვიგე".*

დაველოდოთ ორივე ჩოგბურთელს ამერიკის ღია პირველობაზე აგვისტოში, ალბანეზემ ორჯერ ითამაშა ძირითად ბადეში, ხოლო ტატიშვილმა ერთხელ ითამაშა საკვალიფიკაციოში. ამ ორმა ნიჭიერმა ჩოგბურთელმა მცხუნვარე კვირა დილას ელ პასოს კარგი ჩოგბურთი აჩუქა.

***ბილ ნაითი, „ელ პასო ტაიმსი".***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ახალგაზრდები პოლონეთისთვის ემზადებიან...

**ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, ოღონდ ჯერ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ვარჯიშებით, შეკრებები კი არ დაუწყიათ. კონტინენტის პირველობას 12-14 სექტემბერს ვარშავა უმასპინძლებს, მოსამზადებელ შეკრებებს კი ზაფხულში გაივლიან.**

ახალგაზრდულის თავკაც **ბორის ფირცხელიანს** იქ წასაყვანი შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, თუმცა ბირთვი უკვე ცნობილია - იგი ქვეყნის ჩემპიონატზე გამოვლინდა. მწვრთნელთა საბჭო იმთავითვე აცხადებდა, ნაკრებში მოსახვედრად პრიორიტეტი ქვეყნის ჩემპიონებს მიენიჭებოდათ, თუმცა ვინაიდან, სპორტი შემთხვევითობებისგან დაზღვეული არაა, ხოლო ევროპირველობამდე საკმაო დროა და შემადგენლობის გამოცხადებას არ ჩქარობენ. ერთადერთი, ნაკრებში ადგილი მხოლოდ **ვალერი ლიპარტელიანს** (90) დაუბევეს. მოგეხსენებათ, ის ეროვნული ნაკრების მეორე ნომერია, უკვე რამდენიმე ძლიერი საერთაშორისო ტურნირიც მოიგო და გამოსაცდელიც არაფერი სჭირს. ამიტომ ის ქვეყნის ახალგაზრდული პირველობიდანაც გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონები **გიორგი ბროლაშვილი** (55), **პაატა მერებაშვილი** (60), **ზებედა რეხვიაშვილი** (66), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (73), **ზაზა დავაძე** (81), **ბეთქილ ნავერიანი** (90), **კონსტანტინე მუკვანი** (100) და **ლევან მუქერია** (+100) გახდნენ.

როგორც გითხარით, ევროპაზე წასაყვანი ხალხიც ამათშია საძიებელი და ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომელიმე ამოვარდეს ნაკრებიდან. ამის მიზეზი, ისევ და ისევ, ტრავმა თუ გახდება, რისგანაც ღმერთმა ყველა დაიფაროს. ჩემპიონებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ფირცხელიანი ისევ ძველ კადრებს დაეყრდნობა - დასახელებულთა შორის ახალი სახეები ბროლაშვილი, ჭრიკიშვილი და დავაძეა, სხვებს კი უკვე გამოცდილებიც კი ეთქმით. ამ ნაკრებში დებიუტი ექნება ზებედა რეხვიაშვილსაც, რომელიც წლეულს გადმოვიდა ჭაბუკთა ნაკრებიდან, მაგრამ ის ლიპარტელიანზე არანაკლებ პერსპექტიულია და არც გამოცდილება დაეწუნება. იგი ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონია და წლეულსაც მედალს ელოდებიან. მან უფროსებში რამდენიმე მსოფლიო თასზეც იასპარეზა და, ასაკის მიუხედავად, ურიგოდ ნამდვილად არ უასპარეზია.

შარშან ევროპირველობაზე ახალგაზრდულმა ნაკრებმა დიდი წარმატებით იჭიდავა - ლიპარტელიანმა ტრიუმფით გაიმარჯვა (აშკარად აღემატებოდა მეტოქეებს), **ზვიად ბაზანდარაშვილმა** (73) და მუქერიამ კი ვერცხლის მედლები მოიპოვეს. რაკი ამ ნაკრებს თაობათა ცვლის პროცესი ისე მტკივნეულად არ აწუხებს, წლეულსაც მაღალ შედეგებს უმიზნებენ. შარშანდელიდან გამომდინარე, გამოწვევაც სერიოზულია. ოპტიმიზმს ისიც აძლიერებს, რომ დასახელებულთაგან რამდენიმე ახლაც ეროვნულ ნაკრებთანაა შეკრებაზე, რაც მათთვის დიდი სკოლაა.

ახალგაზრდული ნაკრები მალე ჯერ ბაკურიანში წავა საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე, მეორე შეკრება უკვე ტატამზე ვარჯიშსა და ტექნიკური არსენალის დახვეწას დაეთმობა.

პოლონეთში წასვლამდე გუნდი ერთ საკონტროლო ტურნირშიც გამოვა. თავდაპირველი გეგმით, საამისოდ იქვე, პოლონეთში გასამართი შეჯიბრება შეგულებული, თუმცა, შეიძლება, ეს გეგმები შეიცვალოს და ვარშავის ნაცვლად პრაღაში წავიდნენ. ჩეხეთის ტურნირი პოლონურზე ერთი კვირით გვიან იმართება და რაკი ევროპის პირველობასთან უფრო ახლოა, ამიტომაც ურჩევნიათ იქ წასვლა.

წლეულს ახალგაზრდებს მეორე და უფრო სერიოზული ტურნირიც ელოდებათ - მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ოქტომბერში ვიეტნამში უნდა გამართულიყო, მაგრამ ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, ტაილანდში გადაიტანეს. სავარაუდოდ, იქაც ძირითადად იგივე შემადგენლობა იასპარეზებს, რაც ევროპაზე გამოვა. ცხადია, თუ ვინმე არ დაშავდება ან სერიოზულად არ ჩააგდებს კონტინენტის პირველობას.

**ირაკლი თავაძე**

# ...ჭაბუკები ბოსნიისთვის

ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრები 4-6 ივლისს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ნაკრების თავკაცმა **ჯემალ ნათელაშვილმა** იქ წასაყვანი შემადგენლობა საქართველოს პირველობის შედეგებით გამოავლინა - ჩემპიონატში ჩემპიონები იჭიდავებენ. ამდენად, ბოსნიაში **შმაგი ლაგაზაური** (50), **გოჩა ვარძელაშვილი** (55), **ირაკლი ლომიძე** (60), **იოსებ ნადირაშვილი** (66), **ლევან რუაძე** (73), **გიორგი მერმანიშვილი** (81), **დავით მერაბიშვილი** (90) და **უშანგი კოკაური** (+90) გამოვიდნენ ხალიჩაზე.

წლეულს გუნდი ლამის მთლიანადაა გადახალისებული - შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ მერმანიშვილი და მერაბიშვილი დარჩნენ, სხვები კი ან ამ ასაკს გადასცილდნენ, ან - ამჯერად ვერ მოხვდნენ გუნდში. ასეა თუ ისე, ნათელაშვილს, პრაქტიკულად, ახალი გუნდი შერჩა ხელთ. შეგახსენებთ, რომ შარშან მალტაში გამართულ ანალოგიურ ტურნირში ჩვენებმა თითო ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო მოიპოვეს. მაშინ ჩემპიონი ნეული **ზებედა რეხვიაშვილი** (66) გახდა, რომელიც წლეულს ახალგაზრდულ ნაკრებში იასპარეზებს. ვერცხლი **ზვიად კაპანაძემ** (60) მოიპოვა, მესამე ადგილებზე კი **ოთარ კაიდარაშვილი** (50), **გიორგი მერმანიშვილი** (73) და **ვაჟა დაბრუნდაშვილი** (+90) გახდნენ. საინტერესოა, რომ მალტის შემდეგ ამ ნაკრებმა ბელგრადში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში იასპარეზა და იქაც ზუსტად იგივე შედეგი აჩვენა - 5 მედალი და იმათგან თითო ოქრო-ვერცხლი და სამი ბრინჯაო. მაგრამ კიდევ უფრო უცნაური ისაა, მედლები იქაც იგივე ხუთეულმა მოიპოვა და თანაც - ყველამ იმავე სინჯისა, რაც - მალტაში. ამ მედალოსანთაგან მერმანიშვილი ისევ გუნდშია, ოღონდ უკვე 81-ში აინაცვლა.

ნაკრებმა საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრება უკვე გაიარა, მაგრამ ძიუდოისტებისთვის ცოტა უჩვეულო ადგილას - დუშეთის რაიონის სოფელ მალაროსკარში. იქაურობას არაფერი დაეწუნება, მაგრამ აქამდე სპორტსმენთა შეკრებების და საწვრთნელ-მოსამზადებელი ადგილი არ ყოფილა და ღმერთმა ქნას, ამიერიდან გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ნათელაშვილი იქ გავლილი შეკრებით კმაყოფილია. გუნდი სარაევოში 1 ივლისს გაემგზავრება, მანამ კი ერთ შეკრებას გორში გაივლის, სადაც მათ განკარგულებაში ახალგარემონტებული და კეთილმოწყობილი ბაზაა.

**ირაკლი თავაძე**

სამბო

# დავითაშვილის დაბრუნება



ამ უქმეებზე თბილისში სამბისტებმა საქართველოს თასის პირადი პირველობა ჩაატარეს, რომელშიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 15 ნაკრები გამოდიოდა. სამბისტებმა სეზონის პირველი ნახევარი მოილიეს - ჩაატარეს ევროპის ჩემპიონატი, განვლილი 6 თვის შედეგებიც შეაჯამეს და ერთთვიანი ტაიმაუტი აიღეს. წინ მსოფლიო ჩემპიონატია და სამბისტებიც საიმისოდ ემზადებიან - ჯერ დაისვენებენ, მერე კი შეკრებაზე წავლენ. ამიტომ ამ ტურნირში ნაკრების ლიდერები არ გამოდიოდნენ, თუმცა ცნობილი სახეები მაინც ბლომად ვიხილეთ. ციხიდან გათავისუფლების მერე შეჯიბრებაში პირველად გამოვიდა ძიუდოში ევროპის ორგზის პრიზიორი **ალექსი დავითაშვილი**, რომელიც მძიმე წონაში ჩემპიონიც გახდა. სხვა ჩემპიონებიდან გამოვარჩევთ დიმიტრი ტურაშვილს (100), რომელიც სწორედ დავითაშვილის დაკავების გამო მოწყობილი სპორტსმენთა ცნობილი ბუნტის გამო დააპატიმრეს, თუმცა გათავისუფლების შემდეგ მან უკვე მოასწრო საქართველოს პირველობაზე ჭიდაობა.

ალსანიშნავია, რომ ეს კომერციული ტურნირი გახლდათ და მედალოსნები ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ.

**ირაკლი თავაძე**

**52 კგ.**

1. თორნიკე ქუმსიაშვილი (თბილისი)
2. გენადი ჩირგაძე (ქუთაისი)
3. ნუკრი ბერაია (ფოთი)
3. ბექა მხეიძე (ვანი)

**57 კგ.**

1. ილია ტყეშელაშვილი (ქუთაისი)
2. დიმიტრი მულაძე (ხაშური)
3. რევაზ შველიძე (თბილისი)
3. გიგა ნასყიდაშვილი (ზესტაფონი)

**62 კგ.**

1. ლევან ქოჩიევი (თბილისი)
2. ავთანდილ ცინცაძე (მცხეთა)
3. მიხეილ მეკოკიშვილი (საგარეჯო)
3. ბექა დვალიშვილი (სამტრედია)

**68 კგ.**

1. ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა)
2. დავით უძილაური (თელავი)
3. გელა სანიკიძე (ქუთაისი)
3. გიორგი ბახტაძე (კასპი)

**74 კგ.**

1. ოთარ ახალაია (ფოთი)
2. ზაურ დევაძე (სამტრედია)
3. ბექა ბერულავა (თბილისი)
3. გიორგი მიჩელაშვილი (თიანეთი)

**82 კგ.**

1. დავით კარბელაშვილი (გორი)
2. დავით ჭაბუკაშვილი (გორი)
3. ირაკლი ქობლიანიძე (გორი)
3. გიგა ნიკლაური (მცხეთა)

**90 კგ.**

1. ლაშა გურული (ქუთაისი)
2. ზვიად გოგოჭური (ახმეტა)
3. გიორგი ცოციაშვილი (მცხეთა)
3. ლაშა ბერიძე (რუსთავი)

**100 კგ.**

1. დიმიტრი ტურაშვილი (საგარეჯო)
2. ფრიდონ აბულაძე (ახმეტა)
3. შმაგი ნაკაშიძე (ზესტაფონი)
3. ალექსანდრე თევდორაშვილი (გურჯაანი)

**+ 100 კგ.**

1. ალექსი დავითაშვილი (ახმეტა)
2. ვალერი იმერლიშვილი (თელავი)
3. დავით ბოჭორიშვილი (ქუთაისი)
3. რევაზ ნამორაძე (მცხეთა)

# ქუთაისის სარაგბო სკოლა ქართული რაგბის სამსახურში

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებების შემდეგ, საქართველოში რაგბის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა. რაგბის სექციებზე შესვლის მსურველები კი გაორმაგდა. ამის მაგალითი ქუთაისის სარაგბო სკოლაა, სადაც დღეისთვის 422 ბავშვი ოსტატდება და შესაძლოა ეს რიცხვი მალე 500-მდე გაიზარდოს.**

**ქუთაისში რაგბის სკოლა 2000 წლის სექტემბერში დამსახურებული მწვრთნელის იოსებ დიაკონიძის თაოსნობით დაფუძნდა. თავიდან იგი განათლების განყოფილებას ეკუთვნოდა, 2006 წელს სკოლა ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, გასულ წელს კი რაგბის სკოლა ქალაქის მერიის დაქვემდებარებაში გადავიდა. სკოლის დირექტორი დღესაც იოსებ დიაკონიძეა, მას სარაგბო სკოლის მდგომარეობასა და პერსპექტივებზე ვესაუბრეთ.**

- წლების წინათ, უამრავი პრობლემა და გასაჭირი გვქონდა, მოშლილი იყო ინფარსტრუქტურა, ბავშვებს ურთულეს პირობებში უხდებოდათ ვარჯიში, თუმცა ფარ-ხმალი არასდროს დაგვიყრია. ბოლო წლებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. დღეისთვის ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მთლიანად განახლებულია. სკოლას გააჩნია კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, გასახდელები, საშხაპეები და რაგბის ორი მოედანი. სპორტული ბაზის მშენებლობაში უდიდესი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ორგანიზაციამ „უორლდ ვიჟენ ინტერნეშენის" ქუთაისის წარმომადგენელმა ლია კილაძემ, რომელმაც ამ საქმისთვის 15 000 აშშ დოლარი გაიღო. 54 000 ლარი გამოყო ქალაქის მერიამ და საკრებულომ. გათბობის მოსაწყობად საკმაოდ სოლიდური თანხა 19000 ლარი გამოგვიყო საქართველოს რაგბის კავშირმა. ყველანაირად გვერდში გვიდგას რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე და ვიცეპრეზიდენტი გია გორგასლიძე.

**- სკოლაში მომუშავე კადრებზე რას იტყვით?**

- სკოლაში 13 მწვრთნელი მუშაობს, ბავშვების რაოდენობა კი 422-ია. აქედან 22 გოგონაა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველად ჩვენთან ჩამოყალიბდა გოგონათა რაგბის სექციები 24-ე საჯარო სკოლის დირექტორის სოფო ხარშილაძის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის რამაზ სვანიძისა და უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელის ალეკო ნიქაბაძის თაოსნობით. ვცდილობთ, რომ ქუთაისში გოგონათა რაგბიც ისეთივე პოპულარული გახდეს, როგორიც ვაჟების რაგბია. ქალთა რაგბი საქართველოში ახალი ხილია. სექცია, რომ შეიქმნა თავიდანვე ბევრი მსურველი იყო და ალბათ, გოგონათა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

**- რა წარმატებები აქვს თქვენი სკოლის აღსაზრდელებს?**

- 2006-2007 წლებში საქართველოს ჩემპიონი გახდა 1991-92 წლებში დაბადებულ მორაგბეთა გუნდი, იმავე წელს ვერცხლის მედლები მოიპოვა 1989-90-წლიანებით დაკომპლექტებულმა სკოლის ნაკრებმა. ასევე, წარმატებით გამოდის სკოლის უმცროსი ასაკის გუნდები ბავშვთა შეჯიბრებეში. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ქართული რაგბი ნიჭიერი თაობებით მოვამარაგოთ.

მუდმივად ვაწვდით მორაგბეებს საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს. მსოფლიო თაისის ფინალურ ეტაპზე ავსტრალიასა და საფრანგეთში ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ქუთაისური სარაგბო სკოლის 10 აღზრდილი მონაწილეობდა, რაც პატარა საქმე ნამდვილად არაა.

**- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

- ჩვენს სკოლაში ბევრი გუნდია და ხშირად იმართება შიდა შეჯიბრებები, რომლის მთავარი მიზანი რაგბის პოპულარიზაცია და მასობრიობაა.

ასეთ ტურნირებზე სხვა ქალაქის გუნდების მოწვევასაც ვაპირებთ. სხვათა შორის, რაგბის კავშირმა დასავლეთ საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარების კოორდინატორად ამირჩია და რამდენიმე ქალაქში რაგბის სექციის გახსნა გვაქვს დაგეგმილი. საქართველოს პრეზიდენტის პროგრამით მომავალში გათვალისწინებულია ქუთაისში საერთაშორისო სტანდარტების რაგბის ორი მოედნის მშენებლობა. საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა რაგბის პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა და ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ქართულმა რაგბმა პროგრესი გააგრძელოს. ვფიქრობთ, ამ საქმეში არც თუ ისე მოკრძალებულ წვლილს ჩვენც შევიტანთ.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მარტინას კონკურენცია ახარებს

ლეგენდარულ ამერიკელ ჩოგბურთელს **მარტინა ნავრატილოვას** კარიერაში 344 ტურნირი (აქედან 167 ერთეულთა თანრიგში) აქვს მოგებული. და ეს იმ დროს, როცა მას 24 წლამდე პირადი მწვრთნელიც კი არ ჰყოლია. მარტინამ თავისი საუკეთესო ჩოგბურთის თამაში 25 წლისამ დაიწყო. ეს ის ასაკია, როცა ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ეს აშკარად გამოხატავს წარსულისა და თანამედროვე ჩოგბურთელებს შორის კონტრასტს.



ნავრატილოვა ინგლისში უიმბლდონზე დასასწრებად არის ჩასული და ორი დღის წინათ, იქაურ "გარდიანს" ინტერვიუ მისცა, სადაც ასეთი რამ განაცხადა: *"დღეს ყველაფერი გაცილებით სერიოზულადაა. მშობლები 9 წლის ბავშვს ველოსიპედით სეირნობის უფლებას არ აძლევენ, რათა მან რამე არ დაიზიანოს და ვარჯიში არ გამოტოვოს. ამ ასაკში, დღეში ერთი საათი ვვარჯიშობდი, დღეს კი, ისინი კვირაში ექვსი დღე, კორტზე 4-5 საათს ატარებენ. სამწუხაროა, რომ ჩოგბურთში აზარტი აღარ არსებობს და ყველანი საბოლოო შედეგზე არიან კონცენტრირებულნი. ამასწინათ, ერთ დამწყებ ჩოგბურთელს შევხვდი. გოგონამ მითხრა, რომ ერთ კვირაში 70 ათასი ბექჰენდი შეაგროვა. ეს საშინელებაა!"*

თუმცა ნავრატილოვა თანამედროვე ჩოგბურთში პოზიტიურ მომენტებსაც ხედავს, მაგალითად მას ძალიან უხარია, რომ წლეულს ქალთა ტურში დიდი კონკურენციაა და არავინ იცის, ვინ მოიგებს უიმბლდონს. მარტინას აზრით, ჩემპიონები შეიძლება გახდნენ **ანა ივანოვიჩი, მარია შარაპოვა, სერენა უილიამსი, სვეტლანა კუზნეცოვა, ელენა იანკოვიჩი**... ნავრატილოვას ეპოქაში კი, მარტინას კონკურენტი მხოლოდ მისი მეგობარი, **კრის ევერტი** იყო.

ინტერვიუს დროს, "გარდიანის" ჟურნალისტი ხუმრობით დაპირდა მარტინას - რევოლვერის ლულას შუბლზე დაგადებ, თუ უიმბლდონის მთავარ ფავორიტს არ დამისახელებო, რაზეც ნავრატილოვამ უპასუხა: "ანა ივანოვიჩი".

*"მამაკაცებს შორის, პირველ რიგში, ისევ ფედერერი უნდა აღვნიშნოთ, თუმცა ნადალი ძალიან მოუახლოვდა როჯერს. ბრიტანული ჩოგბურთის მთავარ იმედს, ენდი მარეის რაც შეეხება, ის ჯერ მზად არ არის დიდი გამარჯვებებისთვის. მას ერთი ცუდი თვისება აქვს - ძალიან ჯიუტია და სხვის აზრზს არ ითვალისწინებს, რაც მარეის შედეგებზე ნეგატიურად აისახება"*, - ასე დაახასიათა მამაკაცთა ჩოგბურთი მარტინამ.

**გიორგი თვალია**

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6900 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5755 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5360 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3115 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 2905 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2280 |
| 7(8). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2100 |
| 8(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2015 |
| 9(10). რიშარ გასკე (საფ) | 1625 |
| 10(9). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1615 |
| 11(11). ენდი მარეი (ბრიტ) | 1555 |
| 12(13). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1485 |
| 13(14). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 1415 |
| 14(15). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1405 |
| 15(16). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 1360 |
| 16(17). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 1345 |
| 17(18). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1305 |
| 18(19). ტომი რობრედო (ესპ) | 1300 |
| 19(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1290 |
| 20(21). ხუან მონაკო (არგ) | 1245 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 755 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 642 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 545 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 370 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 254 |
| 6(7). ენდი როდიკი (აშშ) | 233 |
| 7(6). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 231 |
| 8(10). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 209 |
| 9(8). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 200 |
| 10(9). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 191 |
| 11(11). ენდი მარეი (ბრიტ) | 185 |
| 12(14). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 169 |
| 13(12). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 165 |
| 14(13). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 160 |
| 15(15). მიხაელ ლოდრა (საფ) | 159 |
| 16(16). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 147 |
| 17(17). ხუან მონაკო (არგ) | 145 |
| 18(18). მიხაილ იუჟნი (რუს) | 138 |
| 19(19). პოლ ანრი მატიო (საფ) | 135 |
| 20(20). მარდი ფიში (აშშ) | 134 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 003 949 |
| 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 136 920 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 272 903 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 1 374 097 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 826 354 |
| 6. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 797 506 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 777 462 |
| 8. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 731 721 |
| 9. მიხაელ ლოდრა (საფ) | 713 936 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 672 244 |
| 11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 665 481 |
| 12. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 627 022 |
| 13. ენდი მარეი (ბრიტ) | 613 368 |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუს) | 609 524 |
| 15. გაელ მონფილსი (საფ) | 532 319 |
| 16. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 528 275 |
| 17. ტომი რობრედო (ესპ) | 510 669 |
| 18. მარდი ფიში (აშშ) | 507 333 |
| 19. დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 503 580 |
| 20. იგორ ანდრეევი (რუს) | 503 340 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ანა ივანოვიჩი (სერ) | 4222 |
| 2(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3715 |
| 3(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3706 |
| 4(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3565 |
| 5(5). ელენა დემენტიევა (რუს) | 2750 |
| 6(6). სერენა უილიამსი (აშშ) | 2676 |
| 7(7). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2606 |
| 8(8). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2541 |
| 9(9). დინარა საფინა (რუს) | 2222 |
| 10(11). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2032 |
| 11(10). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2030 |
| 12(12). პატი შნიდერი (შვეიც) | 1940 |
| 13(13). ვერა ზვონარევა (რუს) | 1912 |
| 14(14). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1776 |
| 15(15). აგნეს შავაი (უნგ) | 1645 |
| 16(16). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1386 |
| 17(17). ალიზე კორნე (საფ) | 1248 |
| 18(19). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1222 |
| 19(23). მარია კირილენკო (რუს) | 1208 |
| 20(18). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1201 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2671 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2505 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 2395 |
| 4. სერენა უილიამსი (აშშ) | 1765 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1680 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუს) | 1536 |
| 7. დინარა საფინა (რუს) | 1533 |
| 8. ვერა ზვონარევა (რუს) | 1462 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1202 |
| 10. პატი შნიდერი (შვეიც) | 943 |
| 11. ალიზე კორნე (საფ) | 924 |
| 12. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 792 |
| 13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 786 |
| 14. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 780 |
| 15. ვენუს უილიამსი (აშშ) | 766 |
| 16. ფლავია პენეტა (იტა) | 721 |
| 17. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) | 712 |
| 18. აგნეს შავაი (უნგ) | 647 |
| 19. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) | 640 |
| 20. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) | 639 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 464 858 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 1 890 850 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 444 995 |
| 4. დინარა საფინა (რუს) | 1 200 608 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 157 466 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 979 647 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუს) | 777 967 |
| 8. ვერა ზვონარევა (რუს) | 698 304 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 543 206 |
| 10. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) | 507 524 |
| 11. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 488 088 |
| 12. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 458 470 |
| 13. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 457 441 |
| 14. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 436 477 |
| 15. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 421 643 |
| 16. პატი შნიდერი (შვეიც) | 408 092 |
| 17. კატერინა ბონდარენკო (უკრ) | 404 714 |
| 18. აი სუგიამა (იაპ) | 383 742 |
| 19. ვენუს უილიამსი (აშშ) | 383 201 |
| 20. ვირხინია რ-პასკუალი (ესპ) | 371 049 |

ავტოსპორტი

# უმცროს შუმახერს ფორმულა მოენატრა



თუ გერმანულ გაზეთ "ბილდს" ვერწმუნებით, გერმანელი **რალფ შუმახერი** გაისად ფორმულა 1-ში დაბრუნებას აპირებს. როგორც ცნობილია, უმცროსმა შუმახერმა შარშანდელი სეზონის შემდეგ დატოვა "ტოიოტა".

რალფმა განაცხადა, რომ მას ჩემპიონატის აუტსაიდერი გუნდიც დააკმაყოფილებს. პატარა შუმის აღიარებით, კლავინდებურად მოსწონს სამეფო რბოლები და ნოსტალგია აქვს ფორმულა 1-ის ბოლიდების მიმართ.

ფორმულა 1-ში რალფის კარიერა გასული სეზონის დასრულების შემდეგ შეწყდა. "ტოიოტადან" წასვლის მერე, გერმანელი ბევრს ეცადა რომელიმე გუნდში მოწყობას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ხოლო მთლად რბოლების გარეშე რომ არ დარჩენილიყო, DTM-ის სერიაში გადაინაცვლა, სადაც დღემდე ოფიციალურად არცერთ გუნდში არ ირიცხება და იქ დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია.

**გია თვალაბეიშვილი**

ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი

# კრისტენსენმა ლე მანი მერვედ დაიპყრო

"აუდის" დიზელისძრავიანი სარბოლი პროტოტიპის გამარჯვებით დასრულდა ლე მანის 76-ე 24-საათიანი რბოლა, რომელშიც სპეციალისტები ფავორიტად "პეჟოს" საქარხნო გუნდებს მიიჩნევდნენ. გამარჯვებული სამკაციანი ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი კი 40 წლის დანიელი **ტომ კრისტენსენი** იყო, რომელმაც მერვედ მოიგო ლეგენდარული რბოლა და ამ მაჩვენებლით, ლე მანის ახალი რეკორდი დაამყარა.

კრისტენსენი შვიდი გამარჯვებითაც რეკორდსმენი იყო, თუმცა ამის მიუხედავად, მოტივაცია მაინც არ დაუკარგავს. უფრო მეტიც, ორი თვის წინათ, ერთ-ერთ რბოლაში მომხდარი ინციდენტისას, ის სერიოზულად დაშავდა, თუმცა ტრავმა დროულად მოიშუშა და ლე მანზე კიდევ ერთხელ სცადა ბედი. "აუდი სპორტ ნორთ ამერიკას" გუნდში მას პარტნიორობას უწევდნენ ისეთი გამოცდილი პილოტები, როგორებიც არიან იტალიელი **რინალდო (დინდო) კაპელო** და შოტლანდიელი **ალან მაკნიში**.

ტრიომ 24 საათში 381 წრის (5192.649 კმ) გავლა მოასწრო და ფინიშთან 4 წუთითა და 31.094 წამით მიასწრო მეორეზე გასულ "პეჟო ტოტალის" ეკიპაჟს, რომელშიც ფორმულა ერთში მსოფლიოს ყოფილ (1997 წელი) ჩემპიონს, კანადელ **ჟაკ ვილნევს** პარტნიორობას ესპანელი **მარკ ჟენე** (ფორმულა ერთის ყოფილი პილოტი) და ფრანგი **ნიკოლა მინასიანი** უწევდნენ.

ამგვარად, ლე მანის ბოლო ცხრა რბოლიდან რვა "აუდის" ბოლიდების გამარჯვებით დასრულდა. ის ერთი რბოლაც (2003 წელს) "ბენტლის" ეკიპაჟმა მოიგო, რომელიც რეალურად, "აუდის" პროტოტიპის ბაზაზე დამზადებული ბოლიდით ასპარეზობდა. ბოლო სამი ლე მანი კი გერმანულმა კომპანიამ დიზელისძრავიანი ავტომობილებით მოიგო, რაც უპრეცედენტო მიღწევაა.

კითხვაზე, რამდენად შეედრება ეს გამარჯვება წინა შვიდს, კრისტენსენმა უპასუხა: *"ეს საუკეთესოა. რა თქმა უნდა, ვამაყობ იმით, რომ ეს რბოლა რვაჯერ მოვიგე. მაგრამ საქმე მარტო რეკორდულ რიცხვში არაა. ეს გამარჯვება ჩვენ ნამდვილ ბრძოლაში, მთელი გუნდის მაქსიმალური გარჯის შედეგად მოვიპოვეთ. ჩვენმა ინჟინრებმა მართლაც შესანიშნავი, გამძლე ავტომობილი მოგვიმზადეს, რომელსაც მთელი რბოლის განმავლობაში, ერთი სერიოზული პრობლემაც კი არ შექმნია, რაც უნიკალური შემთხვევაა"*, - განაცხადა კრისტენსენმა, ვინც ვილნევს რბოლის 15-საათიანი მონაკვეთის შემდეგ, 234-ე წრეზე გაასწრო, როცა ფრანგული კომპანიის ეკიპაჟი პიტსტოპზე იყო შესული.

კვალიფიკაციაზე პირველი სამი სასტარტო ადგილი "პეჟოს" ეკიპაჟებმა დაიკავეს, რომლებიც რბოლის პირველ ნახევარს ლიდერობდნენ კიდეც. არადა, "აუდის" ეკიპაჟებზე მეტი პიტსტოპის შესრულება უწევდათ და ზოგიერთი ტექნიკური პრობლემის აღმოფხვრაც მოუხდათ.

მაგრამ ღამით გაწვიმდა, რამაც რბოლაში ბევრი რამ შეცვალა. სველ ტრასაზე კრისტენსენმა ადვილად შეძლო ვილნევთან 40-წამიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა. "პეჟოს" პილოტებს ცუდი სამსახური გაუწია იმ ფაქტმა, რომ მათ დახურული პროტოტიპით უწევდათ ასპარეზობა, რის გამოც, წვიმაში მათი ხედვის არე მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

38 წლის მაკნიშმა ლე მანის რბოლა მეორედ მოიგო. პირველი გამარჯვება მას ათი წლის წინათ, "პორშეს" ავტომობილით აქვს მოპოვებული. რაც შეეხება 44 წლის კაპელოს, ის ლე მანის გამარჯვებული მესამედ გახდა (პირველი ორი გამარჯვება კრისტენსენთან ერთად, "ბენტლისა" და "აუდის" პროტოტიპებით მოიპოვა).

*"შარშან ჩვენ ყველაზე სწრაფი მანქანა გვყავდა, მაგრამ წავაგეთ. წლეულს კი მოგების არანაირი შანსი არ გვქონდა, მაგრამ ფინიშთან პირველები მივედით. ისე, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან "აუდისთან" ერთად, ხანდახან შეუძლებელიც შესაძლებელი ხდება"*, - განაცხადა კაპელომ, ვისაც შარშანდელ რბოლაში, 17-საათიანი ლიდერობის შემდეგ, ბორბლის დაზიანების გამო, ავარია მოუვიდა.

ფინიშამდე ორი საათით ადრე, კრისტენსენს ინციდენტი შეემთხვა – ის 29-ე ადგილზე მყოფ თანამემამულე **ხუან ბარასის** დაეჯახა, მაგრამ მისდა ბედად, მანქანა არ დაზიანებულა და ასე განსაჯეთ, ბოქსში რემონტზე შეუსვლელად განაგრძო გზა.



დიზელისძრავიანმა აუდიმ ზედიზედ მესამედ დაიპყრო ლე მანი

ვილნევის შესახებ. ფორმულა ერთის ყოფილ ჩემპიონსა და ინდი 500-ის გამარჯვებულს (1995 წელი), ლე მანის ლეგენდარული რბოლის მოგების შანსიც ჰქონდა, ასეთი მიღწევა კი ავტოსპორტის ისტორიაში ჯერ არავის ჰქონია.

დაბოლოოს, რბოლის დასაწყისს 258 000 მაყურებელი დაესწრო, სულ კი წლევანდელ ლე მანს 360 000 მაყურებელი ჰყავდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ლე მანის 76-ე რბოლის შედეგები
(5192.649 კმ - 13.629კმ X 381 წრე)

**1.** დინდო კაპელო (იტა)/ტომ კრისტენსენი (დან)/ალან მაკნიში (შოტ) აუდი სპორტ ნორთ ამერიკა (აუდი R10) 381 წრე (საშ.სიჩქარე 211.456 კმ/სთ)

**2.** მარკ ჟენე (ესპ)/ნიკოლა მინასიანი (საფრ)/ჟაკ ვილნევი (კან) ტიმ პეჟო ტოტალი (პეჟო 908) 381 წრე (+4 წთ, 31.094 წმ)

**3.** ფრანკ მონტანი (საფრ)/კრისტიან კლიენი (ავსტ)/რიკარდო ძონტა (ბრაზ) პეჟო სპორტი ტოტალი (პეჟო 908) 379 წრე

**4.** ალექსანდრ პრემა (საფრ)/ლუკას ლური (გერმ)/მაიკ როკენფელერი (გერმ) აუდი სპორტ ტიმ ჯოესტი (აუდი R10) 374 წრე

**5.** ალექსანდერ ვურცი (ავსტ)/სტეფან სარაზენი (საფრ)/პედრო ლამი (პორტ) ტიმ პეჟო ტოტალი (პეჟო 908) 368 წრე

**6.** ფრანკ ბიელა (გერმ)/ემანუელე პირო (იტა)/მარკო ვერნერი (გერმ) აუდი სპორტ ნორთ ამერიკა (აუდი R10) 367 წრე

**7.** ჰაროლდ პრიმა (შვეი)/კრისტოფ ტინსო (საფრ)/ბენუა ტრელიუ (საფრ) პესკაროლო სპორტი (პესკაროლო LMP1 ჯადი) 362 წრე

**8.** სოეილ აიარი (საფრ)/ფრანკო გროპი (იტა)/ლოიკ დუვალი (საფრ) ტიმ ორეკა მტმუტი (კურაჟ-ორეკა LC70 ჯადი) 357 წრე

**9.** იან ჩაროუზი (ჩეხ)/შტეფან მიუკე (გერმ)/ტომაშ ენგე (ჩეხ) ჩაროუზ რეისინგ სისტემზი (ლოლა B08/60 ასტონ მარტინ V12) 354 წრე

**10.** პეტერ ფან მერკსტეიინი (ჰოლ)/იოს ფერსტაპენი (ჰოლ)/იეროენ ბლეეკემოლენი (ჰოლ) ფან მერკსტეიინ მოტორსპორტსი (პორშე RS სპაიდერი) 354 წრე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. პრო ტური

# ვალვერდეს ტურისწინა მოთელვა

ესპანელი **ალეხანდრო ვალვერდეს** გამარჯვებით დასრულდა პრო ტურის სერიის პოპულარული შვიდდღიანი რბოლა "დოფინ ლიბერე", რომლის გამარჯვებულებიც, როგორც წესი, ტურ დე ფრანსის ველომარათონის ფავორიტები ხდებიან ხოლმე.

ვალვერდემ რბოლის დასაწყისშივე შეძლო ორი ეტაპის მოგება (მათგან პირველი, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, სპრინტერული იყო), რის შემდეგაც, ალპებში, სამთო ეტაპებზე მეტწილად კონკურენტების გაკონტროლებით იყო დაკავებული, რასაც კარგად გაართვა თავი. საბოლოოდ, მან 39 წამით აჯობა შარშანდელი ტურის მეორეადგილოსანს ავსტრალიიდან, **კეიდელ ევანსს**.

ბოლო ეტაპი, რომელზეც ველომრბოლებმა სამი რთული სამთო მონაკვეთი გაიარეს, ყაზახმა **დმიტრი ფოფონოვმა** მოიგო, ვინც საფინიშო სპურტში ბელგიელ **იურგენ ვანდევალესა** და რუს **იური ტროფიმოვს** აჯობა. ვალვერდემ ფოფონოვთან 2 წუთი და 21 წამი წააგო და ფინიშის ხაზი 24-ემ გადაკვეთა, რაც სრულებით საკმარისი აღმოჩნდა ლიდერის ყვითელი მაისურის შესანარჩუნებლად.

*"ჩემს კარიერაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. ამაში პრესტიჟსაც ვგულისხმობ და იმასაც, რომ ის ტურის წინ მოვიპოვე, რითაც დავრწმუნდი, რომ კარგ ფორმაში ვარ. ახლა კი ტურზეც, მეც და ჩემი თანაგუნდელებიც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. რა თქმა უნდა, ისიც კარგი იქნება, თუ რბოლას კვარცხლბეკის ქვედა საფეხურზე დავასრულებ, მაგრამ მთავარი მაინც გამარჯვებაა"*, - ამბობს ვალვერდე, ვისაც ესპანეთში ბალავერდეს ეძახიან, რაც მწვანე ტყვიას ნიშნავს.

ესპანელმა ველომრბოლმა ლიდერის ყვითელი მაისურა ოთხშაბათს, დროზე ინდივიდუალური რბოლის მოგებით დაეუფლა, რასაც თავადვე არ ელოდა. ის ამბობს, რომ ტურის ინდურაინის სტილში მოგებას არც ეცდება, რადგან ეს მხოლოდ დიდ **მიგელ ინდურაინს** შეეძლო. ინდურაინი ფრანგული ტურის დასაწყისში, დროზე ინდივიდუალურ რბოლას მოიგებდა, ყვითელ მაისურს მოირგებდა და მერე მას ფინიშამდე არავის უთმობდა.



*"რა თქმა უნდა, ამ სტილში გამარჯვებაზე ბევრი ოცნებობს, მაგრამ ასეთი რამ ყველას არ შეუძლია. დოფინი სწორედ ასე მოვიგე, მაგრამ ტური სულ სხვაა. იქ სამკვირიანი მარათონის გავლა მოგვიწევს, რაც განსაკუთრებულ გამძლეობასა და კარგ ფსიქოლოგიურ მომზადებას საჭიროებს. ვფიქრობ, ეს შემიძლია, თუმცა უფრო კარგი იქნება, თუ ენერგიას ბოლო კვირისთვის შემოვინახავ"*, - ამბობს ვალვერდე.

ესპანელი ველომრბოლის მსგავსად, "დოფინ ლიბერე" ტურისთვის მზადების ბოლო ეტაპად ევანსმაც გამოიყენა. ამასთან, მან თავის მეტოქეებსაც მოუსინჯა კბილი. ევანსი და ვალვერდე ტურზეც ფავორიტები იქნებიან, ლაიპჰაიმერი კი, სამწუხაროდ იქ ვერ იასპარეზებს, რადგან ტურის ორგანიზატორებმა მის გუნდ "ასტანას" ტურიდან ფეხი ამოუკვეთეს.

სხვათა შორის, ევანსმა შარშანაც დოფინ ლიბერე მეორე ადგილზე დაასრულა, მერე კი ტურზეც მეორე ადგილს დასჯერდა. ახლა ის ამბობს, რომ ფორმის პიკისთვის არ მიუღწევია და იმედი გამოთქვა, რომ მას ტურის ბოლო კვირაში მიაღწევს.

ლაიპჰაიმერი კი შინ, აშშ-ში გაემგზავრება და პეკინის ოლიმპიადისთვის მზადებას გააგრძელებს. სხვათა შორის, ოლიმპიურ ოქროზე თვალი ევანსსაც უჭირავს, თუმცა მისი უპირველესი მიზანი ტურზე გამარჯვებაა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

დოფინ ლიბერე. მე-7 ეტაპი. სენ ჟენ დე მორიენიდან გრენობლამდე (128 კმ)

1. დმიტრი ფოფონოვი (ყაზახეთი, კრედიტ აგრიკოლი) 3:17.20 (38.615 კმ/სთ); 2. იურგენ ვანდევალე (ბელგია, ქვიკ სტეპი) იგივე დროში; 3. იური ტროფიმოვი (რუსეთი, ბუიგ ტელეკომი) იგივე დროში; 4. კრისტოფ რიბლონი (საფრანგეთი, AG2R) 0.11; 5. მატეო კარარა (იტალია, ქვიკ სტეპი) 0.11; 6. დანიელე რიგი (იტალია, ლამპრე) 0.11; 7. სანდი კასარი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 1:31; 8. ჩარლი ვეგელიუსი (ბრიტანეთი, ლიკვიგაზი) 1:31; 9. პიერ როლანი (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) 1:34; 10. ლარს ბაკი (დანია, ტიმ CSC ) 2:21...

საბოლოო კლასიფიკაცია

1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 27:34:39; 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 0.39; 3. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, ასტანა) 1:24; 4. რობერტ ხესინკი (ჰოლანდია, რაბობანკი) 2:47; 5. აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ეუსკალტელი) 3:19; 6. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R ) 4:01; 7. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელი) 4:25; 8. სილვესტერ შმიდი (პოლონეთი, ლამპრე) 4:29; 9. მაქსიმ მონფორი (ბელგია, კოფიდსი) 4:45; 10. მატეო კარარა (იტალია, ქვიკ სტეპი) 5:13...

## ავტოსპორტი. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი

**VII ეტაპი. საბერძნეთის რალი**

1. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - 4:42.07,1; 2. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - +7,9; 3. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - +25,7; 4. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - +2.25,6; 5. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი") - +2.33,7; 6. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სუბარუ") - +2.48,2; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - +4.24,2; 8. **კონრად რაუტენბახი** (ზიმბაბვე, "სიტროენი") - +7.46,7.

**საერთო ჩათვლა**: 1. მიკო ჰირვონენი - 59 ქულა; 2. სებასტიან ლოები - 56; 3. იარი-მატი ლატვალა - 34; 4. კრის ატკინსონი (ბრიტანეთი, "სუბარუ") - 31; 5. დანიელ სორდო - 30; 6. პეტერ სოლბერგი - 20; 7. ჯიჯი გალი (იტალია, "ფორდი") - 17; 8. ჰენინგ სოლბერგი - 16; 9. მეტიუ უილსონი - 12; 10. ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, "ფორდი") - 8.

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**: 1. ფორდი - 99 ქულა; 2. სიტროენი - 90; 3. სუბარუ - 53; 4. სტობარტ-ფორდი - 41.

კალათბურთი

# კარმელო და დუეინი პეკინში იქნებიან

ამერიკის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ჯერი კოლანჯელომ** დაადასტურა, რომ "დენვერ ნაგეტსის" ფორვარდი **კარმელო ენტონი** იმ 12 მოთამაშეს შორის მოხვდება, რომლებიც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ. "დრიმ თიმის" საბოლოო შემადგენლობა ივნისის ბოლოს უნდა გამოცხადდეს.

*"ენტონი აუცილებლად იქნება შემადგენლობაში. ჩვენ ისეთი კარმელო გვჭირდება, რომელიც ბოლო ორი წელიწადი რეგულარულად თამაშობდა ნაკრებში. ამისთვის მან წლევანდელი წარუმატებელი სეზონი უნდა დაივიწყოს"*, - აცხადებს კოლანჯელო.

ნაკრების გენერალური მენეჯერი ჟურნალისტებს ჩიკაგოში ესაუბრა, სადაც "მაიამი ჰიტის" ლიდერის, **დუეინ უეიდის** მზადებას აკვირდებოდა. მცველი NBA-ის სხვა მოთამაშეებთან ერთად ვარჯიშობს, მათ შორის **ანტუან უოკერთან** და **კვენტინ რიჩარდსონთან** ერთად.

*"დუეინი კარგად გამოიყურება. მან დიდი გზა გაიარა ტრავმის საბოლოო მოშუშებამდე. მისი მწვრთნელი ტიმ გროვერი 10-ბალიანი სისტემით 8-9 ბალით აფასებს უეიდის მზადყოფნას. დარწმუნებული ვარ, ის 20 ივლისისთვის მზად იქნება, როცა ამერიკის ნაკრებში ლას-ვეგასში საწვრთნელ შეკრებას დაიწყებს"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ჩიკაგოში თავის მოგზაურობას კოლანჯელომ.

**გია თვალაბეიშვილი**



კარმელო ენტონი

## TV სპორტი

**17 ივნისი. სამშაბათი**

**რუსთავი 2**

22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
22:40 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-საფრანგეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
00:50 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-რუმინეთი.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

10:30 საფეხბურთო კლუბი.
11:20 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ხორვატია-პოლონეთი.
13:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-გერმანია.
15:40 საფეხბურთო კლუბი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ხორვატია-პოლონეთი.
19:35 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-გერმანია.
21:45 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-საფრანგეთი (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.
01:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-რუმინეთი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:10 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
08:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ნაპოლი.
10:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ესპანიოლი-სევილია.
12:00 ცურვა. FINA Mare Nostrum. საფრანგეთი.
14:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია.
16:40 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. პრაღა. ჩეხეთი.
18:42 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:10 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-გერმანია.
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-საფრანგეთი (LIVE).
00:40 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ნაპოლი.
03:30 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
04:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ესპანიოლი-სევილია.
05:50 ცურვა. FINA Mare Nostrum. საფრანგეთი.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-საფრანგეთი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. რუმინეთი-იტალია.
15:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-საფრანგეთი.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. რუმინეთი-იტალია.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-საფრანგეთი.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
22:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
22:45 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. მჩატე ზონა. კ. სპინქსი (აშშ)-ვ. ფილიპსი (აშშ). სენტ ლუისი (აშშ).
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ხორვატია-პოლონეთი.

**EUROSPORT-2**

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-საფრანგეთი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
12:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ბრაზილია-სერბეთი.
14:00 ახალი ამბები.
15:30 ექსტრემალური სპორტი.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
18:15 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
19:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. არიზონა-კოლორადო.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
21:00 მაუნტინბაიკი. ავალანშის თასი. ბრიტანეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ეგვიპტე-პოლონეთი.
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
00:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. არიზონა-კოლორადო.
01:00 ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია (LIVE).
01:45 ახალი ამბები.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
02:45 ახალი ამბები.
03:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
03:45 ახალი ამბები.
04:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
04:45 ახალი ამბები.
05:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
05:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ენჩოპინგი-იორგრიტე | 0:5 |
| ჰაკენი-დეგერფორსი | 3:0 |
| ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 2:0 |
| ვასბი-იონჩოპინგი | 1:1 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ფიოლნირი-ფრამი | 0:1 |
| ბრეიდაბლიკი-ჰაფნარი | 4:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ვლიეგენი-გრანოლერსი | 0:6, 0:6 |
| გასკე-ო. როხუსი | 6:2, 7:6 |
| ჟიკელი-მიდელკოოპი | 6:4, 6:1 |
| სანტორო-დელ პოტრო | 3:6, 1:6 |
| ბეკერი-კლემანი | 3:6, 6:3, 4:6 |
| დელაკუა-ფონინი | 7:6, 6:2 |
| ტროიცკი-გრემელმაირი | 6:3, 7:5 |
| ლუბიჩიჩი-ჰაასე | 6:3, 7:6 |
| ბოპანა-ფერკერკი | 6:7, 7:6, 6:4 |
| კანიასი-ზვერევი | 5:7, 6:3, 6:3 |

**ATP. ნოტინგემი**

| | |
|---|---|
| ბენეტო-ბოლელი | 6:1, 6:4 |
| სეპი-სელა | 3:6, 6:4, 7:5 |
| მაუ-რეინოლდსი | 5:7, 6:4, 4:6 |
| მატიო-ჩილიჩი | 6:1, 4:6, 3:6 |
| კუერი-ფალა | 6:3, 6:4 |
| კარლოვიჩი-ბიორკმანი | 6:3, 6:4 |
| ტურსუნოვი-ლი | 7:5, 6:4 |

**WTA. ისტბურნი**

| | |
|---|---|
| მორესმო-კორნე | 6:1, 4:6, 7:5 |
| სტოსური-ო'ბრაიენი | 6:4, 6:3 |
| ლი-დელაკუა | 6:2, 6:4 |
| პეტროვა-პეერი | 6:2, 6:2 |
| აზარენკა-რეზაი | 2:6, 0:6 |
| დულკო-გარბინი | 3:6, 6:4, 6:2 |

**WTA. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ზაკოპალოვა-კერბერი | 4:6, 6:3, 4:6 |
| კეოტავონგი-ერანი | 6:7, 2:6 |
| ა. ბონდარენკო-ბენეშოვა | 6:4, 4:6, 6:4 |
| პენეტა-მირზა | 4:6, 3:6 |
| სუგიამა-კრაიჩეკი | 1:6, 7:5, 6:7 |
| სკიავონე-ჰარკლროუდი | 3:6, 4:6 |
| სრებოტნიკი-მედინა გარიგესი | 6:2, 4:6, 6:3 |
| ერაკოვიჩი-გორდონი | 6:1, 6:1 |
| საფინა-პარმენტიე | 6:4, 6:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ქილერები მაიკ ტაისონისთვის



მაიკი და დიეგო კანის ფესტივალზე



ტაისონის ბოლო პატიმრობა

**ორი** დღის წინ, საინფორმაციო სააგენტოებმა სენსაციური ცნობა გაავრცელეს, რომლის სათაურიც ასეთი იყო - "მაიკ ტაისონმა ქილერები დაიქირავა". ამ ინფორმაციის წარმოშობის საბაბი გახდა გაზეთ New York Post-ში დაბეჭდილი სტატია. აი რა ეწერა მასში: ბრუკლინის ბანდიტური ჯგუფის წევრმა დუეინ მეიერსმა სასამართლოს მოუყვა, რომ თავის დროზე, "რკინის მაიკმა" 50 ათასი დოლარი შესთავაზა რამდენიმე განგსტერის მკვლელობისთვის.

ბანდიტური ჯგუფის, Cash Money Brothers-ის წევრმა **დუეინ მეიერსმა**, რომელიც 2005 წელს თავად იყო დაპატიმრებული მკვლელობისთვის, ნარკოტიკების მომხმარებასა და შენახვისთვის და კიდნეპინგისთვის, ანუ ყველაფერი იმისთვის, რითაც ეს ბანდა იყო დაკავებული, აღიარა, რომ რამდენიმე წლის წინათ, ბანდის ლიდერ **დამიენ ჰარდის** მკვლელობა ლეგენდარულმა **მაიკ ტაისონმა** "შეუკვეთა". თითქოს აბსოლუტურმა მსოფლიო ჩემპიონმა ამით 2000 წელს მოკლული თავისი მეგობრის, **დერილ ბაუმის** გამო შურისძიება გადაწყვიტა. ბაუმი კეფაში გასროლით მოკლეს.

როდის "შეუკვეთა" ტაისონმა მკვლელობა, ამის შესახებ მეიერსი არაფერს ამბობს, როგორც ჩანს, მან ბევრი რამ საიდუმლოდ შეინახა. საერთოდაც, განგსტერის სიტყვებში ეჭვის შეტანა შეიძლება, მით უმეტეს, რომ მკვლელობა არ მომხდარა. მეორეს მხრივ, ძველი საქმეების დაწვრილებით მოყოლისას, რაში დასჭირდა მეიერსს ტაისონის გვარის ხსენება?

მოკლედ, ტაისონი, რომელიც 21 წლის ასაკში სუპერმძიმე წონაში აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონი გახდა და დიდი ხანი ბატონობდა ამ წონით კატეგორიაში, ისევ უსიამოვნო სიტუაციაში გაეხვა. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ამჯერად "რკინის მაიკს" არაფერი ემუქრება, მაგრამ ეს ამბავი იმის საბაბს გვაძლევს, რომ ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივის კრიმინალური ამბები გავიხსენოთ.

■ ■ ■

ალბათ, იქიდან უნდა დავიწყოთ, რომ 1986 წლის 22 ნოემბერს, მაიკ ჯერალდ ტაისონმა ნოკაუტით დაამარცხა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ტრევორ ბერბიკი** და WBC-ის ვერსიით ახალი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ერთი წლის შემდეგ, ტაისონმა ზედიზედ მოუგო **ჯეიმს სმიტს** და **ტონი ტაკერს** და მათ შესაბამისად, WBA-სა და IBF-ის საჩემპიონო ქამრები ჩამოართვა. ტაისონი მწვერვალზე ავიდა, მაგრამ პოპულარობასა და დიდებას ვერ გაუძლო და უფსკრულისკენ დაიწყო დაშვება. 1990 წლის 10 თებერვალს, ტაისონმა კარიერაში პირველი მარცხი იწვნია, როცა ნოკაუტით წააგო **ჯეიმს დუგლასთან**. პირველმა დამარცხებამ სერიოზულად შეცვალა "რკინის მაიკი", რომელიც, უბრალოდ, უმართავი გახდა.

1991 წლის ბოლოს, საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ მაიკ ტაისონი "შავკანიანი მის ამერიკას", **დეზირე ვაშინგტონის** გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი. მოკრივის ჯიუტმა მტკიცებამ იმის შესახებ, რომ ყველაფერი ორმხრივი შეთანხმებით მოხდა, შედეგი არ გამოიღო და 1992 წლის თებერვალში, სასამართლომ ტაისონს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მაიკი ციხეში ჩაჯდა, იქ სამი წელიწადი გაატარა, რის შემდეგაც სამაგალითო ქცევისთვის გაათავისუფლეს. სანამ მოკრივე სასჯელს იხდიდა, დეზირეს პოპულარობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მოგვიანებით, მან აღიარა, რომ სწორედ თავისი გამომწვევი ქცევით აიძულა ტაისონი აქტიურ მოქმედებაზე გადასულიყო.

1995 წელს, ტაისონი რინგზე დაბრუნდა და **პიტერ მაკლინი** 89 წამში ნოკაუტში გაგზავნა. ერთი წლის შემდეგ, მაიკი ისევ გახდა WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი, როცა ლას ვეგასში ნოკაუტით მოუგო **ფრენკ ბრუნოს**. ამას დაემატა WBA-ს ვერსიით ჩემპიონობაც (**ბრიუს სელდონის** დამარცხების შემდეგ). მაგრამ ტიტულების დაცვა "რკინის მაიკმა" ველარ შეძლო. 1996 წლის ნოემბერში, **ევანდერ ჰოლიფილდმა** მე-11 რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე. ამის შემდეგ, მატჩ-რევანში გაიმართა. ჰოლიფილდი ისევ უგებდა ტაისონს და ამ უკანასკნელმა მხოლოდ ის მოიფიქრა, რომ მესამე რაუნდში ყური მოაჭამა მეტოქეს.

ტაისონს მოკრივის ლიცენზია ჩამოართვეს და ის ხშირად ხდებოდა გაზეთების სკანდალური ქრონიკების გმირი. მაიკი აბსოლუტურად უკონტროლო გახდა და მისი რისხვა თავს ატყდებოდა შემთხვევით გამვლელებს, ჟურნალისტებს, იმ სასტუმროების თანამშრომლებს, სადაც მოკრივე ჩერდებოდა.

2002 წელს კიდევ ერთხელ მოინდომა პროფესიულ რინგზე დაბრუნება, **ლენოქს ლუისს** ბრძოლაზე მოელაპარაკა, მაგრამ ბრიტანელმა მსოფლიო ჩემპიონმა, უბრალოდ, გალახა მაიკი - მეთოდურად და ლამაზად. ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ კრივის მოყვარულები ველარ იხილავდნენ ძველ, დაუმარცხებელ ჩემპიონს. ერთი წლის შემდეგ კი, ტაისონმა თავი ბანკროტად გამოაცხადა. მან ომდენი მოახერხა, რომ ბრწყინვალე კარიერის განმავლობაში გამომუშავებული 400 მილიონი (!) გაანიავა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ, მაიკი ისევ დაბრუნდა რინგზე, მაგრამ ნოკაუტით დამარცხდა ბრიტანელ **დენი უილიამსთან**, 2005 წელს კი, კარიერის უკანასკნელი ბრძოლა გამართა ირლანდიელ **კევინ მაკბრაიდთან**, მაგრამ რინგი ნაადრევად დატოვა და კაპიტულაცია გამოაცხადა.

ამის შემდეგ, მაიკ ტაისონმა გამოსწორება გადაწყვიტა. მან გამოაცხადა, რომ "პლანეტის ყველაზე ცუდი ადამიანი" აღარ არსებობს, არის მხოლოდ ყოფილი მოკრივე, რომელსაც სურს, სხვა ადამიანები საკუთარი შეცდომებისგან დაიცვას.

ტაისონი ჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობაში მართლაც ცოტათი რბილი გახდა, მას ნელ-ნელა ივიწყებდნენ. მაგრამ ტაისონი არ არის ის ადამიანი, რომელიც პოპულარობის დაკარგვას მშვიდად შეურიგდებოდა. 2006 წლის დეკემბერში, ქალაქ სტოკსდეილში, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყოფილი მოკრივე თავისი შავი BMW-თი ადგილობრივი შერიფის მანქანას დაეჯახა. ჩხრეკის დროს, პოლიციამ ტაისონის ავტომობილში კოკაინის რამდენიმე პაკეტი იპოვნა, თავად მოკრივე ისე იყო გაბრუებული, რომ ვერ აცნობიერებდა, რას აკეთებდა.

2007 წლის ნოემბერში, მარიკოპის (არიზონას შტატი) საოლქო სასამართლომ ტაისონი ნარკოტიკების შენახვაში დამნაშავედ ცნო. პროკურორი მოკრივის მკაცრად დასჯას ითხოვდა. "რკინის მაიკი" შეიძლება 5 წლით ჩაესვათ ციხეში, მაგრამ ტაისონის ადვოკატებმა კარგად იმუშავეს. 24 საათი ციხეში, სამი წელიწადი პირობითი სასჯელი და 3600 დოლარის ოდენობის ჯარიმა - ასეთი იყო სასამართლოს განაჩენი.

ნახევარი წელიწადი, ტაისონი სკანდალურ ქრონიკებში აღარ გამოჩენილა, ის ათასგვარ საქველმოქმედო აქციებს ესწრებოდა, კანის ფესტივალის საპატიო სტუმარი იყო... და აი, ორი დღის წინათ, ყველაფერი თავიდან დაიწყო. როგორც ჩანს, "რკინის მაიკი" ვერასოდეს ჩამოირეცხავს იმ ჭუჭყს, რომელიც მას დიდი ხანია მოყვება.

**გია თვალაბეიშვილი**

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. V მატჩი

# ჯერ ყველა ცოცხალია

| ლეიკერსი-ბოსტონი | 103:98 |
|---|---|

39:22, 16:30, 24:18, 24:28

ლ: ბრაიანტი (25+7 მოხსნა+4 პასი+5 ჩაჭრა), ოდომი (20+11 მოხსნა+4 დაფარება), გასოლი (19+13 მოხსნა+6 პასი+2 დაფარება), ფიშერი (15+2 ჩაჭრა), ფარმარი (11), რადმანოვიჩი (7), ვუიაჩიჩი (4), უოლტონი (2), არისა, ტურიაფი, მიმი.

ბ: პირსი (38+6 მოხსნა+8 პასი), რ. ალენი (16), გარნეტი (13+14 მოხსნა+2 ჩაჭრა), კასელი (9), ჰაუსი (6), ტ. ალენი (6), ბრაუნი (4), პოუსი (3), რონდო (3), პოუ.

**სერია 2:3**

ეს შეხვედრა მაგრად წააგავდა სამი დღის წინათ გამართულ მატჩს, როდესაც "ლეიკერსი" თავიდანვე წინ გაიჭრა, მერე კი კალიფორნიელ ვარსკვლავებს აღარაფერი გამოუვიდათ და "სელტიქსმა" გასვლაზე უმნიშვნელოვანესი მოგება გაიფორმა. ამჯერად, **ფილ ჯექსონის** ბიჭები წინ 19 ქულით იყვნენ და იმდენი "მოახერხეს", რომ "ბოსტონს" ანგარიშიც კი გაათანაბრებინეს, თუმცა კობიმ და **ლამარ ოდომმა** ბოლოს მნიშვნელოვანი ქულები მოიმკეს და გამარჯვებაც "ლეიკერსს" დარჩა.

მასპინძლები თავიდანვე შეუდგნენ საქმეს და ჯერ სასტარტოს წევრებმა, შემდეგ კი სათადარიგოებმა, მასპინძლებს უზარმაზარი უპირატესობა დაუბევეს.

*"მთელი თამაში ვიომეთ და მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ჭკვიანურ გადაწყვეტილებებს არ ვიღებდით, საბოლოოდ, მთელი გუნდის გამოსვლით უზომოდ კმაყოფილი ვარ"*, - ამბობდა ჯექსონი, რომლის გუნდმაც 31 საჯარიმოდან 23 გამოიყენა და თამაშიდან სროლების 45 პროცენტი შეასრულა ზუსტად.

**კობი ბრაიანტი** თავის გუნდში ამჯერადაც ყველაზე შედეგიანი იყო. საწყის მეოთხედში იგი ცუნამივით დაატყდა თავს "სელტიქსს" და 15 ქულაც შესძინა მასპინძლებს, მერე კი, ბრაიანტს მაჯამ უმტყუნა და შეხვედრა მხოლოდ რვა (21-დან) ზუსტი ტყორცნით დაასრულა.

კობიმ მატჩის გმირის სტატუსი ბოლოსკენ მოიპოვა. "ბოსტონმა" ძირითადის დასრულებამდე 74 წამით ადრე ჩამორჩენა 2 ქულამდე (95:97) დაიყვანა, რასაც **დერეკ ფიშერის** არაზუსტი სროლა მოჰყვა. ბურთი **კევინ გარნეტმა** მოხსნა და მაშინვე **პოლ პირსს** შეაჩეჩა, რომელსაც იმ დღეს თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა. პოლმა დრიბლინგი რომ დაიწყო, კობიმ მას ბურთი აართვა და რამდენიმე წამში კინალამ ფარი ჩამოილო.

*"იმ მომენტში მხოლოდ კალათს ვუყურებდი. ვიცოდი, რომ სამწამიანში შესვლა გამიჭირდებოდა, მაგრამ მაინც დრიბლინგით შევეცადე მეურვის ჩამოცილებას, რაც გამომივიდა კიდეც. უბრალოდ, კობიმ დაზღვევაზე ძალიან კარგად და აკურატულად ითამაშა. კობი ძალიან კარგად კითხულობს თამაშს და უმაღლესი დონის დამცველია"*, - ეს კი უკვე პირსის სიტყვებია. პოლმა 19 საჯარიმო ტყორცნიდან მხოლოდ 3 ვერ გამოიყენა.



თამაში მაინც კობიმ მოიგო

წინა მატჩებში სხვების ჩრდილში მოქცეულმა **პაუ გასოლმა** ამჯერად ძალიან კარგად ითამაშა. ქულა-მოხსნაც ბლომად გააკეთა, დროული პასებითაც გამოიჩინა თავი და რაც მთავარია, მან დაცვაში უამრავი პრობლემა შეუქმნა გარნეტს რომელმაც საბოლოოდ, მხოლოდ 13 ქულას მოუყარა თავი.

აქტიური გახლდათ ოდომიც. ის დროულად იხსნებოდა და კობისგან რამდენიმე ფილიგრანული პასიც მიიღო, ფარზე მუშაობისას კი ლამარს არც ამჯერად დაეწუნებოდა რაიმე.

*"როდესაც ყველა თავის საქმეს აკეთებს, გამარჯვების მოპოვება ბევრად იოლი ხდება. კობი კობია და ყველამ ვიცით, რომ იგი ჩვენი ლიდერი და პლანეტის უძლიერესი მოთამაშეა, მაგრამ მასაც სჭირდება დახმარება"*, - ამბობს ოდომი, რომელმაც შეხვედრა 10 სროლიდან მხოლოდ ორის აცილებითა და სამივე საჯარიმოს გამოყენებით ჩაამთავრა.

კობი ბრაიანტმა და მისმა "ლეიკერსმა" ფინალურ სერიას ინტრიგა შეუნარჩუნეს და მინიმუმ ერთი მატჩითაც გადადეს "სელტიქსის" ჩემპიონობა. შეგახსენებთ, რომ მომდევნო შეხვედრები ბოსტონში გაიმართება, სადაც "სელტიქსს" ამ პლეი ოფში ერთადერთი წაგება აქვს (აღმოსავლეთის ფინალში "დეტროიტთან").

**ზურაბ თალაკვაძე**